www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 10 ივნისი, 2009 წელი. №128 (2166) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## აფხაზეთის დაბალი ფასები და მიუვალი გზა

A3



## უკრაინის საპარლამენტო რესპუბლიკად გადაკეთება ჩაიშალა

A7



## საქართველო ვენეციაში და...

A11



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ერთი-ერთზე
## ოპოზიციის მანდატის გარეშე

დათო გამისონია

*საპროტესტო აქციების დაწყებიდან ორი თვის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა და ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ პირისპირ მოლაპარაკებები შავნაბადას საპრეზიდენტო რეზიდენციაში გამართეს. შეხვედრა, ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მოლაპარაკებების შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილს კომენტარი არ გაუკეთებია. შეხვედრიდან გამოსულმა ლევან გაჩეჩილაძემ კი განაცხადა: მე ვერ დავინახე, რომ ის მზად არის ძირეული ცვლილებებისთვის . მიუხედავად ამისა, გაჩეჩილაძე კმაყოფილია შეხვედრის მორალური მხარით - პრეზიდენტი მას ოპოზიციის დაკავებული აქტივისტების საქმეების გადახედვას დაჰპირდა.*




პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, ლევან გაჩეჩილაძეს დარჩა შთაბეჭდილება, რომ □**საქართველო, რომელსაც სააკაშვილი ხედავს, არის სხვა საქართველო. ამ კაცს აქვს თავისი ხედვა, ჩვენ - ჩვენი.**□

გაგრძელება A2 გვერდზე

## □რძის ომის□ ახალი დეტალები

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას ბელარუსს სავაჭრო ემბარგოთი აიძულებს, რომელსაც რუსულმა მედიამ "რძის ომი" შეარქვა. აქამდე მოსკოვი მინსკისგან სასურველი გადაწყვეტილების "ყიდვას" კრედიტების გამოყოფით ცდილობდა, თუმცა შემდეგ აშკარა შანტაჟზე გადავიდა, რაც გასულ კვირაში თავად ბელარუსის პრეზიდენტმა საჯაროდ დაადასტურა. ბელარუსული რძის პროდუქტების იმპორტის აკრძალვის პოლიტიკურ მოტივს კრემლი კატეგორიულად უარყოფს. მოსკოვში ბელარუსს კვლავ სტრატეგიულ პარტნიორს უწოდებენ, თუმცა სანქციებს კიდევ უფრო ამკაცრებენ.*

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცნობას არავის ვეხვეწებით, - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მისი თქმით, **"ბელარუსის ხელისუფლება გვეუბნებოდა, რომ ეს საკითხი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით იქნება განხილული. პატივს ვცემთ ბელარუსის საკონსტიტუციო პროცედურებს და ჩვენი სახელმწიფოების პრაქტიკულ თანამშრომლობას ამ თემას არ ვუკავშირებთ."**

ბელარუსზე ზეწოლაში კი რუსეთის მთავარმა დიპლომატმა ევროკავშირი დაადანაშაულა - იმ განცხადებების გამო, რაც ბრიუსელში "აღმოსავლეთის პარტნიორობაში" ბელარუსის მონაწილეობასთან მიმართებით გააკეთეს. კერძოდ, ევროპელმა მაღალჩინოსნებმა აღნიშნეს, რომ სოხუმისა და ცხინვალის ცნობის შემთხვევაში, ბელარუსი პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

მოსკოვის ზეწოლის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტის განცხადებების კომენტირებაზე რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამაც უარი განაცხადა. მისი თქმით, **"რუსეთი ცნობის საკითხში ზეწოლას არც ერთ სახელმწიფოზე არ განახორციელებს."** მან ლუკაშენკოს განცხადებებს **"უცნაური"** უწოდა.

ტიმაკოვამ ასევე კატეგორიულად უარყო ორ ქვეყნას შორის ურთიერთობების გაუარესების შესაძლებლობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რას ნიშნავს რადიკალური ოპოზიცია

გია თორთლაძე
*საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე*

ხშირად გაისმის კითხვა - რა არის რადიკალური ოპოზიცია?

განსაკუთრებული გაღიზიანებით კი ამ ტერმინს სწორედ ის პოლიტიკოსები აღიქვამენ, რომლებიც საზოგადოებას უკომპრომისო ბრძოლისაკენ მოუწოდებენ.

ჩვენ გვსურს განვმარტოთ ამ ტერმინის რაობა, რადგან ეს გახლავთ პოლიტიკური ტერმინი და საქმე არა გვაქვს ზედმეტსახელთან.

პოლიტიკური რადიკალიზმი, როგორც საზოგადოებრივი აზროვნების ახალი მიმართულება, თეორიაში ჟან ჟაკ რუსომ დაამკვიდრა. მის ცნობილ ნაშრომში "საზოგადოებრივი ხელშეკრულება ან პოლიტიკურ უფლებათა პრინციპები" (1762 წ.) პოლიტიკური რადიკალიზმი განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული ცვლილებები.

XX ს-ში ეს ტერმინი იხმარებოდა იმ პარტიათა მიმართ, რომელნიც ითხოვდნენ საფუძვლიან ცვლილებებს, მაგალითად ევროპის მწვანეთა პარტია და საფრანგეთის სახალხო ფრონტი.

ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოდის ლათინურიდან radix (ფესვი). არსებობს აგრეთვე, ერთგვარი სატირული შედარება ფრანგ რადიკალებსა და ბოლოკს შორის. იუმორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფრანგულად radis - ნიშნავს ბოლოკს, ანუ გარედან წითელი, შიგნით თეთრი. ეს, რასაკვირველია ხუმრობით.

პარტიულ რადიკალიზმს განსაზღვრავს დასახული მიზნების უკომპრომისო ქმედებებით მიღწევის სურვილი.

ტერმინი - რადიკალური ოპოზიცია წინააღმდეგობრივია. რადგან, ოპოზიცია, კლასიკური განსაზღვრებით, ნიშნავს ხელისუფლების ალტერნატივას თავისი შეხედულებათა სისტემითა და პოლიტიკური კოდებით, რომელიც მოცემულ ეტაპზე წარმოადგენს უმცირესობას პარლამენტში თუ მის გარეთ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ˝გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალ რეზოლუციას დიდი სიფრთხილით ველით˝

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა აცხადებს, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ შედგენილ ბოლო ანგარიშში გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, მასში არსებითი ცვლილებები მაინც არ შეიმჩნევა. "დადებით ფაქტად წარმოდგენილია ის, რომ თუ ადრე გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებულ ანგარიშებს "აფხაზეთში, საქართველო არსებული სიტუაციის შესახებ" ეწოდებოდა, ახლა მას ეწოდება "გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიში, რომელიც შედგენილია გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1808 (2008), №1839 (2008), №1866 (2009) რეზოლუციების მიხედვით". ფორმალურად ეს ასეა. თუმცა ამ რეზოლუციებში ნახსენებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ასევე ნახსენებია 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, რაც პრინციპში ნონსენსია, რადგან სიტუაცია ძირეულადაა შეცვლილი და ეს ახალ რეალობაში არაფრით ჯდება. ასე რომ, ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ არის შეცვლილი," - აცხადებს ლაკობა. აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა ასევე აღნიშნავს, რომ "დღეს აფხაზეთისთვის სიმართლის მომენტი დგება."

"იმ შემთხვევაში, თუ ამ რეზოლუციებზე დაყრდნობა გაგრძელდება, აფხაზეთი, სამართლებრივი თვალსაზრისით, კიდევ 15-20 წელი საქართველოს შემადგენლობაში იქნება და სულაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი შეფუთვით მოგვაწვდიან ამას. ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის უმჯობესი იქნება, თუ საერთოდ უარს ვიტყვით გაერო-ს მისიაზე. ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ეს მისია ნებისმიერ ფასად შევინარჩუნოთ, ისე როგორც ეს აფხაზეთის ხელისუფლების მიერ არაერთხელ იყო გაცხადებული," - აღნიშნავს ლაკობა და დასძენს, რომ რუსეთის ფედერაციასაც არ აძლევს ხელს, რომ "აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მხარი დაუჭოს ხოლმე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხში მაინც მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას." "სხვათა შორის, სოხუმში 5 ივნისს მყოფმა გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ განაცხადა, რომ ახლა წყდება საკითხი, საერთოდ იქნება თუ არა გაერო-ს მისია," - აღნიშნავს სტანისლავ ლაკობა. აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, გაერო-ს მისიას რა სახელიც გნებავთ, ის შეიძლება ეწოდოს - "იქნება ეს "გაერო-ს მისია სტაბილიზაციის შესახებ" თუ უბრალოდ "გაერო-ს მისია", მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება კონკრეტული სახელწოდება, არაფერს აზრი არა აქვს, რადგან მათ საფუძვლად მაინც ყოველთვის ეს რეზოლუციები ექნებათ. ამიტომ ასეთი მისიის აფხაზეთში გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს." ლაკობა ასევე აცხადებს, რომ აფხაზეთი თავის შვილებსა და შვილიშვილებს ამ პრობლემას ვერ დაუტოვებს, რადგან "არავინ იცის, რა მოხდება ათწლეულების შემდეგ და მაშინ ისინი გვკითხავენ, წინ რატომ არ აღვუდექით ამ რეზოლუციებს. სწორედ ამიტომაც აფხაზეთში დიდი სიფრთხილით ელიან 15 ივნისს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომას და ახალ რეზოლუციას," - აცხადებს სტანისლავ ლაკობა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## აფხაზეთის პროფკავშირი გაერო-ს ოფისთან საპროტესტო აქციას გამართავს

აფხაზეთის პროფესიული გაერთიანების წევრი ორგანიზაციები ბან კი მუნის 15 მაისის მოხსენების გამო დღეს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისთან საპროტესტო აქციას გამართავენ. როგორც აფხაზეთის მედიაცენტრიდან გვაცნობეს, დღეს გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის თბილისის წარმომადგენლობას საპროტესტო მიმართვა გადაეცემა. აფხაზეთის პროფესიული კავშირი გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამართლებრივი სტატუსის დიპლომატიური გზებით შეცვლის მცდელობად აფასებს. "რუსეთი ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს საერთაშორისო თანამეგობრობაზე და კავკასიის ჰეგემონიის მისაღწევად ყველა საშუალებას იყენებს. გამომდინარე აღნიშნულიდან, ვაცხადებთ პროტესტს და გამოვთქვამთ შეშფოთებას გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენების გამო. მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საჭიროა უფრო ქმედითი და აქტიური ნაბიჯების გადადგმა, რათა 15 ივნისს გაერო-ს უშიშროების საბჭოზე მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს ინტერესები მაქსიმალურად იქნეს გატარებული," - ნათქვამია საპროტესტო მიმართვაში.

*პირველი*

# ერთი-ერთზე - ოპოზიციის მანდატის გარეშე

პირველი გვერდიდან

მისივე ნაამბობის თანახმად, პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა სააკაშვილისგან ორი არგუმენტი მოისმინა. გაჩეჩილაძის თქმით, "**ის კრიზისს ვერ ხედავს, რადგან ბიუჯეტში არ არის გარღვევა და მეორე - სახელისუფლებო ელემენტები არ ჩამოშლილა.**" თუმცა, როგორც გაჩეჩილაძე აცხადებს, პრეზიდენტმა მას დაუდასტურა, რომ საქართველო ჩიხურ მდგომარეობაშია. "**ეს პრაქტიკულად კრიზისის აღიარებაა,**" - მიიჩნევს იგი.

ლევან გაჩეჩილაძის თქმით, "**სააკაშვილმა ყურადღება ისევ ადგილობრივ არჩევნებზე გაამახვილა.**" გაჩეჩილაძემ განაცხადა: "**მე მას ვუთხარი, რომ მერის არჩევნები კონკრეტულად ვითარებას ვერ განმუხტავს, ვერც ის განმუხტავს სიტუაციას, თუ ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკიდან წავა. იმიტომ, რომ ხალხის დიდი ნაწილის მოთხოვნა არის მისი გადადგომა. მას განვუმარტე, რომ ერთ პოლიტიკოსში არ არის პრობლემა, არამედ - იმ უნდობლობაში, რაც საზოგადოებაში მის მიმართ არის დაგროვილი.**" ლევან გაჩეჩილაძე დარწმუნებულია, რომ საპროტესტო აქციები უფრო რადიკალური ფორმით უნდა გაგრძელდეს.

პრეზიდენტთან შეხვედრის დაწყებამდე, გაჩეჩილაძემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორისგან მიიღო კურთხევა. შავნაბადას რეზიდენციაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ პრეზიდენტსა და ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე მომავალი შეხვედრის შესახებ საუბარი არ ყოფილა.

### არაერთგვაროვანი რეაქცია

გუშინ ლევან გაჩეჩილაძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას, შეკრებილ მოქალაქეებს პრეზიდენტთან დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ამცნო. "**მე ერთხელ უკვე წავიტეხე ცხვირი, თუმცა მაინც დავთანხმდი მასთან შეხვედრას,**" - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის განცხადებას შეკრებილი მოქალაქეების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ზოგი მათგანი უკმაყოფილო იყო გაჩეჩილაძის გადაწყვეტილებით, ზოგმაც სიფრთხილისკენ მოუწოდა და ურჩია, რეზიდენციაში ყოფნის დროს სააკაშვილის ხელქვეითების მიერ მიწოდებული წყალი არ დაელია. "**რა ვქნა, მე ღმერთმა ამ ორი წლის განმავლობაში ასეთი ხვედრი მარგუნა და გთხოვთ, ნუ დამძრახავთ ამ გადაწყვეტილების გამო,**" - სთხოვა გაჩეჩილაძემ მომიტინგეებს

"მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა კარგა ხნის წინათ გამოთქვა ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრის სურვილი. გარდა ამისა, კაციტაძემ შეაფასა გაჩეჩილაძის გადაწყვეტილება: "**კაცი, რომელიც ამ ტიპის პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, რისკზე მიდის, რადგან თუკი ხელისუფლებამ ეს შეხვედრა ცუდად გამოიყენა, ლევან გაჩეჩილაძე საზოგადოების მხრიდან სერიოზული დარტყმის საშიშროების წინაშე დადგება. როცა ეს ადამიანი წლების განმავლობაში თანამებრძოლია, მას გვერდით დგომა სჭირდება.**"

გაჩეჩილაძისა და სააკაშვილის შეხვედრას არ შეეწინააღმდეგებია "კონსერვატიული პარტიის" ლიდერი ზვიად ძიძიგური. როგორც მან "24 საათს" განუცხადა, "**არსებობს ალბათობა, რომ ეს შეხვედრა შედეგით დამთავრდება, რადგან სააკაშვილი დარწმუნდა, რომ სახლში წასვლას არ ვაპირებთ.**"

პრეზიდენტთან შეხვედრის წინ ლევან გაჩეჩილაძეს მხარდაჭერა აღუთქვა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ: "**მე ლევანს, როგორც მეგობარს და თანამებრძოლს, ვენდობი, მაგრამ რაც შეეხება შეხვედრას, ამ შეხვედრაზე მას ჩემი მანდატი ექნება. ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენ შევიკრიბებით და მივიღებთ გადაწყვეტილებას.**" გაჩეჩილაძესა და სააკაშვილს შორის შეხვედრის გამართვას არ შეეწინააღმდეგებია ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდი.

პრეზიდენტ სააკაშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის შეხვედრის ფორმატით უკმაყოფილოა "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი. საფრანგეთში ოთხდღიანი ვიზიტით მყოფმა ზურაბიშვილმა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ "**ოპოზიცია ყოველთვის გამოთქვამდა მზადყოფნას სააკაშვილთან შეხვედრისთვის და ახლაც მიაჩნია, რომ დღეს მოლაპარაკება აუცილებელია, თუმცა სააკაშვილთან შეხვედრა უნდა მოხდეს იმ ფორმატში, რომელსაც ოპოზიცია ითხოვს პირველი დღიდან: დღის შუქზე, საჯაროდ და იმ წარმომადგენლობით, რომელსაც ექნება ხალხისა და ოპოზიციის მანდატი.**"

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურ მდივან ეკა ბესელიას თქმით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე გაჩეჩილაძეს არ ექნება ოპოზიციის მანდატი. "**ეს არის ლევან გაჩეჩილაძისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა და არა სააკაშვილის შეხვედრა ოპოზიციასთან. მე არ ვემხრობი ერთი ერთზე შეხვედრას. ამ შეხვედრით მიღებული შედეგის მიმართ დიდი მოლოდინი არ მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ გაჩეჩილაძე ძირითად მოთხოვნას არ შეცვლის. ვენდობი გაჩეჩილაძეს, მაგრამ არ ვენდობი მიხეილ სააკაშვილს,**" - განაცხადა ბესელიამ.

### "ცოცხალი ჯაჭვი" შსს-თან

გუშინ ოპოზიციის ლიდერებმა და მხარდამჭერებმა რუსთაველის გამზირიდან შსს-ს შენობისკენ მოაწყვეს მსვლელობა. მანიფესტანტებს არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი მიუძღოდა - ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, თინა ხიდაშელი, ნინო ბურჯანაძე, ზვიად ძიძიგური, ეკა ბესელია. მათ გვერდით გუშინ არ გამოჩენილან "ეროვნული ფორუმის" ლიდერები და "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია. თუმცა, აქციაში მონაწილეობდა ალასანიას გუნდის წევრი ზურაბ აბაშიძე. გუშინდელ საპროტესტო აქციას "ლეიბორისტული პარტიის" წევრი სოსო შატბერაშვილიც შეუერთდა.

მანიფესტანტებმა მთელ კვარტალს შემოარტყეს ალყა, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების შენობებიც მოექცა. "ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა მამუკა კაციტაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ "**ეს არის პროტესტის ჯაჭვი ამ ხელისუფლების კისერზე. დღეს ჩვენ ცოცხალ ჯაჭვში მოვაქციეთ შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროს ნაწილი - მთავარი პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო, ფინანსური პოლიცია, საგადასახადო ინსპექცია და აქვე არის გარემოს დაცვის სამინისტრო.**"

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე რუმინეთს ეწვევა

11-12 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით რუმინეთს ეწვევა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილია შეხვედრები რუმინეთის სენატის თავმჯდომარე მირჩა ჯოანასთან, პრემიერ-მინისტრ ემილ ბოკთან, საგარეო საქმეთა მინისტრ კრისტიან დიაკონესკუსთან.

შეხვედრაზე საუბარი შეეხება რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას, საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. შეხვედრის შემდეგ გაიმართება ერთობლივი პრესკონფერენცია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ოსი სეპარატისტები "საზღვარს" ამაგრებენ

ოსი სეპარატისტები საქართველოსთან საზღვრის გამაგრებით სამუშაოს აგრძელებენ. გუშინ სეპარატისტთა ე.წ. თავდაცვის სამინისტრომ ჯავის რაიონის სოფელ კარძმანში არსებულ საზღვარზე კიდევ ერთი დამატებითი საგუშაგო გახსნა. სეპარატისტთა საგუშაგო რუსული საოკუპაციო ჯარის საგუშაგოს გვერდითაა გახსნილი. რუსული მედია აღნიშნავს, რომ "ამ საგუშაგოს გახსნამდე საქართველოს ძალოვან სტრუქტურებსა და სპეცსამსახურების თანამშრომლებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა და თავისუფლად გადაადგილება შეეძლოთ."

*ჯი-ეიჩ-ენი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# „რძის ომის" ახალი დეტალები

პირველი გვერდიდან

მისი განცხადებით, ბელარუსი იყო და რჩება რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად და რუსეთი ამ ქვეყანასთან ეკონომიკური და ჰუმანიტარული კავშირების განვითარებას განაგრძობს.

თუმცა, ამ ფორმალური იდილიის ფონზე, გუშინ იმავე ტიმაკოვამ დაადასტურა, რომ კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამიტზე, რომელიც 14 ივნისს შედგება, პრეზიდენტი მედვედევი პრეზიდენტ ლუკაშენკოსთან პირისპირ შეხვედრას არ გეგმავს.

რუსეთის ოფიციალური პირები ბელარუსის წინააღმდეგ შემოღებული სავაჭრო ემბარგოს პოლიტიკურ მოტივებს კატეგორიულად უარყოფენ. **"არ არის კორექტული, რომ ამ გადაწყვეტილებას სანქციები ვუწოდოთ,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა. მან განმარტა, რომ საქმე მხოლოდ ახალი ტექნიკური რეგლამენტის დაცვას ეხება და ეს მხოლოდ ბელარუს ექსპორტიორებზე არ ვრცელდება.




AFP ' 2009

*სერგეი ლავროვი შერბილებულ განცხადებას აკეთებს*

მწვავე პოლიტიკურ განცხადებებს ამჯერად ოფიციალური მინსკიც ერიდება. ბელარუსის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი მარტინოვმა აღნიშნა, რომ ბელარუსი რუსეთის სანიტარიული სამსახურის გადაწყვეტილებაში **"პოლიტიკას ვერ ხედავს."** თუმცა, მისი თქმით, **"მნიშვნელოვანია, ასეთი რეგლამენტები არ გამოიყენებოდეს არასაბაზრო მეთოდებით კონკურენტულ ბრძოლაში."**

კომენტარებს გუშინ არც ბელარუსის სოფლის მეურნეობის სამინისტროში და არც უმსხვილეს მწარმოებელ კომპანიებში არ აკეთებდნენ.

იმავდროულად, კრემლის სიტყვას რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ საკუთარი საქმე დაუპირისპირა. მან განაცხადა, რომ უკან მიაქვს თავისი წინადადება ბელარუსის შესაბამის უწყებებთან რძის პროდუქციის მოწოდების განახლებაზე მოლაპარაკებების შესახებ, ვინაიდან მას არ ჰგონია, რომ **"ბელარუსულ მხარეს მოლაპარაკება სჭირდებოდეს."**

"როსპოტრებნადზორმა" ბელარუსიდან 593 დასახელების პროდუქციის შემოტანა უკვე აკრძალა. ონიშჩენკომ არ გამორიცხა, რომ აკრძალვა, საერთო ჯამში, ათას ხუთასამდე დასახელების პროდუქციას შეეხოს.

თავის მხრივ, ბელარუსის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა ვალენტინა კაჩანმა მოსკოვში გამგზავრების სურვილი გამოთქვა. მას იმედი აქვს, რომ ონიშჩენკო "გადაიფიქრებს" და გადაწყვეტილებას შეცვლის.

# აფხაზეთის დაბალი ფასები და მიუვალი გზა

ნათია მსხილაძე

*საკურორტო სეზონის დასაწყისისთვის სეპარატისტული აფხაზეთის პანსიონატებმა ფასები 15 პროცენტით შეამცირეს, აფხაზეთის ე.წ. მთავრობა კი ინვესტორებს აქტიურობისკენ მოუწოდებს, თუმცა აფხაზეთში ჯერჯერობით არც საინვესტიციო ბუმი შეიმჩნევა და არც გადატენილი პანსიონატები. მიუხედავად დაბალი ფასებისა, დღემდე პრობლემად რჩება აფხაზეთამდე ჩასვლა.*



AFP ' 2009

აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის ე.წ. სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვიაჩესლავ ბარციცი ადგილობრივ მედიასთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საგზურების გამოყენებით აფხაზეთი 120 ათასზე მეტმა ადამიანმა მოინახულა, ხოლო აფხაზეთში ერთდღიანი საექსკურსიო ვიზიტით 700 ათასი ადამიანი იმყოფებოდა.

სოხუმის ხელისუფლება ინფრასტრუქტურის განახლებასაც გეგმავს, რაც რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის გამოყოფილი 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტით განხორციელდება. მისცემს თუ არა რუსეთი აფხაზეთს კიდევ კრედიტს, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გამჭვირვალედ და მიზნობრივად დაიხარჯება ეს თანხა, დაბრუნდება თუ არა ის დათქმულ ვადებში და რა დოზით მიეცემა რუსეთს მასზე კონტროლის განხორციელების საშუალება.

6 აფხაზეთში დასვენების მიმზიდველ ფაქტორად დღეს იქ არსებული დაბალი ფასები სახელდება, თუმცა რუსული მედია აღნიშნავს, რომ პრობლემად აფხაზეთამდე ჩასვლა რჩება - არ არსებობს არც ავია და არც სარკინიგზო მიმოსვლა. არადა აფხაზეთის ხელისუფლება სოხუმის აეროპორტის ასამოქმედებლად ზუსტად ერთი წლის წინათ ემზადებოდა. ეს ინფორმაცია აფხაზეთის ტელევიზიამ გასული წლის 14 მაისს გაავრცელა. მაშინ სეპარატისტული მთავრობა ამტკიცებდა, რომ სოხუმის აეროპორტი, რომელიც უკვე 14 წელია არ ფუნქციონირებს და მხოლოდ გაერო-ს სადამკვირვებლო ორგანიზაციისა და რუს მშვიდობისმყოფელთა თვითმფრინავებს ემსახურება, საერთაშორისო რეისების მომსახურებისთვისაც მზად არის.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სოხუმის აეროპორტის ამოქმედების შესახებ მოლაპარაკებებს რუსეთის ფედერაციასთან და დსთ-ს სხვა სახელმწიფოებთან აწარმოებდა. თუმცა, აღნიშნული განცხადებით გამოსვლისას სეპარატისტთა ლიდერებს არ გაუთვალისწინებიათ ის ფაქტორი, რომ სოხუმის აეროპორტის გახსნას საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ნებართვა სჭირდებოდა, რასაც ისინი ვერ მიიღებდნენ. ნებართვის გარეშე აეროპორტის გახსნის შემთხვევაში კი შესაბამისი სანქციები დაეკისრებოდა ყველა იმ ავიაკომპანიას, ვინც რეისებს განახორციელებდა. აქედან გამომდინარე, სეპარატისტთა განცხადებები განცხადებებად დარჩა.

როგორც რუსული მედია იუწყება, ბილეთი სოჭამდე და უკან რეგულარულ რეისზე, დაახლოებით, 18 ათასი რუსული რუბლი ღირს, პანსიონატში დღე-ღამის გათევის საფასური 800 რუსული რუბლია. თუმცა ეს ფასები ახლა - ივნისის დასაწყისში მოქმედებს. როგორც აფხაზეთში აცხადებენ, საკურორტო სეზონის პიკზე ფასები დაიწევს და ყველაზე უბრალო, უკომფორტო ნომერში დღე-ღამის გათევა ერთ ადამიანს ათასი რუსული რუბლი დაუჯდება.

რაც შეეხება გასული წლის საკურორტო სეზონის მონაცემებს, 2008 წელი საბრძოლო მოქმედებების გამო ჩავარდა. ტურისტების ნაკლებობის მიზეზი კი 29-30 ივნისს სოხუმსა და გაგრაში მომხდარი რამდენიმე აფეთქება იყო.

## ქარძმანში ბოევიკების ნაწილი კვლავ რჩება

საჩხერის რაიონის სოფელ ქარძმანში, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული ბოევიკების ნაწილი კვლავ რჩება. სოფელი ქარძმანი საჩხერის რაიონის სოფელ პერევს ესაზღვრება. როგორც საჩხერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ განაცხადა, 70 ბოევიკი სოფელში ერთი კვირის წინ შეიჭრა. ბოევიკები თავს ესხმიან ადგილობრივ მოსახლეობას და პირუტყვს იტაცებენ. ცერცვაძის განცხადებით, ბოევიკთა ჯგუფი არც რუს ოკუპანტებს და არც ოს სეპარატისტებს არ ემორჩილება. როგორც საჩხერის გამგებელი აცხადებს, ვითარების განსამუხტავად მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან წარმოებდა, რის შედეგადაც დაჯგუფების დიდი ნაწილი უკვე გასულია ქარძმანიდან.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ვარაზისხევი-თამარაშვილის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა აგვისტოში დაიწყება

ვარაზისხევი-თამარაშვილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი 1 ივლისს გამოცხადდება, - ამის შესახებ თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა. უგულავას თქმით, სამშენებლო სამუშაო 1 აგვისტოს დაიწყება და 2010 წელს დასრულდება. დამაკავშირებელი გზის მშენებლობა 30 მილიონი ლარი დაჯდება. თანხა თბილისის 2009 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია. თბილისის მერის თქმით, აღნიშნული პროექტი ათასამდე ადამიანს დაასაქმებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მიხეილ სააკაშვილი სომხეთს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 24-25 ივნისს სომხეთს ეწვევა. ეს განცხადება საქართველოში ვიზიტად მყოფმა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა გააკეთა. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის არ არსებობს ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრა მოლაპარაკებათა გზით არ შეიძლება. "ჩემი საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოსალოდნელი ვიზიტია, რომელიც 24-25 ივნისს არის დაგეგმილი. ასევე განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამყარების გზები, ვისაუბრეთ ერთობლივი კულტურული ღონისძიებების გამართვაზე, რომელთა შორისაა თბილისში დაგეგმილი სომხური კულტურის დღეები," - განაცხადა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მალხაზ აკიშბაია დიხაზურგადან ხარჩილავების ოჯახის წევრების გატაცებას აღმაშფოთებელს უწოდებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში ხარჩილავების ოჯახიდან ერთი ქალისა და სამი მცირეწლოვანი ბავშვის გატაცების ფაქტს აღმაშფოთებელს უწოდებს. „ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ განუკითხაობას, რომელიც აფხაზეთშია გამეფებული. გალის რაიონის მთელი მოსახლეობა აფხაზეთში შექმნილი ვითარების მძევალია," - განაცხადა მალხაზ აკიშბაიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ამ ფაქტზე საერთაშორისო თანამეგობრობამ ადეკვატური რეაგირება უნდა მოახდინოს. აფხაზეთის მთავრობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის. გატაცება გალის რაიონის სოფელ დიხაზურგადან ორი დღის წინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, გატაცებულები გალიდან ოჩამჩირეში გადაიყვანეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თბილისში ჰილარი კლინტონის მოადგილე ჩამოვიდა

გუშინ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ფილიპ გორდონმა სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ტურნე დაიწყო. გუშინ საღამოს გორდონი თბილისში ერევნიდან ჩამოვიდა, საიდანაც ბაქოში გაემგზავრება. თბილისში გორდონი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. შეხვედრისას მხარეები ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მდგომარეობასა და ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრებენ. ფილიპ გორდონი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოვალეობის შესრულებას 15 მაისიდან შეუდგა. მან ამ თანამდებობაზე დენიელ ფრიდი შეცვალა

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თბილისს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია

გუშინ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტი ეწვია. სტუმარი გუშინვე შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ესტონეთს შორის პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერების ქარტიას. დღეს კი გაიმართება შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ურმას პაეტი გახსნის ბიზნესფორუმს და გვირგვინებით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## განათლების სამინისტრომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი გამოაქვეყნა

განათლების სამინისტრომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი გამოაქვეყნა. პირველი გამოცდა ჩატარდება 2 ივლისს - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც 4 საათს გაგრძელდება. 6 ივლისს კი აბიტურიენტებს უნარ-ჩვევებში მოუწევთ გამოცდის ჩაბარება. გამოცდები 17 ივლისს დამთავრდება. განათლების სამინისტრომ 2009 წლის გამოცდებში სიახლეები შეიტანა. წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულით განისაზღვრა - აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 26 ქულა, რომ გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, უცხოური ენებისთვის კი - 20 ქულით.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "აფხაზეთიდან პოლიტიკურ მიგრანტებს შეიძლება სულ მალე ამავე კუთხის ეკომიგრანტებიც დაემატონ"

"აფხაზეთიდან პოლიტიკურ მიგრანტებს შეიძლება სულ მალე ამავე კუთხის ეკომიგრანტებიც დაემატონ," - განაცხადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზაალ გამცემლიძემ კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რომელზეც სოჭის ოლიმპიადის გამო აფხაზეთის ტერიტორიიდან ინერტული მასალების ამოღების საკითხი განიხილეს. სხდომის მუშაობაში, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გაიმართა, ასევე მონაწილეობდნენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე, სამინისტროს სხვადასხვა სამსახურების, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის და გარემოსდაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეკრებილებს აფხაზეთის ტერიტორიიდან ინერტული მასალების რუსეთის ფედერაციაში გატანის თაობაზე ინფორმაცია და ვიზუალური მასალა გარემოს ეროვნული სააგენტოს ნაპირდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტარიელ ბერიძემ გააცნო.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებას ეყრდნობა, სოჭის მიმართულებით აფხაზეთის სანაპიროს მდინარეების დელტიდან 120 მლნ. კუბური მეტრი სამშენებლო მასალა გაიტანეს. როგორც სხდომაზე ითქვა, ამ საკითხზე საქართველოს მიერ გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც მოჰყვა შესაბამისი გამოხმაურება, აფხაზეთში ინერტული მასალების მოპოვება, ბოლო მონაცემებით, კვლავაც გრძელდება. "სამშენებლო მასალების ამოღება ამჯერად არა მარტო გუმისთის დელტიდან ხდება, არამედ მცირე მდინარეების კალაპოტებიდანაც, რაც მთლიანად შეცვლის ეკოსისტემას და საფრთხის წინაშე დააყენებს არა მხოლოდ აფხაზეთის სანაპირო ზოლს, არამედ შავი ზღვისპირეთის საკმაოდ დიდ ტერიტორიას. ამჟამად სოხუმის მონაკვეთში პლაჟი საერთოდ აღარ არსებობს, რთული ვითარებაა სხვა ადგილებშიც. აფხაზეთის სანაპირო კატასტროფის წინაშე დგას და აუცილებელია, რომ აქედან ინერტული მასალების გატანა დროულად შეწყდეს," - განაცხადა ტარიელ ბერიძემ. როგორც სხდომაზე ითქვა, ზიანი უკვე იმდენად დიდია, რომ რამდენიმე წელიწადი და დიდი ფინანსები დასჭირდება, რათა აფხაზეთის სანაპირო ზოლმა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მდგომარეობას მიაღწიოს. სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო, პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივ მიმართვას გაავრცელებენ აფხაზეთში გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ, რომლებიც ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აყენებს აფხაზეთის მოსახლეობას და ასევე მწვავე პრობლემებს უქმნის შავი ზღვის სანაპიროს სხვა მონაკვეთებსაც.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# რას ნიშნავს რადიკალური ოპოზიცია

პირველი გვერდიდან

პოლიტიკური ოპოზიციის საქმიანობის არენას წარმოადგენს პარლამენტი და მედია. როგორც, კი მათ შეხედულებებს გაიზიარებს საზოგადოების უმრავლესობა, ის გარდაიქმნება ხელისუფლებად და ხდება კრიტიკის ობიექტი უმცირესობისაგან. პოლიტოლოგიაში ცნობილია პოლიტიკური უმცირესობის ბრძოლის ხერხები, როგორც ოპონირება, იქნება ეს პოლიტიკური დისკურსი დებატების, კამათის სახით, თუ დისკუსია, ანუ, მრგვალი მაგიდა. და, სწორედ აქედან წარმოდგება თავად მცნება - ოპოზიცია.

როცა პოლიტიკური გუნდი ითხოვს ძირეულ ცვლილებებს სასწრაფოდ და ამ მოთხოვნებში არის კატეგორიული, თავისთავად ისინი რადიკალებად მოიხსენიებიან. და, რადგან ამ ჯგუფის წევრები ძირითადად წარმოადგენენ ოპოზიციურ პარტიებს, ამიტომ მათ, ასევე, ოპოზიციურ პარტიებადაც მოიხსენიებენ.

ასე რომ, პოლიტიკური ოპოზიცია არის ხელისუფლების ძალაუფლების **შეზღუდვის** ინსტრუმენტი. ხოლო, რადიკალური ოპოზიცია წარმოადგენს ხელისუფლების **შეცვლის** ინსტრუმენტს. რადიკალური ოპოზიციისათვის დამახასიათებელია დაუკმაყოფილებლობა იმ შესაძლებლობებით, რის საშუალებასაც კონსტიტუციური წყობა იძლევა. მაგალითისათვის გავიხსენოთ მემარცხენე რადიკალთა ლოზუნგი ჰოლანდიაში: "თუ დადგება კრიზისი, ეს ჩვენი უკანასკნელი შანსია! უნდა შევძლოთ სახელისუფლებო კრიზისის პროვოცირება!".

არსებობს როგორც შეხედულებათა, ასევე ქმედებათა რადიკალური მიმართულება. პოლიტიკაში ამის მაგალითია როგორც მემარცხენე რადიკალები (კომუნისტები, ანარქისტები), ასევე მემარჯვენე რადიკალები (მაგ.ფაშისტები, ფუნდამენტალისტები და სხვ.).

XX ს-ის 90-იან წლებში, საქართველოში, ეროვნული მოძრაობის აღორძინების პერიოდში, საბჭოთა უშიშროება ცდილობდა ეს მოძრაობა მემარჯვენე რადიკალებად (ფაშისტებად) წარმოეჩინა. ალბათ, ყველას გვახსოვს, თუ, რა ეპითეტების დამკვიდრებას ცდილობდნენ ისეთი გამორჩეული ჰუმანისტის მიმართ, როგორიც იყო ზვიად გამსახურდია. "ფაშისტი", "ჩაუშესკუ", "პროვინციული ფაშიზმი" და ა.შ. საინტერესოა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არც ერთ ეროვნულ მოძრაობას არ მიუღწევია გამარჯვებისათვის ისეთი თანმიმდევრული და სამართლებლივი ნაბიჯებით, როგორც ეს განხორციელდა საქართველოში სწორედ ზვიად გამსახურდიას თაოსნობით.

შეგახსენებთ, რომ 1990 წლის 9 მარტს ეროვნული მოძრაობისა და მისი ლიდერის ზვიად გამსახურდიას დიდი ძალისხმევით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ "1921წლის თებერვალში რუსეთმა განახორციელა ინტერვენცია საქართველოში და მოახდინა მისი ოკუპაცია. ინტერვენციის მიზანი იყო არსებული პოლიტიკური წყობის შეცვლა, რაც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით განიხილება, როგორც საქართველოს ანექსია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გმობს საქართველოს ანექსიას საბჭოთა რუსეთის მხრიდან".

ეს, დადგენილება გახდა სამართლებლივი საფუძველი საქართველოს საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარჩევნო კანონში ცვლილებების განსახორციელებლად. მიუხედავად იმ დროინდელი ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობისა, ზ. გამსახურდიამ მიაღწია ცვლილებების შეტანას საარჩევნო კანონში და 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა თავისუფალი, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. ეროვნული მთავრობის ყოველი სამართლებლივი აქტი ემსახურებოდა თავისუფლების და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას დემოკრატიული გზით. ამდენად, აბსოლუტურად შეუსაბამოა ამგვარი მოღვაწის მიმართ ისეთი კლიშეების გავრცელება, როგორიცაა "ფაშისტი" ან "ჩაუშესკუ".

საგულისხმოა, რომ დღესაც, რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან დაიწყო ძველი კლიშეების ამოქმედება, რაზეც მოწმობს იგორ გიორგაძის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ izvestia-ში და ასევე www.regnum.ru-ზე (02.06.2009). ამ სტატიაში ის მოგვიწოდებს მონანიებისაკენ, ყოველივე იმისათვის, რაც ჩავიდინეთ. მიუთითებს რა იმ ფაშისტური განწყობებისაკენ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ზვიად გამსახურდიამ ლოზუნგით "საქართველო ქართველებისათვის". საოცარია, რომ ზოგიერთი საქართველოში ოპერატიულად გამოეხმაურა ამ სიგნალს, როგორც დირექტივას კრემლიდან.

ალბათ, ბევრმა არც იცის ამ ფრაზის წარმომავლობა და ბრმად იმეორებს, როგორც აქსიომას (რომ, ეს ნამდვილად ზ.გამსახურდიამ წარმოთქვა, თუ, შეიძლება მერაბ კოსტავამ, მაგრამ სად, არ ახსოვს).

გაცნობებთ, ვინ არის ამ ლოზუნგის პირველწარმომთქმელი. ეს გახლავთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი. სწორედ ის როდიონოვი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა 1989 წლის 9აპრილის მიტინგის დარბევას. (სხვათაშორის, ამ ტრგედიის შემდგომ მას ერგო პატივი, გამხდარიყო გენშტაბის სამხედრო აკადემიის რექტორი).

1989 წლის 16 ივლისს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოველდღიურ გაზეთ "[illegible]"-მ გამოაქვეყნა ი.როდიონოვის ღია წერილი, რომელიც იმავე დღეს გამოქვეყნდა გაზეთ "[illegible]"-ის 16 ივლისის ნომერში. გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ წერილიდან:

"[illegible] 10 [illegible] "[illegible]", "[illegible]", "[illegible]".

აი, ვის ეკუთვნის ამ ცნობილი რუსული იმპერიული ლოზუნგის: "[illegible]"-ის პერიფრაზი. თუმცა, ვეჭვობ, რომ ფრაზა "საქართველო ქართველებისათვის" - თავად ი. როდიონოვს მოეფიქრებინა. რადგან დეზინფორმაციის მომზადებასა და გავრცელებაზე სხვადასხვა სამსახურები ზრუნავენ. გასაკვირი ისაა, რატომ იმეორებენ ამას ზოგიერთები საქართველოში. თუმცა, ამ ბრალდებების გამახმოვანებელი საქართველოში სწორედ ის მოქალაქეები არიან, რომლებიც ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებდნენ აფხაზებთან გარიგების გამო. გაიხსენეთ აფხაზეთის ე.წ. "აპარტეიდული" საარჩევნო კანონი, რომლითაც ვითომდაც ილახებოდა ქართველების უფლებები აფხაზეთში (28 აფხაზი+26 ქართველი +11 შერეული). იგულისხმებოდა, რომ აფხაზეთის დეპუტაციას 2 ხმით მეტი თუ ჰქონდა, ქართველთა უფლებები ილახებოდა. ეს იმ პირობებში, როცა საკონსტიტუციო ცვლილებებს ხმათა 2/3 ჭირდებოდა და პრეზიდენტს კი ვეტო-ს უფლება ჰქონდა. ხოლო მოგვიანებით, როცა შევარდნაძის ხანაში დავკარგეთ კონტროლი ამ ტერიტორიაზე, დაიღუპა 15 000 ადამიანი და 300 000 ადამიანი დევნილი გახდა თავის სამშობლოში, ეს ხალხი უკვე დუმდა. ასევე არ შემიძლია არ გავიხსენო ლოზუნგი "შევარდნაძე - გამსახურდიას ალიანსი". ვინც ამას გაიძახოდა 1991 წლის 22 დეკემბრამდე, სწორედ ისინი დახვდნენ 1992 წლის 7 მარტს ედ. შევარდნაძეს ოვაციებით. და იგივენი იყვნენ მუხლებზე დაცემულები მის წინ რუსთაველის გამზირზე.

ჩვენი წერილის ადრესატი გახლავთ ახალგაზრდობა. ის თაობა, რომელიც ამ პერიოდს განიხილავს, როგორც ისტორიას და თავად არ მოსწრებია უშუალოდ ამ მოვლენებს.

იმისათვის, რომ განიხილოთ და განსაჯოთ დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, აუცილებელია უახლესი ისტორიის ცოდნა. პრეცედენტები და ანალოგიები ისტორიასა და პოლიტიკაში არის საფუძველი პოლიტიკური ანალიზისათვის. მხოლოდ ერთი რჩევა მაქვს - ეძებეთ პირველწყარო!!!

ნურავის ნუ ენდობით სიტყვაზე. ავტორიტეტული არის მხოლოდ ფაქტი და არგუმენტი.

# 10-მილიონიანი სიები თუ რეესტრის ნდობა?

გიორგი ასანიშვილი

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფმა გაითვალისწინა მრავალწლიანი პრაქტიკა და სულ ცოტა ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფების შექმნის შესახებ, რომელსაც საარჩევნო სიების გადამოწმება დაევალება. თუმცა, ამ შეთანხმებიდან მოკლე ხანში კიდევ ერთხელ რწმუნდება ყველა, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარება ძვირი სიამოვნებაა - ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მონიტორინგის ჯგუფების დასაკომპლექტებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარის გამოყოფას ითხოვენ.

გარდა ამისა, "მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ თუ მონიტორინგის ჯგუფების დაკომპლექტებაში არასაპარლამენტო ოპოზიცია მონაწილეობას არ მიიღებს, მაშინ მათ ჩამოყალიბებას აზრი არა აქვს.

"**საქმე ეხება სულ რამდენიმე მილიონ ლარს. მესმის, რომ ეს იაფი არ არის, მაგრამ იგი არ აღემატება ერთი დისკოთეკის ორგანიზებისთვის საჭირო სახსრებს, რომელსაც ზოგიერთი პარტია წინასაარჩევნო პერიოდში ხარჯავს. სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად ამ ხარჯების გაწევა აუცილებელია,**" - მიიჩნევს "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია.

თავის მხრივ, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელი გიორგი გოგნიაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორ დაკომპლექტდება მონიტორინგის ჯგუფები და მოიცავენ თუ არა ისინი ყველა საარჩევნო უბანს.

"**ყველა საარჩევნო უბნის სიის შემოწმებას, დაახლოებით, 10 მილიონი ლარი სჭირდება. თუ ამ ოდენობის თანხა ვერ გამოიყოფა, მაშინ სიების შემოწმება საარჩევნო უბნების შერჩევის გზით უნდა მოხდეს,**" - აცხადებს ედპ-ს წარმომადგენელი.

მართალია, "მრეწველების" ლიდერ ზურაბ ტყემალაძეს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, მიიღებს თუ არა მონაწილეობას მონიტორინგის ჯგუფების დაკომპლექტებაში, მაგრამ იმას უკვე გადაჭრით ითხოვს, რომ იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამს, შესაბამისი პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს.

"**საარჩევნო სიებთან მიმართებით ყოველთვის არსებობდა კითხვის ნიშნები და ისინი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიფანტოს, ამისთვის კი საჭიროა, სიების გადამოწმების პროცესში მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა მიიღოს მონაწილეობა,**" - აღნიშნავს ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძე. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია უარს იტყვის მონიტორინგის ჯგუფებში მუშაობაზე, მისი (თორთლაძის) თანაგუნდელები ამას მაინც გააკეთებენ.

მმართველი გუნდის წარმომადგენელთა თქმით კი, საარჩევნო სიების დასახვეწად სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე საკმაოდ დიდი თანხები გამოიყო და ამიტომ ამ მიმართულებით დამატებითი სახსრების გამოყოფა მიზანშეუწონელია.

"**ცესკო-მ და სამოქალაქო რეესტრმა პირველად მოგვცეს იმის გარანტია, რომ საარჩევნო სიების სიზუსტე 90 პროცენტზე მაღალი იქნება. ამდენად, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ამ საქმისთვის დამატებითი სახსრების გამოყოფა გაუმართლებელია,**" - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი. იგი იქვე დასძენს, რომ სახელისუფლებო გუნდი მზად არის, დაეთანხმოს ნებისმიერ წინადადებას, რომელიც მონიტორინგის ჯგუფების მუშაობას გააუმჯობესებს.

გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის გუშინდელ შეხვედრაზე სპეციალური საარჩევნო უბნების საკითხიც განიხილებოდა. ოპოზიცია ითხოვს, რომ სპეცუბნები საერთოდ გაუქმდეს ან ამ უბნებზე მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა მოხდეს...

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის ფარგლებში მიღწეულ ყველა შეთანხმებას გაეცნობა და შეფასებებს მისცემს ვენეციის კომისია, რომელიც თბილისში, სავარაუდოდ, 4 ივლისს ჩამოვა.

# თანამედროვე ქართული ფერწერა "პროკრედიტ ბანკმა" უკრაინაში გამოფინა

სოფო ჩიხლაძე






ცოტა ხნის წინ კიევის საზოგადოებას ქართული კულტურის, კერძოდ კი, თანამედროვე ქართული ფერწერის შესანიშნავი ნიმუშების გაცნობის შესაძლებლობა მიეცა. ფიროსმანის გამოფენის შემდეგ, რომელიც უკრაინის დედაქალაქში ორი წლის წინ მოეწყო, იქ მცხოვრებ ქართველებს კიდევ ერთხელ აქვთ შესაძლებლობა, საქართველოში შესრულებული და ქართული სულით გაჯერებული ფერწერის შესანიშნავი ნიმუშები დაათვალიერონ. თანამედროვე ქართული ფერწერის სკოლის ოსტატების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა კიევში "პროკრედიტ ბანკის" ორგანიზებით გაიმართა, იდეა კი ბანკის გენერალურ დირექტორ ფილიპ პოტს ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და ქართველი ხელოვანების მხარდაჭერის მიზნით 2007-2008 წლებში "პროკრედიტ ბანკის" მიერ განხორციელდა პროექტი "ProArt", რომლის ფარგლებშიც ბანკის ოფისებში პერსონალური გამოფენის მოწყობის შესაძლებლობა 38 ქართველ თანამედროვე მხატვარს მიეცა. ნამუშევრები გამოფენილი იყო არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც, იმ ქალაქებში, სადაც "პროკრედიტ ბანკი" არის წარმოდგენილი. ამ პროექტის ფარგლებში უკვე გაიყიდა სხვადასხვა მხატვრის 100-ზე მეტი ნამუშევარი. 2009 წლის დასაწყისში "პროკრედიტ ბანკი - საქართველომ" გამოსცა კატალოგი, სადაც მოცემულია პროექტის მონაწილე მხატვრების პერსონალური ნამუშევრების ფოტომასალა, ასევე მათი ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია. კატალოგი იმ 22 ქვეყანაში გავრცელდა, სადაც "პროკრედიტ ჯგუფი" მოღვაწეობს. ეს ხელს უწყობს ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციას და საზოგადოების დაინტერესებას ქართველი მხატვრების შემოქმედებით.

ანალოგიურ პროექტს ასევე ორი წელია "პროკრედიტ ბანკი - უკრაინა" ახორციელებს სახელწოდებით "პროკრედიტ არტ". სწორედ ამიტომ, ფილიპ პოტის გადაწყვეტილებით, თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრები პირველ რიგში კიევში გამოიფინა, რისთვისაც "პროკრედიტ ბანკი - უკრაინის" კლიენტების მიერ კატალოგიდან "ProArt"-ში მონაწილე 5 მხატვრის 30-მდე ნამუშევარი შეირჩა. ეს მხატვრები არიან: ნინო ფერაძე, ქეთევან შალამბერიძე, ელდარ ქავშბაია, გიორგი გოგლიძე და მურთაზ შველიძე.

ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის გახსნა კიევის ძველ უბანში, ისტორიულ ადგილას, საგაიდაჩნის ქუჩაზე "პროკრედიტ ბანკი - უკრაინას" ახალი, სამოცდამეთვრამეტე ფილიალის გახსნას დაემთხვა. გახსნის ცერემონიალს კიევის მაღალი საზოგადოება და ფრანკფურტიდან სპეციალურად ფილიალის გახსნასა და ქართველი მხატვრების გამოფენაზე დასასწრებად ჩამოსული "პროკრედიტ ბანკი - უკრაინას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ანია ლეპი ესწრებოდა. მან ღონისძიების შესახებაც ისაუბრა და რამდენიმე ეკონომიკური განცხადებაც გააკეთა... **"მიხარია, რომ ვესწრები "პროკრედიტ ბანკის" ახალი განყოფილების გახსნას კიევში. როგორც მითხრეს, ეს არის დედაქალაქის ისტორიული ნაწილი, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს... ძალიან კარგია, როცა გარდა იმისა, რომ უშუალოდ ჩვენი საქმით ვართ დაკავებული, ასევე შეგვიძლია ჩავიხედოთ კულტურისა და ხელოვნების ჯადოსნურ სამყაროში. ეს არაჩვეულებრივია... ბედნიერი ვარ, რომ დღეს იხსნება ეს შესანიშნავი განყოფილება. მჯერა, კარგი მომავალი და უამრავი კმაყოფილი კლიენტი გვეყოლება. მართალია, ამბობენ, თითქოს კრიზისი დამთავრდა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ასე არ არის. საგულისხმოა, რომ ამ განყოფილების გახსნა სწორედ კრიზისის პერიოდში ხდება. ჩვენი სიგნალი ამ მომენტში არის შემდეგი: გვჯერა "პროკრედიტ ბანკის" და უკრაინის ეკონომიკური ბაზრის. ჩვენ უკრაინაში ნაყოფიერი მუშაობა გველის,"** - აცხადებს ანია ლეპი.

"პროკრედიტ ბანკი - საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა ფილიპ პოტმა ფილიალისა და გამოფენა-გაყიდვის საზეიმო გახსნის შემდეგ ჩვენთან საუბრისას შემდეგი განცხადება გააკეთა: **"მოხარული ვარ, რომ შევძელით "ProArt"-ის კოლექციიდან 5 ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენის მოწყობა კიევში. ეს ღონისძიება პირველ რიგში ხელს შეუწყობს იმას, რომ უკრაინელი საზოგადოება უკეთ გაეცნობა ქართულ ხელოვნებას, მეორეს მხრივ კი ჩვენ ვეხმარებით ქართველ მხატვრებს თავიანთი ნამუშევრების გამოფენასა და გაყიდვაში... იმედი მაქვს, მოვახერხებთ უკრაინელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენების მოწყობას თბილისში "პროკრედიტ ბანკის" ფილიალებში... რაც შეეხება ნახატებს, მინდა აღვნიშნო, რომ მე ყველა ნამუშევარი მომწონს, რომლებიც "ProArt"-ის ფარგლებში იყო გამოფენილი. ამ ნახატებში წარმოდგენილია სხვადასხვა სტილი, მოტივები და თემები. ისინი შესანიშნავად წარმოაჩენენ, თუ რამდენად მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ხელოვნება".**

აღსანიშნავია, რომ ქართველი მხატვრების ნამუშევრების ხილვის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ არა მხოლოდ რიგითი დამთვალიერებლები, არამედ ცნობილი უკრაინელი ხელოვანები. **"ქართველო მეგობრებო და ძმებო, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კიევში მოეწყო ქართველი მხატვრების შესანიშნავი გამოფენა. მათთან შეხვედრა და ნამუშევრების ხილვა - ეს არის საქართველოსთან, ნამდვილ ხელოვნებასთან შეხვედრა. ჩვენ დიდი ხანი ველოდით ამ დღეს. მინდა გითხრათ, რომ ახლა სულში დღესასწაული მაქვს... მე და ელდარ ქავშბაია, რომლის ნამუშევრებიც არის ამ გამოფენაზე წარმოდგენილი, ერთად ვმუშაობდით ქუთაისში სიმპოზიუმზე და ძალიან დავმეგობრდით... საქართველო არის ჩემი მეორე სამშობლო, მე იქ მყავს უამრავი მეგობარი, ძალიან ნიჭიერი მხატვრები... ყველაზე დიდი უბედურება, არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, არამედ მთელი მსოფლიოსი, არის კონტაქტების ნაკლებობა. ასეთი ღონისძიებები რაც შეიძლება ხშირად უნდა გაიმართოს, რადგანაც მეგობრებთან და მონათესავე სულებთან შეხვედრა ხელოვნებაში, და არა მარტო აქ, უმნიშვნელოვანესია,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას უკრაინის სახალხო მხატვარმა და მოქანდაკემ იული სინკევიჩმა.

ღონისძიებას, უკრაინელ საზოგადოებასთან ერთად, ესწრებოდნენ იქ მცხოვრები ქართველები და უკრაინაში საქართველოს ელჩი გრიგოლ ქათამაძე. **"ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა "პროკრედიტ ბანკიდან" დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ კიევში "პროკრედიტ ბანკი" - უკრაინას ერთ-ერთი ფილიალის გახსნის პარალელურად ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა მოეწყობოდა... სამწუხაროდ, რუსულ პროპაგანდას ძალიან დიდი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მათ შორის უკრაინაში. ასეთი ღონისძიებების მოწყობა უმნიშვნელოვანესია, რადგანაც საქართველოს შესახებ უკრაინის საზოგადოება გებულობს არა მხოლოდ მიტინგებზე და პრობლემებზე, არამედ ის ეცნობა შესანიშნავ ქართულ ფერწერულ ნამუშევრებს და ხედავს, რომ საქართველო ძალიან გაბედულად, მშვიდად უყურებს მომავალს... ამდენად, ეს ღონისძიება ძალიან მნიშვნელოვანია. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა "პროკრედიტ ბანკს" დიდი მადლობა გადავუხადო უკრაინაში ჩვენი ქვეყნის ასე ლამაზად წარმოჩენისათვის,"** - გვითხრა უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ.

რაც შეეხება რუსული უარყოფითი პროპაგანდის გავლენას, კერძოდ, უკრაინაში, ის განსაკუთრებით მძლავრია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ რეგიონის ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას პროექტ "ProArt"-ის ფარგლებში ქართული კულტურის გაცნობის შესაძლებლობა უახლოეს მომავალში მიეცემა. "პროკრედიტ ბანკი - უკრაინას" ახალ ფილიალში 5 ქართველი მხატვრის ნამუშევრები ოთხი კვირის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი, შემდეგ კი მათი ხილვა შესაძლებელი იქნება "პროკრედიტ ბანკი - უკრაინას" სხვადასხვა ქალაქების ფილიალებში.

გამოფენის დასრულების შემდეგ დადებითი ემოციებით დატვირთული მხატვრები, რომლებმაც დამთვალიერებლებისგან ბევრი ქათინაური მიიღეს, ჩვენთან საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ გამოფენამ მოლოდინს გადააჭარბა... მხატვარმა გია გოგლიძემ კიევში სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრები წარმოადგინა. ამბობს, რომ ძნელია, ხუთი ნახატით შენი ქვეყანა და შემოქმედება წარმოაჩინო. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ეს გამოფენაში მონაწილე ყველა მხატვარმა შეძლო. **"ნახატი არ უნდა იყოს ჩაკეტილი, ის უნდა გამოიფინოს. ნახატს გააჩნია თავისი ენერგეტიკული სივრცე, რომელიც უნდა გამოვიდეს ნამუშევრიდან სწორედ გამოფენების მეშვეობით. "ProArt"-ით უმნიშვნელოვანესი პროექტი შედგა. ის, რომ დღეს კიევში შესანიშნავ გამოფენაზე ვიმყოფებით, ბევრს ნიშნავს. ამის ორგანიზება ძალიან რთული იყო, მაგრამ ეს გამოფენა მოეწყო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "პროკრედიტ ბანკს" ამ შესანიშნავი ექსპოზიციისთვის,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას მხატვარმა გია გოგლიძემ. **"დღეს ფუფუნებაა, საკუთარი ნამუშევრები სახელოსნოდან გამოიტანო და გამოფენა მოაწყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. "ProArt" კი ამ ყველაფერში დაგვეხმარა. პროექტის მეშვეობით მხატვრებმა შევძელით ერთმანეთის ნამუშევრების ხილვა და, რაც მთავარია, მოგვეცა შესაძლებლობა, ქართული კულტურა და შემოქმედება ქვეყნის გარეთ გაგვეტანა,"** - გვითხრა მხატვარმა ელდარ ქავშბაიამ. **"კიევში "ProArt"-ის ფარგლებში შესანიშნავი გამოფენა მოეწყო, ძალიან ბედნიერი ვარ, რადგანაც მომეცა შესაძლებლობა, ამ გამოფენაში მონაწილეობა მიმეღო,"** - აღფრთოვანებას ვერ ფარავს მხატვარი ქეთევან შალამბერიძე. **"ძალიან სასიამოვნოა, რომ არსებობს, პროექტი, რომლის ფარგლებშიც ადამიანები, გარკვეული ორგანიზაცია ზრუნავენ მხატვრებზე. როცა გაძლევენ იმის საშუალებას, რომ გამოიფინო, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო და მისასალმებელია. მოხარული ვარ, რომ ამ პროექტში მოვხვდი. უკრაინელმა საზოგადოებამ ჩვენს მიმართ დიდი სითბო და მადლიერება გამოიჩინა,"** - ამბობს მხატვარი ნინო ფერაძე. **"ყველა მოგზაურობა და ყველა პროექტი მხატვრებისთვის ახალი სტიმულის და ახალი ენერგიის მომცემია. რამდენიმე მხატვრის ნამუშევრის ერთად წარმოდგენა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებას. ყველა ექსპოზიციას თავისებური შარმი აქვს... რაც შეეხება "ProArt", ასეთი ხანგრძლივი პროექტი მხატვრობაში არ განხორციელებულა. "ProArt"-ი სულ ვითარდება და იხვეწება..."** - აღნიშნავს მხატვარი მურთაზ შველიძე.

ქართველი მხატვრების ნამუშევრები უკრაინის 10 ქალაქში პერიოდულად ორი თვის განმავლობაში იქნება გამოფენილი.

### მოთხოვნა განაჩენის საფუძველზე

დედოფლისწყაროს რაიონში მცხოვრები 84 წლის გიორგი მჭედლიშვილი გინესის რეკორდსმენის სტატუსის მინიჭებას ითხოვს.

ოფიციალური ინფორმაციით, სასამართლომ გიორგი მჭედლიშვილი 2007 წელს 5- ტონიანი ავზის ქურდობის ბრალდებით გაასამართლა და დამნაშავედ ცნო.

იმ მიზეზით, რომ მოხუცი არ დაეპატიმრებინათ, დამცველის რჩევით, მან დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია, აღიარა. სასამართლომ კი მას 2 წლით პირობითი სასჯელი შეუფარდა. განაჩენის მიხედვით, მოხუცმა 5-ტონიანი ავზი მარტომ მოიპარა. განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, მოხუცი პრეტენზიას გინესის რეკორდსმენობაზე აცხადებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ორგანიზებული დანაშაულებრი ჯგუფის წევრები დააკავეს

სამართალდამცველებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

როგორც საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ თოფურიძემ განაცხადა, კუდ-ის თანამშრომლებმა ჯემალ გუბენაძე და გია ჩიკვილაძე დააკავეს, რომლებიც მეწარმეს ბიუჯეტში გადასახდების სახით გადახდილი 6 მილიონი ლარის უკან დაბრუნებას პირდებოდნენ, სანაცვლოდ კი, 2 მილიონ ლარს ძალავდნენ.

სოსო თოფურიძის განმარტებითვე, გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებს დაზმარებას სახელმწიფო მოხელეები უწევდნენ, რომელთა დასაკავებლად აქტიური ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს.

*პირველი*

### იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები დევნილთა სამართლებრივ პრობლემებს გაეცნენ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ პრობლემებს გაეცნენ. ამ მიზნით მათთან შეხვედრა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე აკაკი სეფერთელაძემ გამართეს.

როგორც კობა სუბელიანმა განაცხადა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად მისი უწყების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არაკეთილმოსურნეთა მხრიდან ხშირად არასწორი ინტერპრეტაცია ეძლევა. იურიდიული დახმარების სამსახურთან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლობა კი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ დევნილი მოსახლეობა მათთვის საინტერესო ინფორმაციას ზუსტად და დაუმახინჯებლად გაეცნობა.

როგორც აკაკი სეფერთელაძემ განაცხადა, სახელმწიფო ყველა მოქალაქეზე ზრუნავს. მათ სოციალურ წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს.

„ჩვენი უწყების საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი ის არის, რომ მართლმსაჯულება ყველასთვის არსებობს. იურიდიული სამსახურის იურისტები დევნილებს უფასო სამართლებრივ კონსულტაციებსა და საადვოკატო მომსახურებას გაუწევენ," - განაცხადა აკაკი სეფერთელაძემ.

*მედიანიუსი*

### ინციდენტი წყნეთში

გუშინწინ, ღამით, წყნეთში 17 წლის დავით ლეჟავა დაჭრეს. ინციდენტი ღამის პირველ საათზე რუსთაველის ქუჩაზე მოხდა. დავით ლეჟავას ჭრილობა სავარაუდოდ დანით აქვს მიყენებული.

ერთ-ერთი ინფორმაციით, ახალგაზრდები ერთმანეთს მეგობრის, გიან ბაბიაშვილის დაბადების დღეზე დაუპირისპირდნენ. მათ ურთიერთობების გარკვევა მოგვიანებით ქუჩაში სცადეს, რა დროსაც ლეჟავა დაიჭრა.

მომხდართან დაკავშირებით, მოწმის სახით დაიკითხა 7 ადამიანი. მათ შორის გია კორკოტაშვილის შვილი ვაჟა კორკოტაშვილი. მოწმეთაგან ერთ-ერთს, ლევან კიტოვანს, რომელიც თენგიზ კიტოვანის ახლო ნათესავია, ასევე ალებინეს სახეზე დაზიანებები. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სეპარატისტების ულტიმატუმი

*უპრეცედენტო კრიმინალი - ასე ფასდება ორი დღის წინ, გალის რაიონის სოფელ დიხაზურგადან სამი მცირეწლოვანი ბავშვის, მათი დედის, ბებიისა და ინვალიდი ბიძის გატაცების ფაქტი. გატაცება გვიან ღამით მოხდა. აფხაზური სპეცრაზმის წევრები ხარჩილავების ოჯახში შეიჭრნენ და მას შემდეგ, რაც იქ ოჯახის უფროსი ვერ ნახეს, ოჯახის ყველა წევრი მძევლად აიყვანეს.*

გატაცებულების ზუსტი ადგილსამყოფელი ამ დროისთვის კვლავ უცნობია, თუმცა, ერთ-ერთი ვერსიით, სეპარატისტებმა ისინი გალიდან ოჩამჩირეში გადაიყვანეს.

სეპარატისტები გატაცებულთა ოჯახის უფროსის სოსო ხარჩილავას ჩაბარებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წამებით იმუქრებიან.

საქმე ისაა, რომ, როგორც გაირკვა, სოსო ხარჩილავას სეპარატისტები ერთ-ერთი აფხაზი „ბოევიკის" მკვლელობაში ადანაშაულებენ.

**„თუკი ბავშვების მამა სოსო ხარჩილავა ოჩამჩირეში, მილიციის ყოფილ შენობაში არ გამოცხადდება, მისი ოჯახის წევრებს გავანადგურებთ,"** - ასეთია სეპარატისტების ულტიმატუმი.

გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სეპარატისტები სოსო ხარჩილავას მას შემდეგ ეძებენ, რაც მან აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელი გალის რაიონის სოფელ მუხურის გამგებლის გატაცებაში ამხილა.

**„აფხაზ სეპარატისტებს ხარჩილავების ოჯახის წევრები მძევლად იმისთვის ჰყავთ, რომ მათი ოჯახის უფროსი, ვითომდა დამნაშავე სოსო ხარჩილავა აფხაზურ მილიციას ჩაბარდეს. თუ სოსო ხარჩილავა დამნაშავეა, მაშინ სამართალდამცველებმა უნდა გამოიძიონ საქმე და ის დააკავონ. ამის ნაცვლად კი ისინი უპრეცედენტო კრიმინალს ჩადიან და მცირეწლოვან ბავშვებს მძევლად იმიტომ იყვანენ, რომ ხარჩილავას დაკავება შეძლონ. ჩვენ ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩავაყენებთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და განსაკუთრებულად - ევროს-ს მისიას. ეს არის ყოვლად აღმაშფოთებელი ფაქტი იმის ფონზე, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტურ რეგიონებში მოსახლეობისთვის მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს შექმნას ცდილობენ,"** - განუცხადა სააგენტო „მედია-ნიუსს" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარ მალხაზ აკიშბაიამ.

მისივე განმარტებით, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ განუკითხაობას, რომელიც აფხაზეთშია გამეფებული და მთელი გალის რაიონის მოსახლეობა აფხაზეთში შექმნილი ვითარების მძევალია. მალხაზ აკიშბაიას თქმით, ამ ფაქტზე საერთაშორისო თანამეგობრობამ ადეკვატური რეაგირება უნდა მოახდინოს.

აფხაზეთის მთავრობა მომხდართან დაკავშირებით, დეტალურ ინფორმაციას შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს მიაწვდის.

პოლიტიკური მოძრაობა „ჩვენ თვითონის" თავმჯდომარე პაატა დავითაია კი გალის რაიონში სიტუაციის დაძაბვას აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნების მოახლოებას უკავშირებს. მისი შეფასებით, წინასაარჩევნო სიტუაციის ფონზე ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება.

**„არჩევნებში მონაწილე ყველა მხარე შეეცდება, გალში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლა განახორციელოს. სწორედ ამას უკავშირდება გალში მომხდარი გატაცება, ასევე ის ფაქტი, რომ რუსი ოკუპანტების მიერ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი სრულიად ჩაკეტილია,"** - აცხადებს პაატა დავითაია.

**„ხარჩილავების ნათესავები დახმარებისთვის გაეროს მისიას მიმართავენ, რადგან გალის მილიციისგან, რომელიც მომხდარის თანამონაწილეა, დახმარების მოლოდინს აზრი არ აქვს,"** - აცხადებს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი პაატა შამუგია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# მამა ალიმენტის გადახდას ითხოვს

მაია მეცხვარიშვილი

*ქუთაისიდან*

*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. ამავე კოდექსის თანახმად, თუკი მშობლები ვერ თანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავა სასამართლოში წარიმართება.*

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის დავებში, როგორც წესი, მოსარჩელეებად ქალები გვევლინებიან - დედები, რომლებიც განქორწინების შემდეგ ზრუნავენ შვილებზე და მათი რჩენისთვის ალიმენტს ითხოვენ მამებისგან, ანუ ყოფილი მეუღლეებისგან. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, ერთი წლის წინ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 5 შვილის მამის - დავით გვეტაძის სარჩელი განიხილა და შვილების დედას, ანუ გვეტაძის ყოფილ მეუღლეს - თეა ფანცხავა-გვეტაძეს თითოეული შვილის სასარგებლოდ 50-50 ლარის ალიმენტის, საერთო ჯამში, თვეში 250 ლარის გადახდა დაეკისრა.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეცვლას თეა ფანცხავა-გვეტაძემ ერთი წლის შემდეგ კვლავ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეეცადა და ალიმენტის ოდენობის შეცვლა მოითხოვა, კერძოდ, თითოეულ ბავშვზე დაკისრებული 50 ლარის 20 ლარამდე შემცირება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით, ალიმენტის თანხის ოდენობა თითოეულ ბავშვზე 40 ლარამდე შემცირდა. ეს გადაწყვეტილება დავით გვეტაძემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

თეა ფანცხავა-გვეტაძე მიუთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა მეუღლის მხრიდან მასზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის ფაქტებს, რის გამოც ის საცხოვრებლად მშობლების სახლში გადავიდა, შვილები კი მამასთან დატოვა. ამის შემდეგ, იგი რუსეთის ფედერაციაში გაემგზავრა სამუშაოდ, საიდანაც 2008 წლის მაისში დაბრუნდა. სწორედ მაშინ გახდა მისთვის ცნობილი, რომ ქუთაისის 2007 წლის 5 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შეწყვეტილი იყო მისი რეგისტრირებული ქორწინება, ხოლო იმავე სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის, ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დაკისრებული ჰქონდა ალიმენტის გადახდა - თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით. დაკისრებულ თანხას ფანცხავა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იხდიდა. ერთი წლის შემდეგ კი მან სასამართლოსგან ალიმენტის თანხის შემცირება მოითხოვა იმ მოტივით, რომ გაუარესდა მისი ჯანმრთელობის და მატერიალური მდგომარეობა.

**„სასამართლო ითვალისწინებს იმას, რომ მოსარჩელე იმყოფება ავად და მისთვის ფიზიური დატვირთვა არ შეიძლება, ოჯახი განიცდის მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას,"** - ნათქვამია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ თეა ფანცხავა-გვეტაძეს ხუთი შვილისთვის თვეში 250 ლარის ნაცვლად, 200 ლარის ალიმენტის გადახდა დაეკისრა, თუმცა იგი თანხის 100 ლარამდე შემცირებას ითხოვდა.

დავით გვეტაძე უკანონოდ მიიჩნევს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და ყოფილი მეუღლისგან შვილებისთვის 250 ლარის გადახდას მოითხოვს. გვეტაძე მიუთითებს, რომ ადგილი არ ჰქონია ოჯახური ძალადობის ფაქტებს და რომ დედამ თავად მიატოვა ხუთი შვილი. ამასთან, ის გაყალბებულად მიიჩნევს ყოფილი მეუღლის ავადმყოფობის შესახებ ცნობას და არც მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შესახებ განცხადებას იზიარებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ამ ინსტანციაში არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ალიმენტის მინიმალური ოდენობა, როგორც წესი, ერთ ბავშვზე 50 ლარს შეადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე - შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში.

საქართველოს კანონმდებლობით, ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხდება ქონების დაყადაღება, თანხის იძულებით ამოღება და „ურჩი" მშობლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

# „სონი-ცენტრის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა

*თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ შპს სონი-ცენტრის", შპს ლაზარი-2 თბილისის" და შპს კაფე რუსთაველის" სარჩელის განხილვა დაასრულა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურმა გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრესრელიზი გაავრცელა.*

„დავა ეხებოდა რუსთაველის გამზირზე N30-ში მდებარე უძრავ ქონებას, რომლის მესაკუთრეც ეკონომიკური განვითარების სამინისტროა, რომელსაც ქონება ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ გადაეცა. მანამდე, აღნიშნული ფართი იჯარის ხელშეკრულებით აღებული ჰქონდათ ზემოთ ჩამოთვლილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს. მოსარჩელეები იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას ასაჩივრებდნენ და სახელმწიფოს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას სთხოვდნენ.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ თბილიში, რუსთაველის N30-ში მდებარე უძრავი ქონების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკუთრებაში გადასვლის მიუხედავად, სამინისტროსა და მოსარჩელეებს შორის საჯარო ურთიერთობები არ წარმოშობილა, ამას სამინისტროს არც მოქმედი კანონმდებლობა და არც არსებული ხელშეკრულება არ ავალდებულებდა. შესაბამისად, არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში 14 დღის ვადაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის დღიდან," - ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებაში.

# უკრაინის საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევა ჩაიშალა

ივა შილაკაძე

უკრაინის პოლიტიკური ელიტა და პოლიტოლოგები ბოლო ორი დღეა იმის გამოცნობას ცდილობენ, თუ რამ ჩაშალა იულია ტიმოშენკოს ბლოკსა და რეგიონების პარტიას შორის ნახევრად ფარულად, მაგრამ აქტიურად მიმდინარე მოლაპარაკებები, რომლის შედეგიც თითქოს ფართო საპარლამენტო კოალიციის შექმნა და კონსტიტუციის ახალი ვარიანტის მიღება უნდა გამხდარიყო, რაც ქვეყნის მთლიანად საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევას ნიშნავდა.

მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და მის შესახებ სრული ინფორმაცია ამ ბლოკების რიგით დეპუტატებსაც არ ჰქონდათ. სხვათა შორის, აქამდე დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის საერთო ენის გამონახვის იმედი ბევრ პოლიტიკოსს არც არასდროს ჰქონია - როგორც ამ ძალების შიგნით, ასევე გარეთ.

ამ რამდენიმე დღის წინ პრესაში გაჟონა კონსტიტუციის პროექტმა, რომელმაც ლამის შოკი გამოიწვია როგორც პოლიტიკოსებში, ასევე სპეციალისტებში. ის აშკარად არავის მოეწონა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახალი ვარიანტი, რბილად რომ ვთქვათ, დაუმუშავებელია. მასში ბევრი ურთიერთგამომრიცხავი მუხლია, გასამართია იურიდიულადაც და სტილისტურადაც და რაც მთავარია - ის, დემოკრატიის თვალსაზრისით, უკან გადადგმული ნაბიჯია. ზოგი პოლიტიკოსის და ექსპერტის აზრით, ეს პროექტი, ფაქტობრივად, ხელშეუხებელი პოლიტიკური ელიტის წარმოშობას გამოიწვევს,



AFP ' 2009

*იუშჩენკო პრეზიდენტის პარლამენტში არჩევის პრინციპული მოწინააღმდეგეა*

რომლის განკარგულებაშიც მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება აღმოჩნდება. მათ შესაცვლელად კი მომავალში მხოლოდ ერთადერთი საშუალება - რევოლუცია დარჩება. ისინი მიიჩნევენ, რომ ასეთი ვარიანტის შეთავაზება ხალხის 80 პროცენტის ნებას ეწინააღმდეგება და უკრაინელებისათვის, უბრალოდ, შეურაცხყოფაა. ყველაფერს კი წერტილი დაუსვა 7 ივნისს □რეგიონების პარტიის□ლიდერ ვიქტორ იანუკოვიჩის გამოსვლამ. უფრო ზუსტად, განცხადება □რეგიონების პარტიის□ვებ-გვერდზე დაიდო.

იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება საკონსტიტუციო პროექტის საკვანძო საკითხს - პრეზიდენტის პარლამენტში არჩევას და აქტიურად ჩაერთვება პირდაპირ საარჩევნო კამპანიაში. იმავე დღეს ტელევიზიით გამოვიდა პრემიერი იულია ტიმოშენკო, იანუკოვიჩს შეთანხმების დარღვევაში დასდო ბრალი, ზედ მიაყოლა სხვა წვრილმანი ბრალდებებიც და განაცხადა, რომ ისიც ოფიციალურად ერთვება საპრეზიდენტო მარათონში და გამარჯვებასაც მოიპოვებს. ორივე მხარე აქტიურად აპელირებდა ხალხის, სახელმწიფოს ინტერესებსა და დემოკრატიის უზენაესობაზე, თუმცა ეს, ცხადია, აუცილებელი "შეფუთვის" ნაწილია.

ექსპერტები უფრო იქით იხრებიან, რომ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში დაპირისპირებული პარტიების გაერთიანებით მაინც იულია ტიმოშენკოს ბლოკი რჩებოდა მოგებული. მას, როგორც უფრო მობილიზებულ და რეალური ძალაუფლების მქონე ძალას, □რეგიონების პარტიის□ "გადაყლაპვის" შანსი უჩნდებოდა, იანუკოვიჩს კი რჩებოდა მხოლოდ პრეზიდენტის თანამდებობა მარტოოდენ წარმომადგენლობითი ფუნქციებით, რაც მის ამბიციას არ აკმაყოფილებს. ბევრი ფიქრობს, რომ ის შეიძლება ცოტა გვიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიხვდა ამას. ბევრი მარჩიელობს იმაზე, თუ ვინ ან რამ უბიძგა იანუკოვიჩს ამ გადაწყვეტილებისკენ - რუსეთმა, პრეზიდენტმა იუშჩენკომ თუ საკუთარმა ალღომ (რითიც აქამდე მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა). სხვათა შორის, პრეზიდენტი იუშჩენკო ღიად აცხადებს, რომ ის პრეზიდენტის პარლამენტში არჩევის პრინციპული მოწინააღმდეგეა, ამ ვარიანტის არდასაშვებად კონსტიტუციური ბერკეტიც აქვს და ამაში, ბოლოს და ბოლოს, იანუკოვიჩიც დაარწმუნა.

უკრაინელი პოლიტოლოგების უმრავლესობა თანხმდება იმაზეც, რომ დღეს უფრო წამგებიან სიტუაციაში იულია ტიმოშენკოა, რომელმაც დიდი დრო და ენერგია დახარჯა ამ წარუმატებელ პროექტზე და ახლა მდევრის როლში აღმოჩნდა. ეს აზარალებს მის რეიტინგს. პროდასავლურად განწყობილ ამომრჩევლებს შეიძლება ეჭვი შეეპაროთ მის ორიენტაციაში. ამ ამომრჩეველთა ნაწილი არსენ იაცენიუკის ბანაკში აღმოჩნდება, ნაწილი კი ალბათ ისევ პრეზიდენტ იუშჩენკოს დაუჭერს მხარს, როგორც უფრო პრინციპულ და კონსტიტუციის "სადარაჯოზე" მყოფ მოღვაწეს, თუმცა ამ უკანასკნელის მეორე ტურში გასვლა მაინც ნაკლებად სავარაუდოა. მეორე ტურში კი სიტუაცია, წესით, ტიმოშენკოს (დღევანდელი რეიტინგით და რესურსებით ეს მაინც უფრო მოსალოდნელია) ან უკიდურეს შემთხვევაში იაცენიუკის სასარგებლოდ უნდა შემობრუნდეს. საეჭვოა, რომ უკრაინის დასავლეთმა და ცენტრმა იანუკოვიჩს მისცეს ხმა. საინტერესოა ისიც, თუ ელექტორატის რა ნაწილი აღმოჩნდება სერგეი ტიგიპკოს მხარეზე, რომელიც, უმრავლესობის აზრით, მაინც არ თამაშობს დამოუკიდებელ თამაშს და ბოლოს ტიმოშენკოს ბანაკში აღმოჩნდება. პრეზიდენტობისთვის მებრძოლი პოლიტიკოსების ხუთეული უკვე გამოკვეთილია, მათ შეიძლება არავინ დაემატოს, ყოველ შემთხვევაში სხვა, მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი კანდიდატი ჯერჯერობით არ ჩანს. ბრძოლა კი ძალიან მწვავე, დაუნდობელი და ინტრიგებით სავსე იქნება.

# მინისტრის მკვლელობა დაღესტანში

## მესამე სასიკვდილო ჩასაფრება

ხათუნა გაბიევი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი სამშაბათს დაღესტანს ეწვია, რათა ადგილზე გარკვეულიყო რეგიონში შექმნილ რთულ ვითარებაში, რომელიც კიდევ უფრო დაიძაბა მახაჩყალაში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მკვლელობის შემდეგ. მოსკოვიდან მახაჩყალამდე მგზავრობისას მედვედევმა უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელ ალექსანდრ ბორტნიკოვთან დაღესტანში შექმნილი ვითარება და ის ღონისძიებები განიხილა, რომელთაც ძალოვანი სტრუქტურები რესპუბლიკაში მდგომარეობის ნორმალიზებისთვის მიმართავენ. მედვედევმა ბორტნიკოვთან დაღესტანში არსებულ სიტუაციაზე ჯერ კიდევ 4 ივნისს ისაუბრა. მაშინ უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა სიტუაცია დაახასიათა როგორც □რთული, მაგრამ მართვადი" და იქვე ტერორისტული გამოვლინენების გახშირებაზეც გაამახვილა ყურადღება. ბორტნიკოვის თქმით, უშიშროების ფედერალური სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველა ღონეს ხმარობენ ბანდფორმირებების ლოკალიზებისთვის, თუმცა ხმაურიანი მკვლელობა ამ საუბრიდან ზუსტად მეორე დღეს მოხდა.

დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრი ადილგირეი მაგომედტაგიროვი ერთ-ერთ საბანკეტო დარბაზთან პარასკევს, 5 ივნისს, სნაიპერის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. ქორწილში დაპატიჟებული მინისტრი მახაჩყალაში, საბანკეტო დარბაზ "მარაკეშთან" გულის არეში დაჭრეს და იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მედვედევს, რომელიც იმ დროს პეტერბურგში საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს ესწრებოდა, სასწრაფოდ მოუხდა ოთხი სატელეფონო ზარის განხორციელება. პრეზიდენტის პრესმდივან ნატალია ტიმაკოვას თქმით, სატელეფონო ზარების შემდეგ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ნურგალიევმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა იალტაში მივლინება და მოსკოვში დაბრუნდა ვითარების პირადად გასაკონტროლებლად. საქმის პირად კონტროლზე აყვანა მედვედევმა სატელეფონო საუბარში გენერალურ პროკურორ იური ჩაიკასაც სთხოვა; უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა მედვედევს დაღესტანში ზოგადად ვითარების შესახებ უპატაკა, ხოლო ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის პრეზიდენტ მუხუ ალიევს საუბარში დმიტრი მედვედევმა დაღუპულის ოჯახის წევრებისთვის აუცილებელი მორალური და მატერიალური დახმარების აღმოჩენა სთხოვა.

გამოძიების წინასწარი ვერსიით, რომელიც დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკური ცენტრის დასკვნას ემყარება, მაგომედტაგიროვის წინააღმდეგ დამნაშავეებმა სნაიპერის ჯავშანგამტანი ტყვიის მქონე სპეციალური მაყუჩიანი ე.წ. ვინტორეზის ტიპის შაშხანა (´ □ ˚-94) და "ვალის" სისტემის მაყუჩიანი ავტომატი გამოიყენეს.

გამოძიების ვარაუდით, სნაიპერს საბანკეტო დარბაზის გვერდით მდებარე ცხრასართულიან შენობაში ან დაუმთავრებელ საცხოვრებელ სახლში ჩასაფრებული მეორე პირი მაყუჩიანი ავტომატით უმაგრებდა ზურგს. ორივე ტიპის იარაღი მხოლოდ მთავარი სადაზვერვო სამმართველოს, უშიშროების ფედერალური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურების არსენალში მოიძევება. ამდენად, დაღესტნის ხელისუფლების ვარაუდით, მინისტრი ისევ თავისიანებმა მოიშორეს.

მახაჩყალაში მკვლელობის ადგილზე საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფების თანამშრომლებმა სნაიპერის მიერ ნასროლი მხოლოდ ორი ტყვია იპოვეს, ხოლო მესამე ერთ-ერთი დაჭრილის სხეულიდან ქირურგებმა ოპერაციის დროს ამოიღეს. ექსპერტთა თქმით, მინისტრზე თავდასხმისას "˘ □ `-6" ტიპის ვაზნები გამოიყენეს.

**"ამ ტიპის ვაზნები გამოიყენება სამალავში მყოფი ან ჯავშანჟილეტის მქონე ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. ამ ვაზნის ტყვიას იოლად ატარებს სტანდარტული ჯავშანჟილეტი. ექსპერტიზის საფუძველზე გაირკვა, რომ კონკრეტულად ის იარაღი, რომლითაც მინისტრი მოკლეს, მონაცემთა რეგიონულ ბაზაში არ არის რეგისტრირებული,"** - განაცხადა ექსპერტიზის კრიმინალისტიკური ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ დაუდ აბდულაევმა.

რაც შეეხება გამოძიების ვერსიებს, ძირითადად მაგომედტაგიროვის პროფესიულ მოღვაწეობას უკავშირდება, თუმცა არსებობს განსხვავებული ვარაუდებიც. ერთ-ერთის თანახმად, მინისტრი შესაძლოა, ბოევიკთა შურისძიების მსხვერპლი გამხდარიყო. დანაშაულის სავარაუდო ორგანიზატორად სოფელ გიმრში მოქმედი ბანდის ლიდერი იბრაგიმ გაჯიდადაევი სახელდება. მას, არაოფიციალურად, შინაგან საქმეთა მინისტრზე განხორციელებულ წინა ორ თავდასხმასაც მიაწერენ. წარსულში ორივე თავდასხმის დროს ბოროტმოქმედებმა სატყუარად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მკვლელობა გამოიყენეს.

2006 წლის 8 აგვისტოს ბოროტმოქმედები მინისტრს მახაჩყალა-ბუინაკსკის დამაკავშირებელ გზაზე ჩაუსაფრდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მინისტრი სწორედ ამ მონაკვეთს გაივლიდა, მაგრამ მაშინ პროკურორი ბიტარ ბიტაროვი დაიღუპა. კორტეჟს ორი ძლიერი ფუგასური ჭურვი აუფეთქეს, რასაც მინისტრის ორი თანაშემწეც ემსხვერპლა, ხოლო მაგომედტაგიროვი უვნებელი გადარჩა. 2007 წლის 4 თებერვალს კი მაგომედტაგიროვი პირადად გაემგზავრა დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის, 27 წლის მაქსუდ მაგომედოვის მკვლელობის ადგილზე, ვინაიდან იგი მისი უახლოესი მეგობრის ვაჟი იყო. ინციდენტიც სწორედ მაშინ მოხდა, მინისტრის მანქანის ქვეშ ბომბი აფეთქდა, მაგრამ მაგომედტაგიროვი სხვა მანქანში იჯდა და კვლავ ცოცხალი გადარჩა.

მკვლელობის მეორე ვერსია, რომლის ავტორიც დაღესტნის პრეზიდენტი მუხუ ალიევია, ბოევიკების შურისძიებას არ უკავშირდება. ალიევის თქმით, სატყუარად ამჯერად მინისტრის ქორწილში მიპატიჟება გამოიყენეს, დამკვეთები კი მინისტრის უახლოესი გარემოცვიდან იყვნენ.

**"წინა დღეს იგი ჩემი კაბინეტიდან 02:00 საათზე გავიდა, 09:00 საათზე თათბირი გვქონდა, ხოლო 12:30 საათზე ტელეფონით ვისაუბრეთ. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება წავიდეს თანამშრომლის ქორწილში, მაგრამ მგონია, რომ იგი ამჯერად მართლაც მიიტყუეს! ვფიქრობ, ეს სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი უსინდისო თანამშრომლის ჩარევით მოხდა. როგორც ჩვენთან იტყვიან ხოლმე, დამკვეთი ყოველთვის ტერორისტებს შორის არ უნდა ეძებო..."** -განაცხადა დაღესტნის პრეზიდენტმა.

თუმცა, არსებობს მესამე ვერსიაც, რომლის კვალსაც ინგუშეთამდე მიჰყავს ძალოვნები. საინფორმაციო გამოცემა "Life.ru"-ს თანახმად, სნაიპერის შაშხანა, რომლის ტყვიითაც მაგომედტაგიროვი მოკლეს, სპეცარზმმა ინგუშეთში 2004 წელს დაკარგა ბოევიკებთან შეტაკებისას. როგორც გამოცემას დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წყარომ აცნობა, ექსპერტებმა შეისწავლეს მკვლელობის ადგილზე ამოღებული 9 მმ-იანი ტყვია და აღმოჩნდა, რომ მკვლელობა ამ ტიპის იარაღიდან არ განხორციელებულა არც დაღესტანში და არც ჩეჩნეთში. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბოლო წლებში სპეციარაღის კვალი გამოჩნდა რუსეთის მხოლოდ ორ რეგიონში - ორი წლის წინ ტოლიატიში ანალოგიური იარაღით მოკლეს ადგილობრივი ბიზნესმენი, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთი ტიპის შაშხანა ინგუშეთში მოქმედ სპეცრაზმის არსენალში ითვლებოდა.

დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრის მკვლელობის ფაქტზე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით არის საქმე აღძრული. ექპერტიზის მასალები და მოკვლეული ნივთმტკიცებები შემდგომი გამოძიებისთვის მოსკოვში გადაიგზავნა.

# □ეარ ფრანსის□ კატასტროფას ნათელი ეფინება

მარიკა იაშვილი

ჩამოვარდნილი თვითმფრინავის A330-ის კუდის ნაწილი, რომელიც ბრაზილიელმა სამხედროებმა იპოვეს, შესაძლოა კატასტროფის გარემოებების გასაღებად იქცეს, მიიჩნევენ ექსპერტები. თვითმფრინავის ფრაგმენტი, საფირმო ლურჯი და წითელი ზოლებით, სავარაუდოდ, ვერტიკალური სტაბილიზატორი უნდა იყოს.

ის თითქმის მთლიანად არის ნაპოვნი, რაც ადასტურებს ვერსიას, რომ თვითმფრინავი ჯერ კიდევ ჰაერში დაიშალა. გარდა ამისა, ამ მიგნებას მნიშვნელოვნად შეუძლია საბორტო თვითჩამწერების ძიების ზონის შემცირება, რომლებიც კუდშია განთავსებული.

სტაბილიზატორზე დამწვრობის კვალი არ ჩანს, თუმცა ეს არაფერზე მეტყველებს, რადგან თუ ლაინერის რომელიმე ნაწილში ხანძარი გაჩნდა ან აფეთქება მოხდა, ცეცხლს შესაძლოა კუდამდე ვერც კი მიეღწია. თუმცა ნაპოვნი დეტალების გამოკვლევა უკიდურესად მნიშვნელოვანია. შესაძლოა ის მაინც დადგინდეს, რომელი მხრიდან მოხდა თვითმფრინავზე უძლიერესი შეჯახება, რამაც ის ნამსხვრევებად აქცია.


AFP ' 2009

სიმართლის გარკვევას ხელს შეუწყობს გარდაცვლილთა გვამების ექსპერტიზაც. თუკი ადამინის ვინაობის დადგენა მოხერხდება და გაირკვევა, რა ადგილას იჯდა სალონში, მაშინ სხეულის დაზიანების ხასიათის მიხედვით შესაძლებელი გახდება კატასტროფის სურათის აღდგენა.

მსგავსი მეთოდი 1996 წელს ნიუიორკში, ლონგ-აილენდის სანაპიროსთან მომხდარი კატასტროფის დროს გამოიყენეს: მაშინ მოხერხდა დადგენა, რომ ზოგი მგზავრის სხეული ძალიან იყო დამწვარი, რადგან თვითმფრინავს ცხვირი მოძვრა და საწვავის ბაკიდან გამოვარდნილმა ალმა მთელი სალონი მოიცვა.

კატასტროფების კვლევის ფრანგულმა სააგენტომ განაცხადა, რომ ერთ-ერთი მთავრი ვერსია საჰაერო წნევის მიმღებთა გაყინვაა. ეს ხელსაწყო ჰაერის ტალღის სიჩქარის გასაზომად არის განკუთვნილი და მისმა წყობიდან გამოსვლამ, შესაძლოა, ბორტის კომპიუტერებს თვითმფრინავის სიჩქარის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდოს.

ინფორმაციის არქონის გამო პილოტებს შესაძლოა თვითმფრინავის სიჩქარე იმ დონეზე აეწიათ, როგორზეც ის გათვლილი არ არის ან პირიქით, სისწრაფის კლება ვერ შეემჩნიათ, რაც შემდეგ ლაინერის ჩამოვარდნის მიზეზი გახდა.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად, □330-ზე სწორედ ეს მოხდა: სხვადასხვა სისტემები სისწრაფის შესახებ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას იძლეოდა. □არბასი□ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ იძლეოდა რეკომენდაციას საჰაერო წნევის მიმღებების არსებული მოდელების უფრო თანამედროვეთი შეცვლის შესახებ, თუმცა არსებული ინფორმაციით, □ეარ ფრანსს□ეს არ გაუკეთებია.

□ეარ ფრანსი□აცხადებს, რომ საჰაერო წნევის მიმღების პრობლემები □330 და □340 ლაინერებზე 2008 წლის მაისში დაიწყო. □არბასთან□ ერთად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დიდ სიმაღლეზე ხელსაწყოები რამდენიმე წუთით იყინება და მოგვიანებით ისევ ლღვება.

□ეარ ფრანსში□ აცხადებენ, რომ საჰაერო წნევის მიმღებები □320 ტიპის ლაინერებზე აუცილებლად გაიყინებოდა და გალღვებოდა და საჰაერო ხომალდების მეთაურებს შესაბამისი ინსტრუქციებიც ჰქონდათ.

პარალელურად □ეარ ფრანსმა□ ახალი თაობის ხელსაწყოების გამოცდა ჩაატარა და □330 და □340 ლაინერებში მათი დამონტაჟება ისე დაიწყო, რომ □არბასის□ გადაწყვეტილებას არ დალოდებია. 2009 წლის 27 აპრილს გადაწყდა ახალი, უფრო დახვეწილი და გაყინვისგან დაცული ხელსაწყოების დამონტაჟება ყველა შორ და საშუალო მაგისტრალურ თვითმფრინავზე, თუმცა პროცესი დღემდე არ დასრულებულა.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, კომპანია □ეარ ფრანსმა□პილოტებს □არბას□ A330 და A340 თვითმფრინავების სიჩქარის მაჩვენებლების შეცვლის გრაფიკი წარუდგინა. კომპანიის ინფორმაციით, ეს პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება. მოვლენათა ასეთი დაჩქარების მიზეზი პილოტების პროფკავშირების გადაწყვეტილებაა, რომელმაც ორშაბათს ზაფხულის შემადგენლობას მოუწოდა "უარი თქვან □არბას□A330 და A340-ით ფრენაზე, უკიდურეს შემთხვევაში, საჰაერო წნევის თუნდაც ორი მიმღების გამოცვლამდე მაინც."

ჯერჯერობით კი საძიებო სამუშაოები სრული დატვირთვით მიმდინარეობს და პირველ შედეგებს ივნისის ბოლოს ელიან. მასში ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალებისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის 800-ზე მეტი სამხედრო პირია ჩართული. ხუთი ბრაზილიური გემის გარდა, ოპერაციაში ფრანგული ფრეგატიც მონაწილეობს, ჰაერიდან კი მათ 14 თვითმფრინავი ეხმარება - 12 ბრაზილიური და 2 ფრანგული.

ატლანტიკის ამავე ზონისკენ მიემართება ფრანგული ატომური წყალქვეშა ნავი □ემეროდი□. მის ჩასვლას კვირის ბოლოს ელოდებიან. წყალქვეშა ნავის თანამედროვე ხელსაწყოებს შეუძლია სერიოზული როლი შეასრულოს ოკენის ფსკერზე "შავი ყუთების" პოვნაში. ამისთვის სულ უფრო ცოტა დრო რჩება, რადგან მათზე დამონტაჟებული შუქურები სიგნალს მხოლოდ 30 დღის განმავლობაში იძლევა.

თვითმფრინავ □-330-ში, რომელიც რიო დე-ჟანეიროდან პარიზისკენ მიფრინავდა, 32 ქვეყნის 216 მოქალაქე და ეკიპაჟის 12 წევრი იმყოფებოდა. ლაინერმა კატასტროფა 1 ივნისს, ბრაზილიის სანაპიროდან საშუალოდ 1.4 ათასი კილომეტრის დაშორებით განიცადა

# პროდასავლური ძალები ლიბანში

მარიკა იაშვილი

ლიბანის მმართველი კოალიცია "14 მარტი" ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში იმარჯვებს. ბლოკმა, რომელშიც გაერთიანებულია რადიკალური დაჯგუფება "ჰეზბოლა", მარცხი განიცადა.

ალიანსი "14 მარტი," რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში მცირე უმრავლესობას ფლობდა, აშშ-სა და მთელი დასავლეთის მხარდაჭერით, აგრეთვე საუდის არაბეთის კეთილგანწყობითაც სარგებლობს. "ჰეზბოლას" ბლოკზე კი ფსონს მხოლოდ სირიისა და ირანის ხელისუფლება აკეთებს.

ბლოკებს შორის ამომრჩეველთა თითქმის სამი მილიონი ხმისთვის გამართული ბრძოლა დაძაბული და არაპროგნოზირებადი იყო და მისი ბედი ბოლო წუთამდე უცნობი რჩებოდა.

ხმის მიცემა დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა: წესრიგის უზრუნველსაყოფად არჩევნების წინა დღეებში ლიბანის ქალაქებში უსაფრთხოების სამსახურების 50 ათასამდე თანამშრომელი გადანაწილდა, თუმცა არჩევნებმა ინციდენტების გარეშე ჩაიარა.

აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა, რომელიც ლიბანის არჩევნებზე უცხოელ დამკვირვებელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ ქვეყნის პარტიებსა და მათ უცხოელ მხარდამჭერებს დაფიქსირებულ შედეგებთან შეგუება მოუხდებათ.

**"არჩევნების ჩატარების გამო ნერვიულობის არავითარი საბაბი არ მაქვს,"** - აღნიშნა მან, - **უფრო ის მაღელვებს, დაეთანხმება თუ არა შედეგებს ყველა მსხვილი პარტია."**

ამომრჩეველთა აქტივობა, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ მოსახლეობას შორის, მაღალი იყო. დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებთან დიდი რიგები დგებოდა.

**"ხმას იმიტომ ვაძლევთ, რომ ლიბანელებმა თავად უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ბედი და ამაში არავინ უნდა ჩაერიოს,"** - აცხადებდნენ ამომრჩევლები.

ლიბანის პრეზიდნეტმა მიშელ სულეიმანმა, რომელმაც მოქალაქეობრივი ვალი დედაქალაქის დასავლეთით მდებარე თავის პატარა მშობლიურ ქალაქში მოიხადა, თანამემამულეებს მოუწოდა, არჩევების იგნორირება არ მოეხდინათ, რადგან ეს არის **"მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მშვიდად და სიამოვნებით უნდა ჩატარდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ლიბანის აღმშენებლობის დაწყება."**

**"დემოკრატია - ეს სიკეთეა, რომელიც უნდა შევინარჩუნოთ, სიკეთე, რომელიც ლიბანს ახლო აღმოსავლეთის ფონზე გამოყოფს,"** - აღნიშნა პრეზდენტმა.

წინა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა საად ჰარირიმ, რომელიც თავის პოზიციებს დღემდე ინარჩუნებს, არჩევნებს "დემოკრატიისა და ლიბანისთვის უდიდესი დღე" უწოდა.

ხელისუფლების გადანაწილების მოქმედი სისტემის შესაბამისად, 128 საპარლამენტო მანდატი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის თანაბრად გადანაწილდა.

"ჰეზბოლამ" არჩევნებზე მხოლოდ 11 კანდიდატი წარმოადგინა, თუმცა დაჯგუფება მსხვილი ოპოზიციური კოალიციის გავლენიანი წევრია. □ჰეზბოლას□გარდა, ოპოზიციურ კოალიციაში ლიბანელ ქრისტიანთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიდერი, გენერალი მიშელ აუნი და მსხვილი შიიტური დაჯგუფება "ამალიც" შედიან.

ამჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობა, რომელმაც კვირას კიდევ ერთხელ გაიმყარა პოზიცია, ქვეყნის ხელისუფლებაში 2005 წელს - ქვეყნის ყოფილ პრემიერმინისტრ რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ მოვიდა. ჰარირი ბეირუთში თავისივე ავტომობილში ააფეთქეს.

მკვლელობის შემდეგ სირიის მისამართით მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებებმა გაიჟღერა. ამას ქვეყნიდან სირიული სამხედრო ძალების გაყვანა მოჰყვა, რომლებიც ლიბანის ტერიტორიაზე 29 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ. თავად დამასკო პრემიერის მკვლელობაში სირიული სპეცსამსახურების მონაწილეობას ყოველთვის უარყოფდა.

# ბრალდება ისრაელის არმიის წინააღმდეგ

მარიკა იაშვილი

ებრაელი სამხედრო მოსამსახურეები იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მშვიდობიან პალესტინელებს სცემდნენ და აბავდნენ. დაზარალებულებს შორის 14 წლის მოზარდებიც იყვნენ. პალესტინელებს თვალებსაც უხვევდნენ.

აღნიშნული ინფორმაცია ისრაელის არმიის ორი სერჟანტის ჩვენებაზე დაყრდნობით გავრცელდა. სერჟანტები ბატალიონ "ჰარუბის" წევრები არიან, რომელიც "კფირის" ბრიგადაში შედის. ამ ქვედანაყოფის წევრი სამხედრო მოსამსახურეები ტერორიზმის წინააღმდეგ იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე იბრძვიან. ეს რეგიონი ისრაელის მიერ კონტროლდება და მისი ტერიტორიის ნაწილზე პალესტინის ავტონომია მდებარეობს.

სერჟანტები ამტკიცებენ, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს პირადად შეესწრნენ. კონკრეტულად კი ეს 26 მარტს, სოფელ ჰარესში ჩატარებული ოპერაციის დროს მოხდა.

ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ოპერაციის დროს 150-მდე პალესტინელი დააკავეს, მათ შორის იყვნენ მოზარდებიც. დაკავებულები სოფლის სკოლაში ჰყავდათ დაბმულები და თვალებახვეულნი. ასეთი ქმედებების მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ სურდათ ბავშვებისთვის პალესტინელების მანქანებისთვის ქვების სროლის მავნე ჩვევა მოეშლევინებინათ.

**"ზოგი სამხედროს აზრით, ხელებზე სპეციალური სამაჯურები ისე უნდა მოუჭირო, რომ ერთი წვეთი სისხლიც კი არ მოძრაობდეს. ამის შემდეგ ხელები მალე ლურჯდება,"** - განაცხადა ერთ-ერთმა სერჟანტმა.

წყაროს ცნობით, დატყვევებულებს სცემდნენ ტუალეტებში, სადაც ბადრაგის თანხლებით გაჰყავდათ. ჯარისკაცები პალესტინელებს მხოლოდ მოწყენილობის გამო ურტყამდნენ, რადგან მორიგეობის დროს საქმე არ ჰქონდათ, - აღნიშნა მან. მეორე სერჟანტის თქმით კი, ზოგი ჯარისკაცი გაჩხრეკილი სახლებიდან სხვადასხვა ნივთებს იპარავდა.

ეს ჩვენებები, სავარაუდოდ, უფრო გაამწვავებს ბრიგადა "კფირის" პოლკოვნიკ იტაი ვიროზის განცხადებებს იმის შესახებ, რომ დაკავებული პალესტინელების მიმართ ძალადობის გამოყენება დავალების შესასრულებლად არის აუცილებელი და ამიტომ გამართლებულია.

ისრაელის თავდაცვის არმიის გენერალური შტაბის მეთაურმა გაბი აშკენაზიმ ამ სიტყვების პასუხად განაცხადა, რომ მშვიდობიანი მოქალაქეების ცემა, მიუხედავად იმისა, ებრაელები არიან ისინი თუ არა, კატეგორიულად აკრძალულია როგორც მათი დაკავების დროს, ასევე გათავისუფლების შემდეგაც. აშკენაზიმ აღნიშნა, რომ ჯარისკაცებისგან არა მხოლოდ კანონის დაცვას, არამედ ეთიკის პრინციპებთან შესაბამისობაში ქმედებასაც მოითხოვს.

CMYK - 9


FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
No limits
Absolute freedom for your business
First free industrial zone in Caucasus
Strategic location beside the Poti Sea Port
No tax on profit for foreign companies
Easy business set up
POTI
FIZ
www.rakiageorgia-freezone.com
RAKIA Georgia FIZ LLC (Poti Head Office)
47 Agmashenebeli str, 4400, Poti, Georgia
Tel: (995 393) 25 25 4/5/6
Fax: (995 393) 25 25 1/9
RAKIA Georgia FIZ LLC (Tbilisi Representative)
20 Telavi str, 0103, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 27 77 33
Fax: (995 32) 27 73 66
E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

CMYK - 9

# აფიშა

**10 ივნისი**

**ოპერა**

**ლუდვიკ მინკუსის ბალეტი**

„დონ კიხოტი“

დასაწყისი: 19.00

**თეატრი**

**მარჯანიშვილის თეატრი**

„ხანუმა“

რეჟ: ლ. წულაძე

დასაწყისი: 20.00

**მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)**

„სასიყვარულო ბარათები“

რეჟ: თ. ჩხეიძე

დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**

„თეთრი ბაირაღები“

რეჟ: გ. ქავთარაძე

დასაწყისი: 20.00

**სამეფო უბნის თეატრი**

„ნუგზარი და მეფისტოფელი“

რეჟ: გ.თავაძე

დასაწყისი: 20.00

**კინო**

„ამირანი“

„ტერმინატორი“

დასაწყისი: 12.30; 15.00; 17.30; 20.00; 22.15

(დიდი დარბაზი);

„ანუყვეტილები 4“

დასაწყისი: 13.00; 15.00;

„ანგელოზები და დემონები “

დასაწყისი: 17.00; 19.45; 22.00

(მცირე დარბაზი)

„საქართველო“

„მადაგასკარი“

დასაწყისი: 13.00; 15.00;

„თქვი დიახ“

დასაწყისი: 17.00;

„ანუყვეტილები 4“

დასაწყისი: 19.00; 21.00;

**გამოფენები**

**სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზი**

„დაკარგული სივრცე“- კლრისტიან ჰამსეას თავისუფალი ხელოვნების კლასის გამოფენა („აბრეშუმის გზა - Traject“მეორე ნაწილი);

**ბაია გალერეა**

პროექტი - პროცესი „ცნობილი უცნობი პერსონა“ XX საუკუნის ქართული ხელოვნება. ემა ლალევა-ედიბერიძე

**ვერნისაჟი**

სოსო ქუმხიაშვილის პერსონალური გამოფენა (ფერწერა).

**მეიდან არტ ჰოლი**

ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია (ფერწერა, ქანდაკება)

**გალერეა „შარდენი“**

თანამედროვე ტიხრული მინანქრის გამოფენა (სამკაული, მინიატურა, ხატი)

**მანანა არტ ჰოლი**

თანემედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

# E3-ის ოთხი დღე

## ლოს ანჯელესში ახალი თამაშები დააანონსეს

ია ვეკუა

E3 გეიმერებისთვის დაახლოებით იმავე მნიშვნელობისაა, რაც კანის ფესტივალი კინომოყვარულებისთვის და ვუდსტოკი მელომანთათვის. ლოს ანჯელესში წელიწადში ერთხელ გამართული ბაზრობა-დათვალიერება კომპიუტერული თამაშების ინდუსტრიის წარმომადგენელი კომპანიებისთვის უახლესი პროდუქციისა და ნოვაციების საზოგადოებისთვის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა, ამიტომ მისთვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან. წელს E3 2 ივნისს გაიხსნა და ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.



ფესტივალი კომპანია Microsoft-მა გახსნა და ალბათ წლის ყველაზე ხმაურიანი და სწორი პიარკამპანიით წარმართული თამაში The Beatles: Rock Band წარმოადგინა. პროექტი Rock Band, რომელიც 2007 წლიდან მუსიკის მოყვარული გეიმერებისთვის შეიქმნა, აქამდე ცალკეული შემსრულებლებისა და ჯგუფების კომპოზიციების ნაკრებს წარმოადგენდა. ამჯერად კი დეველოპერებმა პატივი ლეგენდარულ ჯგუფს მიაგეს და მთელი თამაში „ბიტლზის“ მუსიკაზე ააგეს. თამაშის საფინალო ვერსიაში ჯგუფის 50-მდე ადრეული პერიოდის კომპოზიცია შევა, ეკრანზე კი ლივერპულელი ოთხეულის ციფრული გამოსახულებები იმღერებენ, ხოლო თამაშისთვის გამოშვებული სიმულატორი ინსტრუმენტების დიზაინი 50-60-იანი წლების სტილში იქნება გადაწყვეტილი. თამაშის ანონსს Microsoft-ის სიურპრიზიც მოჰყვა: სცენაზე ჯორჯ ჰარისონის ვაჟიშვილისა და იოკო ონოს შემდეგ თავად სერ პოლ მაკარტნი და რინგო სტარი გამოიყვანეს. მათ ხანგრძლივად ისაუბრეს თამაშის შესახებ და საკუთარი ციფრული გამოსახულებებიც შეაქეს. ცხადია, გეიმერებისთვის მათ შეფასებას ტექნიკური თვალსაზრისით არანაირი აზრი არ აქვს, თუმცა უდავოა, რომ თამაშის პრეზენტაციაზე მათი გამოჩენა უმაღლესი სინჯის სარეკლამო სვლა იყო. რამდენად შეესაბამება The Beatles: Rock Band-ის ხარისხი „ბიტლზის“მუსიკას, ამის შეფასება მოთამაშეებს მიმდინარე წლის 9 სექტემბრიდან შეეძლებათ.

არანაკლები დაინტერესება გამოიწვია კომპანია Sony-ს ექსკლუზიური თამაშის, პრაქტიკულად შედევრის God of War-ის მესამე ნაწილის პრეზენტაციამ. ოლიმპოს ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლი სპარტელი კრატოსის საგა ამჯერად PlayStation 3-ზე გრძელდება. აღნიშნული თამაში უნიკალურია იმ მხრივ, რომ მას ჯერ კიდევ პირველი ნაწილიდან (2005 წელი) ჰქონდა ყველა ის თვისება, რაც გეიმერებში ყველაზე მეტად ფასობს: საინტერესო სთორი და პერსონაჟი, დახვეწილი არტი, გრაფიკა და მოხერხებული გეიმპლეი (ამ თვისებებით ხასიათდებოდა თამაშის მეორე ნაწილიც), ამიტომ მის ავტორებს მხოლოდ თანამედროვე სტანდარტებისთვის შესაფერისი გრაფიკის შექმნა დასჭირდათ, რაც „სონის“ არსენალში



არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ძნელი ნამდვილად არაა. ახალი კრატოსი ბრძოლისას გაცილებით ბუნებრივად გამოიყურება, ისევე, როგორც ბუნებრივია მის მიერ ჩადენილი სასტიკი მკვლელობების სცენები. სიახლეა კრატოსის არსენალშიც: მისი საფირმო ხმლები ადგილზეა, თუმცა დაემატა რამდენიმე ახალი იარაღი.

Microsoft-ის პრესკონფერენციაზე აჩვენეს კომპანია Infinity Ward-ის კიდევ ერთი ლეგენდარული თამაშის, Call of Duty-ის მორიგი სერია Modern Warfare 2. წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ ინტერნეტში ადრე განთავსებული ტრეილერი, არამედ დაახლოებით 10 წუთიანი ნაწყვეტიც. დაინტერესება გამოიწვია ზამთრის მისიის სცენებმა, სადაც მოთამაშეს კლდეზე ცოცვა უწევს, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე იპარება, იქაურობას ნაცარტუტად აქცევს, შემდეგ კი თოვლმავალით გარბის. ტრადიციულად თამაშს რამდენიმე მომხმარებელი რეჟიმიც გააჩნია, ამიტომ გეიმერებს ისღა დარჩენიათ ათვლა დაიწყონ და დაელოდონ როდის დადგება 2009 წლის 10 ნოემბერი - 11.10.09 (სწორედ ასე გამოსახავენ თამაშის გამოსვლის თარიღს ამერიკაში, სადაც ჩვენგან განსხვავებით ჯერ თვე იწერება, შემდეგ რიცხვი).

გეიმერები 2007 წლიდან ელოდებიან Ubisoft-ის Splinter Cell: Conviction-ს, რომლის პრეზენტაციასაც საშველი მხოლოდ ახლა დაადგა. კომპანიის წარმომადგენლებმა გვახარეს, რომ პროექტზე მუშაობა დასრულებულია და ლეგენდარული სემ ფიშერი კვლავ სამშობლოს სადარაჯოზეა. ფიშერის ისტორია ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო, როდესაც მისი მთავარი მისია საქართველოს პრეზიდენტის, კომბატ ნიკოლაძის ლიკვიდაცია იყო. მას შემდეგ Ubisoft-მა თამაშის კიდევ ოთხი ნაწილი გამოუშვა. ამჯერად თამაშის ვიზუალური მხარე რამდენადმე შეცვლილია, ისევე როგორც თავად ფიშერი. თუ ადრე მას ძირითადად ჩუმად გადაადგილება და მისიების უხმაუროდ შესრულება ევალებოდა, ამჯერად დამატებული აქვს მეტი ექშენის ფუნქცია - გეიმერს მკვლელობის ლიცენზია ოფიციალურად აქვს მინიჭებული. როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნეს, სემ ფიშერი რაღაცით ჯეისონ ბორნსაც დაემსგავსა, რაც ძალიან კარგია, რადგან ამდენი სტელტი ჟანრის ყველაზე დიდ მოყვარულებსაც მობეზრდათ.

საინტერესო იყო ჰიდეო კოძიმას, ლეგენდარული Metal Gear Solid-ის შემქმნელის პრესკონფერენციაც, რომელმაც თამაშის ახალი ნაწილი Metal Gear Solid Rising დააანონსა. ამჯერად სოლიდ სნეიკის ნაცვლად თამაშის მთავარი გმირი რაიდენია, რომელიც პირველად MGS-ის მეორე ნაწილში გამოჩნდა, ხოლო მეოთხე ნაწილში ერთ-ერთ მთავარ გმირად იქცა. კოძიმას თამაშის რელიზის თარიღზე არაფერი უთქვამს, რამაც ჟურნალისტების რისხვაც კი გამოიწვია.

Dante's Inferno - დაიმახსოვრეთ ამ თამაშის სახელწოდება, რომელიც მალე Electronic Arts-ის მორიგ ბესტსელერად იქცევა. დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მოტივებზე შექმნილი თამაშის ტრეილერისთვის თვალის შევლებაც კი კმარა, რომ გეიმერები ახალი კრატოსის გამოჩენას დაელოდონ. გეიმპლეითა და სხვა მახასიათებლებით ეს ორი თამაში მართლაც წააგავს ერთმანეთს, ისევე როგორც სთორის ნაწილით - ორივე პერსონაჟი მკვდარია და მიწისქვეშა სამყაროში (Dante's Inferno-ს შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით ჯოჯოხეთში) მოგზაურობს (თუ ამას მოგზაურობა შეიძლება ვუწოდოთ). Dante's Inferno-მ უკვე მიიღო ალტერნატიული სახელწოდება „გზამკვლევი ჯოჯოხეთში“, ყოველი ეტაპი კი ალიგიერის ნაწარმოების ცალკეული ქვეთავების მიხედვითაა გაკეთებული. რაც შეეხება თამაშის ვიზუალურ მხარეს, ამ ხრივ არაფერი დაეწუნება - სრულიად შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიურ მოთხოვნებს.

კომპანია BioWare-მ წარმოადგინა Mass Effect 2-ის 15 წუთიანი დემო ვერსიაც, საიდანაც გაირკვა, რომ პირველი ნაწილის გმირი ცოცხალია და კვლავ განაგრძობს სამყაროს გადარჩენასა და თვითგანვითარებას. როგორც დეველოპერი კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ახალ თამაშში ბევრი რამ მომხმარებლის სურვილის მიხედვით გაკეთდა. შენიშნა კი ალბათ ბევრი იქნებოდა, რადგან მრავალმილიონიან პროექტს საკმაოდ ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგალითად დიალოგის წარმოების მხრივ, რაც ახალ ნაწილში შესწორებული იქნება.

ახალი თამაშების გარდა E3-ზე ცხადია ახალი ტექნოლოგიებიც წარმოადგინეს. მაგალითად „სონიმ“მომხმარებელს PSP Go-ს მოდელი შესთავაზა, რომელიც წინა მოდელზე ბევრად პატარა, თუმცა ერთი შეხედვით ცოტა მოუხერხებელია. ახალ მოდელს გაცილებით პატარა ეკრანი, თუმცა მეხსიერება 16 გიგაბაიტამდე აქვს გაზრდილი. გარდა ამისა PSP Go-ს მომხმარებელს აღარ დასჭირდება umd დისკები, რადგან მისთვის განკუთვნილი ყველა თამაშის გადმოწერა ინტერნეტიდან მოუწევს. დააანონსეს PSP-ს ახალი თამაშებიც - LittleBigPlanet და Gran Turismo. ასე რომ მომავალ E3-მდე გეიმერები ნამდვილად არ მოიწყენენ.

აქცენტი

# საქართველო ვენეციაში და...

## შიშვლები უცხო სივრცეში, ანუ მხოლოდ კულტურული ექსპორტი

I ნაწილი

სოფო კილასონია
*ვენეციიდან*

*ქართული პროექტი ვენეციაში, თუ მონაწილეთა ჩამონათვალს გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ წარმომადგენლობითია. თბილისიდან აქ ორგანიზატორებისა და ასისტენტის გარდა, 5 ქართველი ხელოვანი ჩამოვიდა: მუსიკოსი ნიკა მაჩაიძე, კინორეჟისორი ლევან კოღუაშვილი, ფოტოხელოვანი ვატო წერეთელი, მხატვარი გიო სუმბაძე და პროექტის მთავარი მოქმედი პირი, მხატვარი კოკა რამიშვილი. თუმცა ამ ადამიანებს ერთნაირი როლი როდი ეკისრებოდათ.*

ვენეციის ბიენალე ნაციონალური პავილიონების სისტემით გამოირჩევა, ამაში მდგომარეობს ერთი მხრივ მისი უნიკალურობაც და მეორე მხრივ მისი სირთულეც. ამ ბიენალეზე მხატვრებს ქვეყანა წარადგენს და შესაბამისად ამ არტისტების მისიაც მხოლოდ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას სცილდება. ამას გარდა, სახელმწიფოების მხრიდან ამ ბიენალესთვის მზადებაც საგანგებო პროცესია და დიდ ყურადღებას მოითხოვს. ვენეციის ბიენალე მგონი ერთადერთია, სადაც სახელმწიფოს ეძლევა უფლება, საკუთარი ხედვა და პრიორიტეტი განაცხადოს თანამედროვე ვიზუალური კულტურის სფეროში. სხვა შემთხვევებში, იქნება ეს მხატვრობის ბიენალე თუ კინო ან თეატრალური ფესტივალი, ავტორებად კონკრეტული პირები, მხატვრები და რეჟისორები დომინირებენ. ვენეციაში არავინ ამბობს კლოდ ლევეკმა, პაველ პეპერშტეინმა, ბრუს ნაუმანმა წარმოგვიდგინეს: მათი ნამუშევრები საფრანგეთის, რუსეთის, ბრიტანეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების პროექტებად მოიაზრება.

ვფიქრობ, საქართველოს კარგად აქვს გათვიცნობიერებული ამ და თუნდაც დაახლოებით იგივე მისიის ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე მონაწილეობის მნიშვნელობა. სხვაგვარად აღნიშნულ ფესტივალებზე საქართველოს გასვლა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არ იქნებოდა. ერთი რამ ნათელია, კულტურის სამინისტროს აქვს სურვილი, მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის მწერლობისა და სახვითი კულტურის თანამედროვე სივრცეებში ადგილს მოწინავეთა შორის იმსახურებს. ჩვენ, ამ შემთხვევაში როგორც ქართულმა მხარემ, ვენეციიდან მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ერთის ისე მეორის ტრადიცია ამის უფლებას გვაძლევს, მაგრამ გვაძლევს თუ არა ამ ადგილს ჩვენი კულტურული თანამედროვეობა, ალბათ, საკამათო საკითხია და ამ კითხვაზე პასუხი ცალსახა ვერ იქნება. კიდევ უფრო ფართო დისკუსიას მოითხოვს ამ სფეროებში ჩვენი სისუსტეების განსაზღვრა და მათი აღმოფხვრის გზები.

თუ ქართული თანამედროვე მწერლობის ექსპორტისთვის გადამწყვეტი და აუცილებელი უპირველესად მთარგმნელობითი, გამართული საგამომცემლო საქმეა და XX-XXI საუკუნეების ქართული მწერლობა თავისთავად მრავლისმომცველია და არჩევანის საშუალებასაც გვაძლევს, საკითხს თუ ცოტა მაინც ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ სულ სხვა ტიპის პრობლემები იჩენს თავს ქართულ სახვითობაში. ამ ბოლო დროს ისე მარტივად ვამბობთ, რომ საჭიროა განვითარდეს არტმენეჯმენტისა და არტკურატორის მიმართულებები, თითქოსდა ეს იყოს ერთადერთი პრობლემა, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის. შეიძლება ითქვას, რომ 90-იანი წლების შემდეგ საქართველოში არ ჩანს არტისტული პროცესები. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ საერთოდ არაფერი ხდება. ცხადია, ეწყობა ცალკეული პიროვნებების გამოფენები, აქციები, თუმცა, იშიათად და ამასთან, ისინი შეიძლება მოვიაზროთ როგორც რაღაცის ფრაგმენტები და არა პროცესი. ალბათ ლოგიკურია შეკითხვა, რატომ (და ეს მაშინ, როცა საბჭოთა საქართველოში არსებობდნენ როგორც "მიღებული" დინებები, ისე ანდერგრაუნდული (ამ დინებათა შეფასებას ახლა არ ვახდენთ), ამასთან, ძლიერი იყო მხატვრული პროცესები გარდამავალ პერიოდში (70-80-იანი წლებიდან)? მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ რთულია გავიხსენოთ აქტიური მხატვრული გაერთიანება ან თაობა, რომელმაც საზოგადოებისკენ გზავნილი გაუშვა, გზავნილი იმის შესახებ, რომ არსებობს, მოდის, ქმნის, ფიქრობს, აწუხებს... აი, სწორედ ეს უკანასკნელი - შეწუხებისა და გაღიზიანების ფაქტორი დაიკარგა თანამედროვე ქართულ სახელოვნებო სივრცეში და განსაკუთრებით სახვითი ხელოვნების წარმომადგენლებში. რამაც შეგვაწუხა, იმასთან ბრძოლა, ალბათ, ყოფაში დავიწყეთ და ძალიან ცოტამ თუ მოახერხა მისი ხელოვნებაში ტრანსფორმაცია. არადა, როცა კულტურულ არეალში აბიჯებ და შემოქმედების ამბიცია გაქვს, შეკითხვების გარეშე, რა ძალიან დიდი ოსტატობითაც არ უნდა გამოირჩეოდე, შენი ხელოვნება განყენებულ ეფემერულ სივრცეში თავისთვის და უსიცოცხლოდ რჩება.





თბილისში დღეს შეიძლება მართლაც არაერთი პერსონალური გამოფენა და პროექტი იმართება, მაგრამ რეალურად ძალიან ცოტანი არიან ისინი, ვისთვისაც ვიზუალური ხელოვნების ენა, ცხადია სხვადასხვა მედიების, თვითგამოხატვის საშუალებად დარჩა და ამ პროცესში თავს არ იტყუებენ. ასეთი ადამიანების რაოდენობა ვიზუალური ხელოვნების თითოეულ მიმართულებაში ძალიან ცოტაა (არ ვგულისხმობ ავტორებს, რომლებიც მხოლოდ კომერიცული მიზნებისთვის ილვწიან, სალონის ტიპის თანამედროვე გალერეებთან აქვთ ურთიერთობა და გამოფენებს მხოლოდ ნამუშევრების გასაყიდად აწყობენ). ისინი რომ ცოტანი არიან, ეს არა იმდენად მათი ღირსებისა და უპირატესობის ნიშანია, რამდენადაც ქართული სახვითობის, ვიზუალური ხელოვნების კვდომის.

ამ ყველაფრის მერე ისიც უნდა ვთქვათ, თუ რომელმა ნეგატიურმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი სტაგნაციას - მთელი რიგი ინსტიტუტების და სისტემების არარსებობამ, როცა სოცრეალისტური კულტურის მექანიზმები შეირყა და თუნდაც ეროვნულ გალერეაში სეზონური გამოფენების სისტემა მოიშალა, მას ვერაფერი ჩაენაცვლა, მუზეუმები ადგილობრივი თანამედროვე ხელოვნების პროექტებს ვერ ახორციელებენ, გასაგებია რატომაც - ამ საკითხის მოგვარებამდე მუზეუმებში ბევრი სხვა სასიცოცხლო პრობლემა გახდა გადასაჭრელი. როცა არათანამედროვე ხელოვნების მუზეუმში თანამედროვე არტი შედის, ეს იმის ნიშანია, რომ ეს კონკრეტული დაწესებულება საკუთარ თავს და დამთვალიერებელს ანებივრებს. მუშაობა საერთოდ შეჩერდა ეროვნულ გალერეაში, აქამდე ვერ გადაიჭრა მისი გარემონტების საკითხი. ამ ეტაპზე კი სამუშაოებს რუსთაველის გამზირის გადაკეტვის გამო ვერ იწყებენ. ეს გალერეა დარჩა საქართველოში ერთადერთ სივრცედ და იმედად სახვითი ხელოვნებისთვის. მას ვერ შეემატა ვერც თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ვერც დაარსებისთვის ბევრად მარტივი - თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, რაიმე არტჰაუზის ტიპისა, რომელსაც არა იმდენად ექსპონირება, რამდენადაც პროცესების ინიცირება, პროექტების ხელშეწყობა, მხატვრების, კურატორების, თეორეტიკოსების თანამშრომლობა უნდა ეთავა. ხელოვნებაზე ორიენტირებული კერძო გალერეების დაფუძნების პერსპექტივაც არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ არ არის ფინანსური რესურსი, ფული, რომელიც ინტელექტუალურ და შემოქმედებით რესურს შექმნის, ან წარმოაჩენს. შესაბამისად, არ არსებობს ხელოვნების წამახალისებელი ფონდები. ისინი მანამ არ გაჩნდება, სანამ ბიზნესსივრცეში არ მოხდება: 1. ხელოვნების დაფინანსების სამაგიეროდ გადასახადებისგან ნაწილობრივი გათავისუფლება და 2. საქართველოში ფულს არ "გააკეთებს" "კულტურული ადამიანი", ან ადამიანი, რომელსაც გაუჩნდება მოთხოვნილება, ერქვას ინტელექტუალი, ერუდიტი, განათლებული პერსონა. ამის მოთხოვნილება ფულიან ქართველს ჯერჯერობით იშვიათად უჩნდება. საქართველოში მოქმედი ბიზნესმენები ერთჯერად ეფექტურ კულტურულ აქციებს აფინანსებენ, შეიბავენ ფერად ბაფთებს და ტელეკამერებს გაცხარებით ელიან. მათგან შეიძლება მხოლოდ თიბისი ბანკის გამოყოფა, რომელმაც შენობაში გახსნილი გალერეით და ლიტერატურული პრემიით "საბა" რაღაც ხანგრძლივს ჩაუყარა საფუძველი და შესაბამისად რეალურად შეაქვს წვლილი სახელოვნებო პროცესებში. ამის ნიშნები აქვს "რესპუბლიკა-ბანკსაც" და "მაგთისაც", თუმცა მხოლოდ მცირე ნიშნები, არაზუსტად დასმული აქცენტებით.

მოკლედ, მდიდარი ქართველისთვის ხელოვანთა გვერდით დგომა ვერ გახდება პრესტიჟული, სწორედ **პრესტიჟული,** სანამ საზოგადოება საზრდოობს იმ ფასეულობებით, რომელთაც კულტურასთან კავშირი არ აქვთ. ნუ იფიქრებთ, რომ მე ქათმისა და კვერცხის ამბავს გიყვებით, რომ ეს შეკრული მოჯადოებული წრეა. ამ ამბავს აქვს გამოსავალი - საზოგადოებრივი ფასეულობების შეცვლისკენ მიმართული კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოება. ეს პოლიტიკა არ დაწყებულა, რომ დაწყებულიყო, ამას არა მხოლოდ ახალი გალერეებისა და მუზეუმების გახსნით მივხვდებოდით, არამედ დასუფთავებული ქალაქით, ქალაქით, რომელიც არ იქნებოდა ზამთარ-ზაფხულ აქოთებული. საიდან სად აღმოვჩნდით? ვერაფერს ვიზამ, იტალიაში ჩამოსვლის პირველივე წამიდან ჩვეულებისამებრ მომენატრა თბილისი და შემშურდა სამოქალაქო კულტურის - სისუფთავის.

თბილისური შარდის სუნი იქით იყოს, იმ ფასეულობების ცვლაზე ვსაუბრობდით, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ჩემი აზრით თანამედროვე ხელოვნების განვითარება უნდა გამოიწვიოს. ამ ფასეულობების, ანუ შეგნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას რომელიმე მხარე, ინსტიტუცია, ადამიანები უნდა შევუდგეთ და რაღაცას, ანდა ვიღაცას არ ველოდოთ. სწორედ აუცილებლობებისა და მიზნების განსაზღვრის შემდეგ დაწყებული თანმიმდევრული მუშაობა კულტურის სფეროში არის ის ცნება, რომელზეც ბევრს ვსაუბრობთ და მაინც არ გვაქვს - **კულტურის პოლიტიკა**. ფასეულობებს ერთი და ორი დამოუკიდებელი ენთუზიასტი ვერ შექმნის და ვერც ვერანაირი არტისტული პროცესი ვერ გახდება ხილვადი, თუ სახელმწიფო სტრატეგიულად მნიშვნელოვან, ორ წელიწადში ერთხელ განხორციელებად და ექსპორტირებულ "ივენტებზე" ბევრად საფუძვლიანი ინიციატივებით არ დაეხმარა კულტურას. სწორედ აქ, სადაც ქვეყნები თითო პროექტით ჩამოდიან, ჩანს მათი ე.წ. "ბეგრაუნდი", ის, რაც ქვეყნიდან მოჰყვებათ ხოლმე. ჩვენ ეს საფუძველი საქართველოში არ გვაქვს. ჩვენ საქართველოში არ გვაქვს თანამედროვე ხელოვნება. არ გვაქვს, იმიტომ რომ ის, რაც სრულიად საზოგადოების მიერ (იგულისხმება რიგითი დამთვალირებელი, სახელმწიფო ჩინოვნიკი, ბიზნესმენი) სრულიად ნიველირებულია, ფაქტობრივად არც არსებობს. საქართველოში უკიდურესად უჭირს სახელოვნებო განათლებას, კონკრეტულად სახვითი ხელოვნების სფეროს, საქართველოში არ წამოწყებულა ახალგაზრდა ხელოვანთათვის პროგრამები, საქართველოში თუნდაც ამ სახვითი ხელოვნების სფეროში მმართველ ინსტანციებში სულ სხვა პროფესიისა და განათლების თანამშრომლები გასცემენ რჩევებს და ადგენენ სტანდარტებს. ჩვენში პროფესიასა და განათლებას დიდ მნიშვნელობა არც აქვს. ამიტომაც თითქმის ყოველთვის ბავშვურ ინფანტილიზმსა და გულუბრყვილობას განვიცდით, როცა ასე "შიშვლად" მოვდივართ საერთაშორისო მასშტაბის არტსივრცის ცენტრში.

## კონსერვატორიაში ჩეხეთის რესპუბლიკისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება

ხვალ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება კონცერტი, რომელიც ეძღვნება ჩეხეთის რესპუბლიკის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის მისიის ამოწურვას. კონცერტის პარალელურად, კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში წარმოდგენილი იქნება ჩეხი კომპოზიტორის - ბოჰუსლავ მარტინუსადმი მიძღვნილი გამოფენა. კონცერტი ორგანიზებულია ჩეხეთის საელჩოს მიერ.

პროგრამაშია ა.დვორჟაკის საფ-ნო კვინტეტი ლა მაჟორი თხზ. 81. ასრულებენ მანანა დოიჯაშვილი (ფ-ნო), ს.ცინცაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმებიანი კვარტეტი (კონსტანტინე ვარდელი - I ვიოლინო, თამაზ ბათიაშვილი - II ვიოლინო, ნოდარ ჟვანია - ალტი, ოთარ ჩუბინიშვილი - ჩელო).

"ჩემს ბიოგრაფიაში ჩეხურ კულტურასთან ურთიერთობა იღბლიანი აღმოჩნდა. ერთ-ერთი პირველი წარმატება სწორედ ბ.სმეტანას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსმა მომიტანა 1974 წ (პრაღა, ჩეხეთი). ჩემთვის დიდი პატივია ამ კონცერტში მონაწილეობა ყველასათვის საყვარელ და შეუდარებელ საქართველოს ეროვნული სიმებიანი კვარტეტის მუსიკოსებთან ერთად. განსაკუთრებულად ვაფასებთ საელჩოს წვლილს ქართულ-ჩეხური კულტურული ურთიერთობების განვითარების საქმეში" - ამბობს საქართველოს სახალხო არტისტი, გამოჩენილი ქართველი პიანისტი, თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორისი რექტორი და პროფესორი მანანა დოიჯაშვილი.

*24 საათი*

## ქობულეთი საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობს

დღეს ქობულეთში შავი ზღვის ქვეყნების მეორე კონფერენცია გაიხსნება, რომელიც განათლების საკითხებს ეძღვნება. მისი ორგანიზატორია გამოცდების ეროვნული ცენტრი.

როგორც გამოცდების ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, კონფერენციის თემაა: "საერთაშორისო კვლევები და საგანმანათლებლო სტანდარტები". მასში მონაწილეობას მსოფლიოს 15 ქვეყნის 30-ზე მეტი ექსპერტი მიიღებს. ეს ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთი, აშშ, შვედეთი, ნიდერლანდები, იტალია, ბოტსვანა, უნგრეთი, თურქეთი, უკრაინა, ყირგიზეთი. კონფერენციის მონაწილეები იმსჯელებენ საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირებაში საერთაშორისო კვლევების როლზე, საერთაშორისო კვლევების მიზანსა და სტრატეგიაზე.

ამ ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების შედეგების მიხედვით განათლების სისტემაში სტრატეგიის შემუშავება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია.

შავი ზღვის ქვეყნების მეორე კონფერენცია ხვალ დაიხურება.

*მედიანიუსი*

## საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებული უნიკალური ფოტოები

თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში მეცნიერებმა XX საუკუნის დასაწყისის საარქივო მასალის დამუშავების დროს საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებულ დღემდე უცნობ ორ ფოტოდოკუმენტს მიაკვლიეს.

როგორც მუზეუმში განაცხადეს, ორივე ფოტო ბაქოშია გადაღებული. ერთ-ერთ მათგანზე ოკუპაციის უშუალო ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე და აზერბაიჯანის კომპარტიის პირველი მდივანი სერგეი კიროვია აღბეჭდილი. საბჭოთა ლიდერები საქართველოს დასაპყრობად მომავალ დაჯავშნულ მატარებელთან წითელ არმიელების გარემოცვაში დგანან.

მეორე ფოტო კი საქართველოს ოკუპაციამდე ერთი დღით ადრე, 1920 წლის 1 მაისსაა გადაღებული. მინაწერის მიხედვით ფოტოს "თბილისზე ლაშქრობა" ეწოდება. აქ ამხანაგი ორჯონიკიძე ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრებთან ერთად საქართველოსაკენ დაძრული მე-11 არმიის აღლუმს იბარებს.

"ორივე ფოტო უნიკალურია, ისინი ისტორიკოსებისათვის დღემდე უცნობი იყო, გარდა ამისა ეს არის ორად ორი დოკუმენტები სადაც უშუალოდ საქართველოს ოკუპაციის სამზადისია ასახული", - განმარტავენ მუზეუმში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ჩინელი არქეოლოგები გათხრებს განაახლებენ

13 ივნისს ჩინეთში ცნობილი ტერაკოტას არმიის გათხრების მესამე ეტაპი დაიწყება. ის ძვ.წ.აღ-ის მესამე საუკუნის იმპერატორ ცინ შიხუანის პერიოდს განეკუთვნება. არქეოლოგიური სამუშაოების განახლების შესახებ ინფორმაციას "სინხუა"ავრცელებს.

არქეოლოგები იმედოვნებენ, რომ უბრალო მეომრების ქანდაკებების გარდა, არმიის მეთაურთა ფიგურებსაც აღმოაჩენენ. სამუშაოები ჩატარდება ყველაზე მასშტაბურ სამარხში, რომელიც ქალაქ სიანის რაიონში მდებარეობს და სულ ცოტა ერთი წელი გაგრძელდება. ვარაუდობენ, რომ 230X62 მეტრის ზომის სამარხში, დაახლოებით, ექვსი ათასი სრულმასშტაბიანი ქანდაკებაა. წინა გათხრებისას არქეოლოგებმა იქ ათასამდე ფიგურა აღმოაჩინეს.



ტერაკოტას არმია მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მონაპოვარია. 1974 წელს ქანდაკებები ქალაქ სიანადან 35 კილომეტრის მოშორებით აღმოაჩინეს ადგილობრივმა გლეხებმა, რომლებიც იქ ჭას თხრიდნენ.

პირველი პროფესიონალური გათხრები განხორციელდა 1978-დან 1984 წლამდე. ამ დროის განმავლობაში სამარხიდან მიწის ზედაპირზე ამოიტანეს მეომრებისა და ცხენების 1087 თიხის ფიგურა. გათხრების მეორე ეტაპი დაიწყო 1985 წელს, თუმცა ერთი წლის შემდეგ ტექნიკური მიზეზების გამო შეწყდა.

ამ ფიგურების შესახებ მაისის თვეში იუწყებოდნენ, რომ შვიდი ტერაკოტრას მეომარი, რომლებიც პირველი ჩინელი იმპერატორის ცინ შიხუანის მუზეუმ-ნეკროპოლისში ინახებოდა, 2008 წლის 12 მაისს სეჩუანის პროვინციაში მომხდარი უძლიერესი მიწისძვრის დროს დაზიანდა. თუმცა, შენსის პროვინციის კულტურის საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლის ინფორმაციის თანახმად, შენსის ტერაკოტას არმიის მუზეუმში დაცული ნამუშევრებიდან მხოლოდ ეს შვიდი ფიგურა დაზიანდა. ამის შესახებ სააგენტო France Press-ი იტყობინებოდა. აღნიშნულ მუზეუმში, დაახლოებით, რვა ათასი ტერაკოტას მეომარი ინახება.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტერაკოტას არმიას რამდენიმე ადგილას აწყობდნენ. ასეთი აღმოჩენა ბოტანიკოსებმა მას შემდეგ გააკეთეს, რაც ყვავილის მტვერი აღმოაჩინეს თიხაში, რომლისგანაც არის შექმნილი მეომრებისა და მათი ცხენების ქანდაკებები. ეს ინფორმაცია არხმა Discovery News აკადემიურ ჟურნალში Journal of Archaelogical Science გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გაავრცელა. აქამდე მიაჩნდათ, რომ მთელი არმია საიმპერატორო აკლდამისგან უშუალო სიახლოვეს იყო შექმნილი.

პეკინის ბოტანიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა კერამიკის შემადგენლობა შეისწავლეს გააცალკევეს რა ერთმანეთისგან თიხის ნაწილები და მტვერი. მკვლევარებმა მცენარეთა 32 სახეობა გამოავლინეს. ისინი, როგორც ჩანს, სახელოსნოს შემოგარენში ხარობდნენ. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეომრებზე უფრო მასიური ცხენები მავზოლეუმთან ახლოს არის დამზადებული. სახელოსნოს, სადაც მეომრებს ამზადებდნენ, ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერ დადგენილი არ არის.

ცნობილია, რომ პრაქტიკულად ნატურალურ ზომებში შესრულებულ მეომრებს უნდა დაეცვათ იმპერატორის გასასვენებელი, რომელიც ძვ.წ.აღ.-ის 210 წელს გარდაიცვალა. არმიის შექმნის პირობები გამოკვლეული არ არის. ჩინელი არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ მოსალოდნელი გათხრები მათ საშუალებას მისცემთ ეს უნკალური მონაპოვარი უფრო კარგად შეისწავლონ.

# "ამირანი" იწყება

2009 წლის 11-დან 14 ივნისის ჩათვლით სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "ამირანი" გაიმართება. ის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ფესტივალი ოთხი დღე გაგრძელდება და არაერთი ღონისძიება გაიმართება.

*გახსნის დღეს* საზოგადოებას ამ ფესტივალის ისტორიას შეასხესენებენ და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სარამოს შესთავაზებენ. *მეორე საღამოს* გაიმართება კონცერტი, რომელზეც ქართული ჯგუფები გამოვლენ და ცოცხლად იმღერებენ. ამას თან აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ექსპერიმენტიც დაერთვება. *დახურვის ცერემონიალზე* განარჯვებულები 7 ნომინაციაში გამოვლინდებიან.

ამ ფესტიავალის ფარგლებში მოეწყობა უნივერსიტეტის მიერ ბოლო დროს ჩატარებული მასტერკლასების პრეზენტაცია (დიტო ცინცაძის მასტერკლასის ათი ფილმის წარდგენა). ასევე, გაიმართება პრეზენტაცია პროექტისა "უცნობი ქართული კინო", რომელიც კინოსტუდია ქართულ ფილმთან ერთად განხორციელდა და DVD ფორმატში გამოიცა. ამასთან, უჩვენებენ რუსტამ იბრაგიმბეკოვის კინოსკოლის ნამუშევრებს, რომელთა ნახვაც საინტერესო იქნება ნებისმიერი კინომოყვარულისთვის.

სამდღიან კინოჩვენებაზე დასწრება თავისუფალია და შესაბამისად, სტუდენტური ფილმების ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს მიეცემა.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა მასტერკლასები, რომლებსაც ჟიურის წევრები ჩაატარებენ (მასზე დასწრება ფესტივალის აკრედიტაციით მოხდება). ისინი საქართველოში აზერბაიჯანიდან, კერძოდ რუსტამ იბრაგიმბეკოვის კინოს სკოლიდან, ჩამოვლენ.

ფესტივალის პარტნიორები არიან: "ყავა პელე", "სი-პარი", ღვინის კომპანია "ასკანელი ძმები", "ნატახტარი", ხოლო საინფორმაციო მხარდამჭერები არიან: სააგენტოები "ჯი-ეიჩ-ენი" და "ინტერპრესნიუსი", "მედია პალიტრა", გაზეთი "24 საათი" და რადიო "უცნობი".

*ფესტივალის ისტორია:* სტუდენტური კინოფესტივალის - "ამირანი" დაარსების იდეა სათავეს 1978 წლიდან იღებს. ის დაიწყო როგორც ბიენალე და საბჭოთა კავშირის პერიოდში, კინემატოგრაფიულ წრეებში ყველაზე თავისუფალ ფესტივალად იყო მიჩნეული. მისი ფუნქციონირება 90-იან წლებში, საბჭოთა რეჟიმის დაშლასთან ერთად, შეჩერდა.

*ფეტივალის აღდგენა:* 2007 წელს უნივერსიტეტმა სტუდენტთა საერთაშორისო კინოფესტივალი აღადგინა და ყოველწლიური გახადა. ის 1978 წელს დაარსებული კინოფესტივალის მემკვიდრე გახდა. მისი ჟიურის წევრები იყვნენ ისეთი ცნობილი კინოხელოვანები, როგორებიც არიან: ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, ლეონიდ გაიდაი, მესჩენკო და იზრაელიანი.

*ფესტივალის მიზნებია:*

- მხარში ამოუდგეს სტუდენტებს მათი კარიერისა განვითარების გზაზე და პროფესიული უნარების გამომუშავებაში;
- ტუდენტების ნაშრომთა პოპულარიზაცია;
- შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.
- სტიმული მისცეს ახალგაზრდა ხელოვანებს, რათა მათ პროფესიულ დაოსტატებას მეტი დრო დაუთმონ და ხელოვნების ღირებული ნიმუშები შექმნან.

*ფესტივალი მოლოდინი:*

- თაობათა შორის ურთიერთობის განვითარება;
- საგანმანათლებლო სფეროში. სიახლეების სტიმულირება;
- კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის გაცვლა ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის.
- შემდგომი თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება.
- სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება და აქტივობის გაზრდა.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უმაღლესი სახელოვნებო განათლების მრავალპროფილიანი დაწესებულებაა. ის აქცენტირებულია მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული კადრები სახელოვნებო მეცნიერებათა კულტურის მართვისა და საშემსრულებლო თუ გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა განავითაროს ინტერდისციპლინური ხასიათის სასწავლო გეგმა და სამეცნიერო კვლევები, რაც გააფართოვებს დასაქმების ბაზარს კულტურაში, ხოლო კურსდამთავრებულებს შესძენს უნარს სწარაფი ადაპტაცია მოახდინონ მსოფლიოს მუდმივად ცვალებად შრომით ბაზარზე. უნივერსიტეტი წარმოადგეს ქართული კულტურისა და ხელოვნების ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ორიენტირებულია თეატრისა და კინოს, მედიახელოვნების, აგრეთვე სახელოვნებო მეცნიერებათა სწავლებისა და კვლევის შემდგომი გაღრმავების საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ კინოფაკულტეტი აქ 36 წლის წინათ შეიქმნა. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ELIA და CILECT-ის სრული წევრია.

*24 საათი*

# სპორტი

## ახალი სტადიონი ჩემპიონისთვის

მიხეილ აბაიშვილი

სულ მალე ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონი, თბილისის "ვიტ ჯორჯია" თანამედროვე არენაზე ჩაატარებს საშინაო მატჩებს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ვეტერინარებისთვის საშინაო არენად მცხეთის "არმაზი" ითვლებოდა. იმის გამო, რომ ეს სტადიონი სტანდარტების მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, გადაწყდა რეკონსტრუქციის ჩატარება. ამ წამოწყებაში "ვიტ ჯორჯიას" ფინანსური დახმარება აღუთქვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ. მომზადდა ერთობლივი პროექტი, რომელიც უეფას პროგრამა "ჰეთ თრიკის" ფარგლებში ევროპის საფეხბურთო ასოციაციას წარედგინა. უეფამ ამ პროექტის დაფინანსებაზე უარი არ თქვა. ასე რომ, ახლო მომავალში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კიდევ ერთი არენა შეემატება საქართველოს.

ამ პერსპექტივასთან დაკავშირებით გუშინ საფეხბურთო კლუბ "ვიტ ჯორჯიას" ოფისში წარადგინეს პროექტი და გაფორმდა ხელშეკრულება თანამშრომლობის თაობაზე, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდეტმა ნოდარ ახალკაცმა და "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ. ხელშეკრულების მიხედვით, უახლოეს ერთ წელიწადში ფედერაციისა და კლუბის ერთობლივი დაფინანსებით აშენდება სტადიონი, რომელიც, უეფას ხარისხის პარამეტრების მიხედვით, "ორი ვარსკვლავის" შესაბამისი იქნება. უეფა "ჰეთ თრიკის" პროგრამით დააფინანსებს მოედნის თანამედროვე, ბოლო თაობის ხელოვნური საფარის შესყიდვისა და დაგების სამუშაოებს, ხოლო კლუბი ტრიბუნას და ტრიბუნისქვეშა ნაგებობებს ააშენებს. ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგებაზე უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომელშიც ამ ბიზნესში დასაქმებული სამი ერთობლივი კომპანია აპირებს მონაწილეობას. რაც შეეხება თავად სტადიონის გარეგნულ იერსახეს, საბოლოო არქიტექტურული პროექტი უკვე მომზადებულია. სამუშაოები ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია არსებული ტრიბუნის მოდერნიზება. ამის შემდეგ ერთიარუსიან ტრიბუნაზე განთავსდება 2000 ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილი. კეთილმოეწყობა გასახდელები, მსაჯთა ოთახი, პრესცენტრი და ყველაფერი ის, რაც აუცილებელია თანამედროვე არენის ფუნქციონირებისთვის. მეორე ეტაპზე აშენდება კიდევ ერთი 2000-ადგილიანი ტრიბუნა და დამონტაჟდება ხელოვნური განათება.

პირველი ეტაპის სამუშაოები 2009 წლის ნოემბერში დამთავრდება, სამუშაოების მთელი მოცულობის შესრულება კი სამ წელიწადზეა გათვლილი.

"ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტის განხორციელებით საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით კიდევ ერთი სერიოზული ობიექტი შეემატება საქართველოს. ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არა მხოლოდ "ვიტ ჯორჯია", არამედ უმაღლესი თუ სხვა ლიგების ნებისმიერი კლუბი უზრუნველყოფილი იყოს როგორც სათამაშო, ისე მოსამზადებელი ინფრასტრუქტურით. ამ საქმეში ფიფა და უეფა დიდ დახმარებას გვიწევენ და ეს პროცესი გაგრძელდება", - განაცხადა კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ნოდარ ახალკაცმა.

"2009 წლის 9 ივნისი მნიშვნელოვანი თარიღი გახდება არა მხოლოდ საფეხბურთო კლუბ "ვიტ ჯორჯიასთვის", არამედ ზოგადად ქართული ფეხბურთისთვის. აქტი, რომელიც უკვე ხელმოწერილია, ქართულ საფეხბურთო მეურნეობას თანამედროვე სტანდარტების კიდევ ერთი სტადიონით გაამდიდრებს. ეს სტადიონი არა მხოლოდ ჩვენი გუნდის, არამედ სხვა ქართული კლუბების თუ ნაკრები გუნდების სამსახურში ჩადგება", - აღნიშნა "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

## კუპერის ნაკრები ალბანეთს დანაკლისით ეწვია

დღეს ტირანაში საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. შაბათს თბილისში მოლდოვასთან წაგებული მატჩის შემდეგ ალბანეთში დადებითი შედეგის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, რომ კუპერის გუნდი მეტოქეს შესუსტებული შემადგენლობით ეწვია. ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, დავით კვირკველია, დავით დევდარიანი, ლევან ხმალაძე, ბექა გოცირიძე - ეს ექვსი ფეხბურთელი ტრავმის გამო ვერ დაეხმარება ნაკრებს. კუპერმა ახალგაზრდული ნაკრებიდან თბილისის "ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველ ირაკლი კლიმიაშვილის მიწვევით შეავსო დანაკლისი.

ნაკრები ალბანეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

**მეკარეები:** გიორგი ლომაია ("ლოკომოტივი"), გრიგოლ ბედიაშვილი ("ვიტ ჯორჯია"), ზურაბ მამალაძე ("ზესტაფონი");

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი"), გიორგი შაშიაშვილი ("ერგოტელისი", საბერძნეთი), გურამ კაშია ("დინამო"), ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი", ინგლისი), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია"), დავით გიგაური ("გაგრა"), დავით კვირკველია ("რუბინი", რუსეთი), გიორგი ფოფხაძე ("ვიბორგი", დანია);

**ნახევარმცველები:** ლუკა რაზმაძე ("ვიტ ჯორჯია"), მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"), გიორგი სეთურიძე ("ოლიმპი"), ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია), ირაკლი კლიმიაშვილი ("ვიტ ჯორჯია", თბილისი);

**თავდამსხმელები:** ოთარ მარცვალაძე ("ანჟი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი ("კარლსრუე", გერმანია), გიორგი მერებაშვილი ("დინამო "), ვლადიმერ დვალიშვილი ("სკონტო", ლატვია), რატი ალექსიძე ("დიორ ეტო", უნგრეთი).

## ჰიდინკმა სერ ალექსს ფეხბურთი დაუწუნა

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა, რომელიც ამავე დროს "ჩელსის" კონსულტანტად რჩება, "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი გააკრიტიკა.

ჰიდინკმა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე ისაუბრა, თქვა, რომ თამაში მოსაწყენი იყო და ეს, პირველ რიგში, "მანჩესტერის" დამსახურებაა.

"ჩემპიონთა ლიგის ფინალის ცქერამ არავითარი სიამოვნება არ მომანიჭა. ეს იყო მოსაწყენი სანახაობა. რომის ოლიმპიურ სტადიონზე ფეხბურთს ერთი გუნდი თამაშობდა და ეს იყო "ბარსა". ბრძოლა საერთოდ არ ყოფილა. როდესაც თამაშისთვის ემზადები, მეტოქის ტაქტიკა ბოლომდე უნდა შეისწავლო, რაც, ჩემი აზრით, სერ ალექსს არ გაუკეთებია. "ბარსელონამ" ფინალში თავისი ფეხბურთი ითამაშა და მაქსიმალურად გამოიყენა მეტოქის სუსტი წერტილები", - ამბობს ჰიდინკი.



*ჰიდინკმა ფერგიუსონისთვისაც მოიცალა*

ჰოლანდიელი მწვრთნელის მოსაზრება საგულისხმოა და შესაძლოა სრულიად სწორიც, თუმცა ერთი ფაქტი იწვევს გაკვირვებას. ფინალში გასვლამდე "ბარსელონამ" სწორედ ჰიდინკის მიერ გაწვრთნილი "ჩელსი" დაამარცხა. ბევრს მიაჩნია, რომ ნახევარფინალში კატალონიელებს გაუმართლათ, თორემ ფინალში თამაშს "ჩელსი" იმსახურებდა. დიახ, "ბარსას" მაშინ ნამდვილად გაუმართლა, მაგრამ თუ ჰიდინკი ფეხბურთის თამაშზე საუბრობს და ამიტომ აკრიტიკებს სერ ალექსს, მაშინ რა უნდა ვუწოდოთ იმას, რასაც "ჩელსი" აკეთებდა ნახევარფინალში? "კამპ ნოუზე" გამართულ მატჩში ლონდონური კლუბის 11 ფეხბურთელი მხოლოდ საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობდა, მიხაელ ბალაკი კი მესის კოჭებში ფეხის ჩარტყმით აჩერებდა. ჰიდინკმა თავის გუნდს შედეგზე ორიენტირებული ანტიფეხბურთი ათამაშა. რაც შეეხება განმეორებით შეხვედრას, რა უნდა ითქვას გუნდზე, რომელიც მინიმალური სხვაობით იგებს თამაშს. ამ გუნდის კარში ერთი შემთხვევითი გოლიც კი კატასტროფის ტოლფასია. მოწინააღმდეგე მინდორზე ათი კაცის ამარაა დარჩენილი და იმის ნაცვლად, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანოს, მეორე გოლი გაიტანოს და ყველაფერი დაასრულოს, მწვრთნელს მოედნიდან გაჰყავს მთავარი მეგოლე და მას მცველით ცვლის.

### კანადამ ორი საფეხურით დაგვაქვეითა

"ჩერჩილის თასზე" კანადის ნაკრებთან წაგებული თამაშის გამო "ბორჯღალოსნები" IRB-ს ახალ რეიტინგში ორი საფეხურით დაქვეითდნენ და მეთხუთმეტე ადგილზე აღმოჩნდნენ. გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული გუნდი მე-12 პოზიციიდან იტალიას აძევებდა, მარცხმა კი აპენინელებს საკმაოდ დაგვაცილა. მე-13 საფეხურზე კანადა აღმოჩნდა, მე-14 ადგილზე კი დარჩა ტონგა, რომელსაც გასულ უქმეებზე არ უთამაშია, მაგრამ პოზიცია შეინარჩუნა. "ჩერჩილის თასზე" ჩვენი ნაკრები მორიგ მატჩს ირლანდიის A ნაკრებთან გამართავს. ეს შედეგი რეიტინგზე არ აისახება. სამაგიეროდ მატჩი, რომელსაც ქართველები, სავარაუდოდ, ტურნირის ბოლოს აშშ-ს ნაკრებთან გამართავენ, სარეიტინგო ქულებზე აისახება. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი გუნდი კანადაში საბრძოლო შემადგენლობით არ არის, დიდი ალბათობაა იმისა, რომ "ბორჯღალოსნები" რეიტინგში მე-19 ადგილზე მყოფ ამერიკელებთანაც დამარცხდებიან და კიდევ დათმობენ პოზიციებს.

### IRB-ს რეიტინგი 8 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3.ავსტრალია | 85.86 |
| 4.ირლანდია | 83.27 |
| 5.ინგლისი | 82.10 |
| 6.უელსი | 80.74 |
| 7.არგენტინა | 80.42 |
| 8.საფრანგეთი | 70.94 |
| 9.ფიჯი | 75.24 |
| 10.შოტლანდია | 75.23 |
| 11.სამოა | 72.57 |
| 12.იტალია | 71.23 |
| 13.კანადა | 70.68 |
| 14.ტონგა | 70.05 |
| **15.საქართველო** | **68.67** |
| 16.იაპონია | 68.05 |
| 17.რუსეთი | 66.57 |
| 18.რუმინეთი | 64.26 |
| 19.აშშ | 63.55 |
| 20.ურუგვაი | 63.16 |
| 21.პორტუგალია | 62.16 |
| 22.ესპანეთი | 59.01 |
| 23.ჩილე | 57.95 |
| 24.ს.კორეა | 57.90 |
| 25.ნამიბია | 56.82 |
| 26.გერმანია | 55.35 |
| 27.ყაზახეთი | 55.12 |
| 28.ბრაზილია | 54.97 |
| 29.პოლონეთი | 54.42 |
| 30.უკრაინა | 54.17 |

### სამბოში ნახევარი სეზონი დაითვალეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ 2009 წლის სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამა და წარმატებული სპორტსმენები და სამბოში მოტრიალე სპეციალისტები დასაჩუქრა. ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან თედიაშვილმა** და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ** ევროპის ჩემპიონები **უშანგი კუზანაშვილი** და **დავით სვიმონიშვილი** 2500-2500 ლარით დააჯილდოვეს. ვერცხლის პრიზიორ გელა სანიკიძეს 1500 ლარი დაგაეცა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორებს - ავთანდილ ცინცაძეს, მინდია ბოდაველსა და აკაკი ზოიძეს - 1000-1000. ფინანსური წახალისების გარდა ამ სამბისტებმა სპორტული ეკიპირებაც მიიღეს. სპორტული ეკიპირებითვე დაჯილდოვდნენ ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონი არჩილ შინჯიკაშვილი, ვერცხლის პრიზიორი გოჩა ვარძელაშვილი და ბრინჯაოს პრიზიორები - გივი ნადარეიშვილი, გენადი ჩირგაძე, ზვიად კაპანაძე და იაგო მესტვირიშვილი. ასევე ახალგაზრდებს შორის ევროპული ოქროების მომგები ნოდარ კუდუხაშვილი და ლაშა გურული, ვერცხლისმედალოსნები - ვაჟა ლატარია და ლევან ნახუცრიშვილი და მესამე ადგილზე გასულები - გიორგი გეჯაძე, ბექა ბუცხრიკიძე, გიორგი ბოლოთაშვილი და დავით ბოჭორიშვილი. საჩუქრები მიიღეს მწვრთნელებმა ზურაბ ტუღუშმა (ფოთი), გივი ზაუტაშვილმა, ქართლოს პავლიაშვილმა (ორივე გორი), ელიზბარ ბიგანიშვილმა, ტარიელ ცინცაძემ (ორივე თბილისი), ნაკრების ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა და ვეტერანმა სამბისტმა იოსებ მაღალაშვილმა.

### კეირუშმა ნაკრების წმენდა დაიწყო

ალბანეთის ნაკრებთან გამართული არცთუ ისე დამაჯერებელი თამაშის შემდეგ პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლუშ კეირუშმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გუნდიდან დაითხოვა დეკუ. ჟოაო მუტინიუ და ჟოზე ბოსინგვა - ეს სამეული არ ითამაშებს ესტონეთის ნაკრებთან გასამართ ამხანაგურ მატჩს. თამაშს გამოტოვებენ აგრეთვე ტრავმირებული კრიშტიანუ რონალდუ და სიმაუ საბროსა.

### გვარდიოლამ მასკერანოს დაადგა თვალი

უკვე გადაწყვეტილია, რომ „ბარსელონას“ დატოვებს ია ია ტურე. მის სანაცვლოდ კატალონიელებს კარგი საყრდენი ნახევარმცველი სჭირდებათ. გვარდიოლამ არჩევანი გააკეთა „ლივერპულის“ არგენტინელ საყრდენზე ხავიერ მასკერანოზე, რომელიც ბოლო ხანს მერსისაიდული კლუბის ძირითადში ვერ ხვდებოდა. ორიოდე დღის წინ „ბარსას“ პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ აღნიშნა, რომ სატრანსფერო პერიოდში გუნდი ორი ან სამი ფეხბურთელით გაძლიერდება. ეტყობა, ერთ-ერთი სწორედ მასკერანოა.

როგორც არგენტინული გაზეთი Clarin იუწყება, მოსალოდნელია, რომ მომავალი სეზონიდან 25 წლის მასკერანომ კატალონიურ კლუბში ითამაშოს.

### ფანდელმა კარიერა დაამთავრა

ცნობილმა გერმანელმა არბიტრმა ჰერბერტ ფანდელმა კარიერა დაასრულა.

„ჩემი ხანგრძლივი კარიერის დასასრულებლად ახლა საუკეთესო მომენტია, - აღნიშნა მან გერმანიის ფეხბურთის კავშირის ინტერნეტგვერდზე, - მოედნიდან უარყოფითი ემოციების გარეშე მივდივარ.“ 1996-დან დღემდე ფანდელმა 247 ბუნდესლიგური, 26 სანაკრებო და 56 ევროთასების მატჩი განსაჯა.

### პოჩეტინიო "ესპანიოლში" რჩება

კატალონიური „ესპანიოლის“ მთავარმა მწვრთნელმა მაურიციო პოჩეტინომ კლუბთან კონტრაქტი 3 წლით გაახანგრძლივა. 37 წლის პოჩეტინო გუნდს 2009 წლის იანვარში ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა წლეულს პრიმერა დივიზიონში მეათე ადგილი დაიკავა.

### ტონის "ბარსელონა" ეძახის

ესპანური და იტალიური გაზეთები „ბარსელონაში“ მიუნხენის „ბაიერნის“ 32 წლის იტალიელი თავდამსხმელის ლუკა ტონის შესაძლო გადასვლის შესახებ ალაპარაკდნენ. აპენინური თუ პირენეული გამოცემების თანახმად, „ბარსელონას“ მწვრთნელი პეპ გვარდიოლა, რომელიც ტონისთან ერთად თავის დროზე „ბრეშაში“ გამოდიოდა, ყოფილ თანაგუნდელს შეჰხმიანებია და „კამპ ნოუზე“ გადასვლა შეუთავაზებია.

ტონი „ბაიერნში“ „ფიორენტინადან“ 2007 წლის ზაფხულში გადავიდა და პირველ სეზონში 24 გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირი გახდა. განვლილ სეზონში კი მისი მონაგარი უფრო მოკრძალებული გამოდგა. კლუბიდან მისი შესაძლო წასვლის შესახებ განსაკუთრებით ინტენსიურად მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც „ბაიერნმა“ „შტუტგარტიდან“ 30 მილიონი ევროს საფასურად 24 წლის თავდამსხმელი მარიო გომესი გადაიყვანა.

### "მანჩესტერი" ბულგარელ მეგოლეს შეინარჩუნებს

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, „მანჩესტერისა“ და ბულგარეთის ნაკრების ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში კლუბის გამოცვლას არ აპირებს. "გავრცელებული ხმების მიუხედავად, თითქოს დიმიტარი სხვა გუნდში გადავა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მომავალ სეზონს ის აუცილებლად "მანჩესტერ იუნაიტედში" გაატარებს. კლუბის ხელმძღვანელობას მასთან განშორება არ უნდა. ბერბატოვი დარჩება და იმედი მაქვს, მომავალ წელს იმ ტიტულებს მოიპოვებს, რომელთა მოპოვება წელს ვერ მოახერხა," - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

### ბენიტესი ფორვარდს ეძებს

„ლივერპულის“ მთავარ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს ტარნსფერებზე 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი მისცეს, რამაც მის გეგმებში გარკვეული კორექტივები შეიტანა. ბენიტესს ზაფხულში მაღალი დონის ფორვარდის შეძენა სურდა. კერძოდ, ის დავიდ ვილიას ყიდვას აპირებდა, თუმცა 20 მილიონი ამისთვის საკმარისი არ არის. შექმნილ ვითარებაში „ლივერპულმა“ შეძენის სურვილით ოფიციალურად მიმართა იტალიური "ნაპოლის" თავდამსხმელს ეზეკიელ ლავეცის.

"ლივერპული" 24 წლის არგენტინელი ფორვარდის სანაცვლოდ 18 მილიონი ფუნტის გადახდას აპირებს.

# პერესმა ახალი ეპოქა ახალი ზიდანით დაიწყო

## კაკას „მილანის“ დატოვება არ უნდოდა




"რეალის" ფეხბურთელის რანგში კაკამ პრესკონფერენცია გამართა

კაკას სატრანსფერო საგა არც ისე დიდხანს გაგრძელდა. ზოგიერთი ფეხბურთელის ტრანსფერი საპნის ოპერას ემსგავსება, ფლორენტინო პერესმა კი, შეიძლება ითქვას, ერთი ხელის მოსმით მოაგვარა ყველაფერი და ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი კაკა უკვე „რეალის“ ფეხბურთელია. პერესი ახალი „გალაქტიკოსის“ შენებას სწორედ კაკათი იწყებს. ბრაზილიელი „სამეფო კლუბში“ 5-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. პერესის თქმით, მან იყიდა ახალი ზიდანი, რომელიც „რეალს“ მეათედ მოაგებინებს ჩემპიონთა თასს (მეცხრე ტიტული „სამეფო კლუბმა“ ლეგენდარული ფრანგის ფანტასტიკური გოლის წყალობით მოიგო).

კაკა უკვე „გალაქტიკოსია“ და ახლახან შემდგარ ტრანსფერზე ყველა თავისუფლად საუბრობს. ფლორენტინო პერესმა იტალიურ „გაძეტა დელო სპორტთან“ გააკეთა კომენტარები, თავად კაკამ კი პრენსკონფერენცია მოაწყო.

„მე არ დამიმალავს, რომ კაკა ჩემი მთავარი სამიზნე იყო. ამიტომ დავურეკე ადრიანო გალიანის, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ვუთხარი, რომ კაკას შეძენა მინდოდა და ვკითხე, არსებობდა თუ არა ამის რეალური შესაძლებლობა. შემდეგ დავსხედით და ყველაფერზე შევთანხმდით. რაც შეეხება თავად კაკას, მას საერთოდ არ შევხვედრივარ. ვესაუბრე მამამისს. კაკა სულ ორჯერ მყავს ნანახი და ეს სამი წლის წინ მოხდა, როდესაც „სან სიროზე“ ჩემპიონთა ლიგის მატჩს დავესწარი. თამაშის შემდეგ გასახდელში ჩავედი და ყველა ფეხბურთელს მივესალმე. მათ შორის იყო კაკაც. მშვენივრად ვიცოდი, რომ კაკას „მილანის“ დატოვება არ უნდოდა, თუმცა მას ისიც საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ თუ „როსონერის“ დატოვებს, ერთდერთი კლუბი, რომელშიც კარიერას გააგრძელებს, „რეალია“. ვფიქრობ, შემდგარი გარიგება ყველასთვის მომგებიანია. ნებისმიერ ფეხბურთელს სჭირდება ცვლილებები. გაიხსენეთ ზიდანის საქმე. „რეალში“ მისი გადასვლით ყველა მოგებული დარჩა. იგივე მოხდება კაკას შემთხვევაშიც. ვიცი, „მილანის“ ფანები უკმაყოფილონი არიან, თუმცა მინდა ისინი დავამშვიდო. მე გალიანის ვესაუბრე და ვიცი, რომ მომავალ სეზონში „მილანი“ ძალიან ძლიერი გუნდი იქნება. ამაში გუნდს ის ფულიც დაეხმარება, რომელიც კაკას გაყიდვის შემდეგ შევიდა კლუბის ბიუჯეტში. ვისურვებდი, რომ მომავალ სეზონში „რეალი“ და „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. პირადად ჩემთვის კაკას შეძენა სრულიად გამართლებულია. დარწმუნებული ვარ, ის გუნდისთვის ახალი ზიდანი იქნება. სწორედ ამიტომ მივეცით მას ხუთნომრიანი მაისური. თავისი ფანტასტიკური გოლით ზიდანმა ჩვენ მეცხრედ მოგვაგებინა ჩემპიონთა თასი, კაკა კი ის ფეხბურთელია, რომელიც მეათე თასს მოგვიტანს. მედიაში დაიბეჭდა, თითქოს ზიდანმა თქვა, პერესს ურჩევნია კაკას ნაცვლად იბრაჰიმოვიჩი იყიდოსო. არ ვიცი, რატომ თქვა ასე ზიზუმ. მორატი ჩემი მეგობარია და ჩვენს შორის იბრაჰიმოვიჩის თაობაზე საუბარი არასდროს ყოფილა. დიახ, ზლატანი დიდი ფეხბურთელია, თუმცა მის ყიდვას არ ვაპირებთ. საშიშია თუ არა ჩვენთვის, თუ იბრაჰიმოვიჩი „ბარსელონაში“ გადავა? ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: „ბარსა“ ზლატანის გარეშეც საშიშია,“ - ამბობს პერესი.

ახლა კი კაკას მიერ პერსკონფერენციაზე გაკეთებულ კომენტარს გავეცნოთ: „ყველაფერი ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, „მილანს“ არ დავტოვებდი. არაერთხელ მითქვამს, რომ „მილანი“ ჩემთვის მშობლიური კლუბია. მაგრამ მსოფლიო ფინანსური კრიზისი საფეხბურთო კლუბებსაც შეეხო, მათ შორის „მილანსაც“. როდესაც კლუბის მესვეურებს ვესაუბრე, გაირკვა, რომ ამ ვითარებაში ჩემი გაყიდვა საუკეთესო გამოსავალია. რაც შეეხება „რეალს“, ხუთნომრიანი მაისურით თამაში ჩემთვის, პირველ რიგში, უდიდესი პასუხისმგებლობა იქნება. ზიდანი უდიდესი ფეხბურთელია. გამოგიტყდებით და, ნამდვილად არ მინდა იმ ნომრით ვითამაშო, რომლითაც ეს გენიოსი თამაშობდა. ჩემზე ისედაც დიდი წნეხია და ამას ნუ დამიმატებთ. ვნახოთ, რა იქნება. ჯერ ყველაფერი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. შესაძლოა სხვა ნომერი ავირჩიო. „რეალში“ გადმოსვლა ჩემთვის დიდი გამოწვევაა. 27 წლის ვარ და, როგორც ფეხბურთელს, უკვე ყველაფერი მაქვს მოგებული. აქ ჩამოვედი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ჩემგან ბევრს ელიან. სწორედ ეს არის ის მოტივაცია, რომელიც ფეხბურთს მათამაშებს. ბექჰემმა მითხრა, რომ „რეალი“ ფანტასტიკური კლუბია. ჩემთვის აქ თამაში სიამოვნება იქნება. დიდი პატივია ვითამაშო ისეთი ლეგენდების გვერდით, როგორიც რაული და იკერ კასილიასი არიან. მინდა მათთან ერთად კლუბის ისტორიაში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩავწერო“, - თქვა კაკამ.

როგორც აქამდე ითქვა და ტრანსფერის ოფიციალური გაფორმების შემდეგაც დადასტურდა, „რეალმა“ „მილანს“ კაკაში 65 მილიონი ევრო გადაუხადა. მართალია, სულ ორი კვირის წინ პერესი ამბობდა, ამდენ ფულს არც ერთ ფეხბურთელში არ გადავიხდიო, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები აღმოჩნდა. რაც შეეხება ფეხბურთელის პირად კონტრაქტს, ამბობდნენ, რომ კაკა „რეალთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებდა. თუმცა, ოფიციალური ცნობის თანახმად, კონტრაქტი ექვსწლიანია. ბრაზილიელი ფეხბურთელი მადრიდის „რეალში“ გატარებულ ყოველ სეზონში ანაზღაურების სახით 9 მილიონ ევროს მიიღებს. მთლიანობაში „რეალი“ კაკას 54 მილიონ ევროს გადაუხდის.

კაკას შეძენის შემდეგ ფლორენტინო პერესმა მორიგი სამიზნე დაასახელა. გასაკვირი არ არის, რომ ეს კრიშტიანუ რონალდუა.

„არაერთხელ მითქვამს, რომ „რეალში“ მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ. ასეთია კაკა, იბრაჰიმოვიჩი, კრიშტიანუ რონალდუ. იბრაჰიმოვიჩის შეძენაზე არ მიფიქრია. რონალდუ კი მინდა ვიყიდო და ამ ტრანსფერისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ. გავაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია, რათა პორტუგალიელი მომავალ სეზონში „რეალში“ აღმოჩნდეს. ცხადია, პირველ რიგში „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობას დავუკავშირდები. მე არ მჩვევია კლუბის გვერდის ავლით ფეხბურთელთან ლაპარაკი. ყველაფერი საფეხბურთო ბიზნესის ჩარჩოებში უნდა იყოს. თუ მანკუნიანელები ტრანსფერზე დავითანხმე, მომავალ სეზონში რონალდუ, კაკასთან ერთად, „რეალში“ ითამაშებს“, - აცხადებს პერესი.

# მზერა უიმბლდონისკენ



ფედერერი თოთხმეტივე დიდი სლემით

გიგა გურასაშვილი

*დიდი სლემის 14 ტიტულის მფლობელმა პიტ სამპრასმა როჯერ ფედერერზე თქვა, ის მიღწეულზე არ შეჩერდება და, შესაძლოა, ჯეკ ნიკლაუსის რეკორდსაც შეუტიოსო. საჩოგბურთო დავთრებში ქექვა არ არის საჭირო იმისთვის, რომ გავარკვიოთ, ვინაა ჯეკ ნიკლაუსი - მის გვარს იქ ვერ აღმოაჩენთ. თავის დროზე ამერიკელმა ჩოგბურთს გოლფის თამაში ამჯობინა და ასევე არისტოკრატიულ სახეობაში 18-ჯერ მოიგო დიდი სლემი (1962-1986 წლებში).*

სრულიად საჩოგბურთო სამყარომ იცოდა, რომ როჯერ ფედერერს ერთადერთი მიზანი ჰქონდა - მოეგო მსოფლიოს მთავარ თიხნარზე და დიდი სლემის ოთხივე ტიტულს დაუფლებოდა. ამასთან, სულ მცირე, პიტ სამპრასის რეკორდი გაემეორებინა. როჯერმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა. საკუთარი შედეგებით შვეიცარიელმა ამერიკელსაც გაასწრო. პისტოლ პიტის 14 ჯილდოს შორის არ არის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ტიტული. ასე რომ, როჯერისთვის ერთადერთ მოტივაციად წმინდა ციფრებიღა რჩება. ამისთვის კი საჭიროა დიდი სლემის ერთი ნებისმიერი ტურნირის მოგება. მალე უიბლდონი აიღებს სტარტს. თუ ინგლისურ ბალახზე ვერ შეძლებს ერთგვარი რეკორდის დამყარებას, უიმბლდონიდან აშშ-ის ღია ჩემპიონატამდე ერთი ნაბიჯია. ალბიონზე თუ არა, ამერიკაში მაინც იზეიმებს მეთხუთმეტე დიდ სლემს. ასეთი შედეგისთვის საჩოგბურთო სამყაროში არავის მიუღწევია.

ჩოგბურთის მცოდნეთა უმრავლესობა ირწმუნება, რომ ფედერერი უიმბლდონზე და აშშ-ის ღია ჩემპიონატზე მთავარი ფავორიტი იქნება.

კიდევ ერთი დიდი ტურნირის მოგებაზე, რა თქმა უნდა, თვითონაც ოცნებობს. ამბობს, თუ წლეულს უიმბლდონსაც მოვიგებ, ეს ჩემთვის უდიდესი შედეგი იქნებაო და იმედს გამოთქვამს, რომ ლონდონში მსოფლიოს პირველ ჩოგანს რაფაელ ნადალს შეხვდება: „ესპანელის უიმბლდონზე არყოფნა საშინელება იქნება. სერიოზული მეტოქეები მეყოლება, მაგრამ ვგრძნობ, შემწევს ძალა ბრიტანეთის დედაქალაქში კიდევ რამდენჯერმე მოვიგო. საკმარისი გამოცდილება მაქვს. მზად ვარ ფსიქოლოგიურად და ახალი მწვერვალების დასაპყრობად“.

შვეიცარიელი მისთვის ყველაზე საშიშ მეტოქეთა შორის ფრანგ ჟო-უილფრედ ცონგას და შოტლანდიელ ენდი მიურეის ასახელებს. აღარაფერს ვამბობთ უიმბლდონის ჩემპიონზე რაფაელ ნადალზე. სწორედ 23 წლის მალიორკელი იყო, ვინც ფედერერის წარმატებათა სერიას უიმბლდონზე დაუსვა წერტილი.

რაფაელ ნადალისთვის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მონაწილეობას შესაძლოა ხელი შეუშალოს მუხლის ტრავმამ.

„ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს და მალე გამოჯანმრთელებას. მისი მხრიდან „ქუინს ქლაბში“ მონაწილეობაზე უარის თქმამ ძალზე გამაოცა. პარიზში არ ეტყობოდა, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა“.

# ფედერერს ბაზელში უკვდავყოფენ

1976 წელს აგებული ბაზელის „სენტ-იაკობს ჰალეს“ არენას მალე როჯერ ფედერერის სახელი დაერქმევა. შვეიცარიის მთავრობამ გადაწყვიტა, ასე გადაუხადოს მადლობა ჩოგბურთელს მიღწეული წარმატებისთვის. როგორც ბაზელის სპორტულმა დირექტორმა პიტერ ხოვალდმა პრესასთან განმარტა, არენას, რომელზეც ყოველწლიურად ტარდება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ტურნირი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და შემდეგ გადაერქმევა სახელი. ხოვალდმა დიდხანს ისაუბრა ფედერერის წარმატების მნიშვნელობაზე.

ფედერერს, რომელიც კვირას საფრანგეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულად მოევლინა საჩოგბურთო სამყაროს და დიდი სლემის მეთოთხმეტე ტურნირი ჩაიწერა აქტივში, მშობლიური ქალაქის ტურნირში ზედიზედ სამი გამარჯვება აქვს მოპოვებული - 2006, 2007 და 2008 წლებში. ბაზელში ახალი სეზონის ტურნირი 2 ნოემბერს აიღებს სტარტს და 8 ნოემბრამდე გაგრძელდება. როჯერ ფედერერის სახელობის არენა ამ ტურნირზე 9 000 მაყურებელს უმასპინძლებს.

# დაგვიანებული ქორწილი

ბორის ბეკერმა კარგად დავიწყებულ საყვარელზე დაქორწინება გადაწყვიტა. ჰოლანდიელ მოდელთან შარლილ კერსენბერგთან წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს არაერთხელ გაუწყვეტია და აღუდგენია ურთიერთობა, თუმცა, როგორც ჩანს, ახლა წყვილს ურთიერთობაში დაქორწინების ხანა დაუდგა.

სულ რაღაც ნახევარი წლის წინ ბეკერი აპირებდა მთელი დარჩენილი ცხოვრება დიზაინერ ალესანდრა მეიერ-ველდენთან გაეტარებინა. ჩაშლილი ქორწილის შემდეგ ჩოგბურთელი მიხვდა, რომ ნამდვილი ოჯახი მხოლოდ შარლილთან შეეძლო შეექმნა. თუმცა წყვილის დაშორებას ვერც ეს გადაწყვეტილება დაუდგა წინ. საკუთარ დაბადების დღეზე ბეკერმა მესიჯით გადაწყვიტა, რომ მოდელთან ურთიერთობა აღარ სურდა.

„მე ვაპატიე ბორისს, რაც მაშინ გააკეთა, რადგან ძალიან მიყვარს,“ - ახლა გამოტყდა პრესასთან საუბარში კერსენბერგი. უკვე ცნობილია ქორწილის დეტალები. Delphine Manivet-ის მაღაზიაში წყვილმა ქორწილისთვის საჭირო ნივთები შეიძინა. ცერემონიალის დღე ჯერ არ არის დადგენილი, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ბორის ბეკერი და შარლილ კერსენბერგი შვეიცარიის კურორტ სენტ-მორიტცზე დაიდგამენ ოჯახურ უღელს.

# მორიგი მსხვერპლი

ყვითელი პრესა დიდხანს მსჯელობდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი მოდელის ლუსიანა სალასარის მორიგი კავალერი. არგენტინელი პამელა ანდერსონის სარეცელს იყოფდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორებიც არიან მარსელო რიოსი, გასტონ გაუდიო, ნიკოლას მასუ, ფერნანდო გონსალესი. ლუსიანას სილამაზის ახალი მსხვერპლი ჩოგბურთელი ხუან მარტინ დელ პორტო გახდა.

საყვარლების სიიდან გამომდინარე, ალბათ მიხვდით, რომ სალასარს, ფოტოსესიების გარდა, ჩოგბურთელებთან ურთიერთობა ხიბლავს. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ მოდელს განსაკუთრებით ამერიკელი წამყვანი მოთამაშეები იზიდავს. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ლუსიანასთვის, არგენტინელ რაგბისტებთან გაეჩაღებინა რომანი. ეგვიპტეში წასვლამდე სალასარი ლეო მესისაც ხშირად ხვდებოდა, თუმცა ამ ცნობის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

ამჟამად მოდელის ყურადღების ცენტრში „როლან გაროს“ ნახევარფინალისტი მოექცა. ვნახოთ, რამდენად იღბლიანი აღმოჩნდება ჩოგბურთელ ხუან მარტინ დელ პორტოსთვის ლუსიანა სალასართან ურთიერთობა.

*მოამზადა თეა დოლიძემ*

## მატერაცი "ინტერში" რჩება

„ინტერის“ ცენტრალურმა მცველმა მარკო მატერაციმ, რომლის შეძენა თემურ ქეცბაიას „ოლიმპიაკოსს“ უნდოდა, მილანურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა.

„ნერაძურიმ“ ფეხბურთელის გაშვება არ ისურვა და ახალი ხელშეკრულება გაუფორმა.

მატერაცი „ინტერში“ 2001 წელს გადავიდა და იტალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 164 მატჩში 18 გოლი გაიტანა.

## ჟიგიჩი 10 მილიონად შეაფასეს

ესპანური "ვალენსია" მზადაა, სერბეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ფორვარდს ნიკოლა ჟიგიჩს 10 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელიოს.

"ვალენსიას" სპორტულმა დირექტორმა ფერნანდო გომესმა განაცხადა, რომ ფეხბურთელს მხოლოდ სოლიდური თანხის მიღების შემთხვევაში გაასხვისებს.

"თავის დროზე ჟიგიჩის სანაცვლოდ სოლიდური თანხა გადავიხადეთ. აუცილებელია, რომ საკადრისი კომპენსაცია მივიღოთ," - განაცხადა გომესმა.

ფეხბურთელის მენეჯერმა მილან კალასანმა დაადასტურა, რომ მის კლიენტზე მოთხოვნა არის, თუმცა, იქვე დაამატა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება "ვალენსიას" ხელმძღვანელობის მისაღებია. თავად ჟიგიჩს სურს, ისეთ კლუბში გადავიდეს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს. თუ ეს არ გამოვიდა, სერბი "რასინგში" დაბრუნებაზეც თანახმა იქნება.

## ეტო`ოს მოთხოვნა

ამ ზაფხულს „ინტერსა“ და „ბარსელონას“ შორის ერთი საინტერესო გარიგებაა მოსალოდნელი. კერძოდ, მილანური კლუბიდან კატალონიაში გადავა ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ევროპული მოდის დედაქალაქისკენ კი კამერუნელი სამუელ ეტო`ო აიღებს გეზს.

იმისთვის, რომ გარიგება შედგეს, საჭიროა ყველა მხარის თანხმობა, ეტო`ო კი საკუთარ პირობებს აყენებს.

კამერუნელი ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას და ანაზღაურების სახით წელიწადში 10 მილიონ ფუნტს ითხოვს.

მოქმედი კონტრაქტი ეტო`ოს კატალონიელებთან კიდევ ერთი წლით აკავშირებს. თუ "ბარსელონას" ხელმძღვანელობა მას ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ვერ შეუთანხმდება, მაშინ ფეხბურთელის გასხვისებას დათანხმდება, რათა ფორვარდი საკომპენსაციო თანხის აღების გარეშე არ დაკარგოს. "ინტერის" გარდა, აფრიკელი თავდამსხმელის შეძენა ინგლისურ კლუბებსაც სურთ. მისი სატრანსფერო თანხა 20 მილიონი ფუნტია.

"თუ სამუელის შეძენა უნდათ, მას ღირსეული პირობები უნდა შესთავაზონ, ისეთი, როგორიც იბრაჰიმოვიჩს აქვს," - განაცხადა ფეხბურთელის მენეჯერმა ხოსე მარი მესალესმა.

## ამერიკელები კონფედერაციის თასისთვის გაემზადნენ

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბობ ბრედლიმ დაასახელა ის 23 ფეხბურთელი, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში გასამართ კონფედერაციის თასზე ითამაშებენ.

ფრედლიმ შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერა არჩევანი:

**მეკარეები:** ბრედ გუზანი ("ასტონ ვილა", ინგლისი), ტიმ ჰოვარდი ("ევერტონი", ინგლისი), ლუის რობლსი ("კაიზერსლაუტერნი", გერმანია);

**მცველები:** კარლოს ბოკანეგრა ("რენი", საფრანგეთი), ჯონათან ბორშტეინი ("ჩივასი", აშშ), დენი კელიფი ("მიდტიულანდი", დანია), ჯეი დემერიტი ("უოტფორდი", ინგლისი), ოგუჩი ონიევუ ("სტანდარდი", ბელგია), ჰეტ პირსი ("ჰანზა", გერმანია), ჯონათან სპექტორი ("ვესტ ჰემი", ინგლისი), მერიელ უინი ("ტორონტო", აშშ);

**ნახევარმცველები**: ფრედი ადუ ("მონაკო", საფრანგეთი), დამარკუს ბიზლი ("რეინჯერსი", შოტლანდია), მაიკლ ბრედლი ("მიონხენგლადბახი", გერმანია), რიკარდო კლარკი ("დინამო ჰიუსტონი", აშშ), ბენი ფეილჰაბერი ("ორჰუსი", დანია), საშა კლიაისტენი ("ჩივასი", აშშ), ხოსე ფრანსისკო ტორესი ("პაჩუკა", მექსიკა);'

**თავდამსხმელები:** ჟოზი ალტიდორი ("ვილიარეალი", ესპანეთი), კონორ კეისი ("კოლორადო რეპიდსი", აშშ), ჩარლი დეივისი ("ჰამარბი", შვედეთი), კლინტ დემპსი ("ფულჰემი", ინგლისი), ლენდონ დონოვანი ("ლოს-ანჯელეს გელექსი", აშშ).

კონფედერაციის თასი 14 ივნისს აიღებს სტარტს. აშშ-ის ნაკრები პირველ მატჩს 15 ივნისს იტალიის წინააღმდეგ გამართავს.




# დაიპყარი მწვერვალი!
## გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
**$325 000**




Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007



**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შელანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

kikala studio



## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**



## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**


24 საათი | The New York Times — Articles selected for 24 საათი | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;




**"სახელმწიფო პროგრამა "იაფი კრედიტის" ფარგლებში საკრედიტო რესურსის გაცემის წესის" შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ბანკების ან/და მიკროსაფინასო ორგანიზაციების შერჩევის მიზნით აცხადებს კონკურსს**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 მარტის N55 დადგენილების მე-4 მუხლის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 5 ივნისის N1-1/1283 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სახელმწიფო პროგრამა "იაფი კრედიტის" ფარგლებში გამოყოფილი სახელმწიფო რესურსის შეღავათიანი პირობებით კრედიტების გაცემისათვის აცხადებს კონკურსს ბანკებისა ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესარჩევად.

პროგრამის ფარგლებში კრედიტები გაიცემა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ხალხური რეწვისა და სხვა სექტორებში სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული, აგრეთვე აღნიშნულ სექტორებში ბიზნესის დაწყების მსურველი მეწარმე სუბიექტებისათვის.

**სახელმწიფო პროგრამა "იაფი კრედიტის" პირობები:**

1. ერთი ბენეფიციარ იურიდიულ პირზე (საწარმოზე) გასაცემი კრედიტის ოდენობა უნდა იყოს 20.0 ათას ლარზე მეტი;
2. კრედიტით სარგებლობის მაქსიმალური ვადა - 7 წელი;
3. საშეღავათო პერიოდი - 2 წლამდე;
4. კრედიტით სარგებლობის წლიური განაკვეთი: პარტნიორი კომერციული ბანკისათვის ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის - წლიური 2 პროცენტი, მეწარმე სუბიექტისათვის - არა უმეტეს 12 პროცენტისა;
5. ბანკის ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ბენეფიციარისათვის კრედიტის გაცემის საბოლოო ვადაა 2009 წლის 22 დეკემბერი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულმა ბანკებმა ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, წერილობითი განაცხადი უნდა წარმოადგინონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

**ბანკების მიერ წარმოდგენილი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

1. ფილიალების რაოდენობა მხარეების მიხედვით;
2. ბანკის მზადყოფნა (წერილობითი დადასტურება) გასცენ სესხები საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 მარტის N55 დადგენილებით განსაზღვრული პირობებით;
3. პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის საგარანტიოდ მოთხოვნილი უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულება გასაცემ სესხთან მიმართებით (პროცენტის სახით);
4. პროგრამის ფარგლებში მიღებული პროექტის განხილვის და კრედიტის მიღების მიზნით სამინისტროსთვის მიმართვის სავარაუდო ვადა.

**მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

1. ფილიალების რაოდენობა მხარეების მიხედვით;
2. 2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით Mix Market (www.themix.org) - ის ჩამონათვალში ყოფნის შესახებ;
3. მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების მზადყოფნა (წერილობითი დადასტურება), გასცენ სესხები საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 მარტის N55 დადგენილებით განსაზღვრული პირობებით;
4. დაინტერესებულმა ბანკებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 ივნისიდან 17 ივნისის ჩათვლით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

**პროგრამის ძირითადი მიმართულებები და განხორციელების პრინციპები:**

1. ბანკმა ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ უზრუნველყოს კრედიტის გაცემა 59 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან მათ ნაწილზე, გარდა თიღვის, ერედვის, ქურთის, ახალგორისა და აჯარის მუნიციპალიტეტებისა, თითოეულში არა უმეტეს 60.0 ათასი ლარის ოდენობით;
2. ბანკმა ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ უზრუნველყოს კრედიტის გაცემა 4 თვითმმართველი ქალაქის ან მათი ნაწილის ტერიტორიაზე (ქალაქები: ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი) თითოეულში არა უმეტეს 150.0 ათასი ლარის ოდენობით;
3. "1" და "2" ნაწილით განსაზღვრული კრედიტის ოდენობის გარდა ბანკმა ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ უზრუნველყოს დამატებით კრედიტის გაცემა საქართველოს 9 რეგიონსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ან მათ ნაწილში, თითოეულში არა უმეტეს 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

**ბანკმა ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ:**

1. მიიღოს განაცხადები პროგრამის ფარგლებში გასაცემი კრედიტის შესახებ;
2. შეარჩიოს დასაფინანსებელი პროექტები და გასცეს კრედიტი შერჩეული ბენეფიციარებისათვის საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 მარტის N55 დადგენილებით გათვალისწინებული პირობებით და მიზნებით;
3. პროგრამის ბენეფიციარებთან გააფორმოს საკრედიტო ხელშეკრულება;
4. განახორციელოს პროგრამის ფარგლებში გაცემული კრედიტის მონიტორინგი;
5. პროგრამის ფარგლებში მოსთხოვოს ბენეფიციარებს ყოველკვარტალური ანგარიშის წარდგენა პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და თავის მხრივ, წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მისამართი:** ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას N12
**ტელ:** (995 32) 99 10 40
(995 32) 98 57 04
**მობ:** (995 91) 19 77 92
**ფაქსი:** (995 32) 98 57 04

## შპს "ბიარ მასტერის" დირექტორის განცხადება

**შპს ბიარ მასტერის** (რეგისტრირებული 03.07.2007 წ. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის №202212820, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გოთუას ქუჩა №22, ბინა №34) 01.06.2009 წ. პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის (შერწყმა-მიერთების გზით) შესახებ. დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის №14.

## შპს "ქუთაისის რადიოკვანძის" დირექტორის განცხადება

**შპს ქუთაისის რადიოკვანძის (საიდენტიფიკაციო 212814579)** 15.05.2009 წ. პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის (შერწყმა-მიერთების გზით) შესახებ. დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის №14.

United Nations Development Programme

UNDP Georgia

2009

გაეროს განვითარების პროგრამის

პროექტი
„შიდა ქართლის რეგიონში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შექმნა"

აცხადებს ტენდერს სამშენებლო ორგანიზაციის შესარჩევად შემდეგი სამუშაოების განხორციელების მიზნით:
**გორის უნივერსიტეტის სასწავლო პრაქტიკის კორპუსის კაპიტალური შეკეთება და დამატებითი ფართის მიშენება**
სამუშაოს დეტალური აღწერილობა, შემოთავაზების დოკუმენტის სტრუქტურა და მისი წარდგენის წესი განთავსებულია გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: http://www.undp.org.ge.
სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, აგრეთვე, შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ.№12, ოთახი №303

გთხოვთ თქვენი დოკუმენტაცია წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ერისთავის ქ. №9; ტელეფონი/ფაქსი: 22-14-11. დოკუმენტაციის შემოტანის საბოლოო ვადაა 2009 წლის 25 ივნისი, 17 საათი.

საკონტაქტო პირი: რევაზ საყვარელიძე, პროექტის მენეჯერი

United Nations Development Programme

UNDP Georgia

2009

**UNDP**

**Project: Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region**

UNDP Georgia office on behalf of the project Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region is pleased to announce tender with the purpose of implementation of **Capital Repairing of the Teaching Practice Building and Constructing of Additional Area (Gori University)**

Please, see detailed work description, structure of proposal document and rules for its submission on UNDP Georgia web-site: http://www.undp.org.ge.

## შ.პ.ს."ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს არმატურის შესყიდვაზე

დიამეტრი - 6 მმ. - 2,51 ტონა
დიამეტრი - 8 მმ. - 24, 65 ტონა
დიამეტრი - 10 მმ. - 80,71 ტონა
დიამეტრი - 12 მმ. - 163,31 ტონა
დიამეტრი - 14 მმ. - 24,48 ტონა

შემოთავაზებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

ფოლადი უნდა იყოს A III ტიპის. მწარმოებელი ორგანიზაცია უნდა ფლობდეს და წარმოგვიდგინოს ძალაში მყოფი CARES სანქციონირების სერთიფიკატი ან აღნიშნული სერტიფიკატის სრულად ექვივალენტური სქემა.

**საკონტაქტო პირი: დავით ვასაძე 877-52-56-57**
**bsgvasadze@mail.ru**
**ოფისი: 20-74-74, 20-74-75** **ფაქსი: 20-74-20**

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია დავით მოდებაძის და გიორგი ცინცაძის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 17 ივნისს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე დავით მოდებაძე მცხოვრები ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. N72, ბინა 4, Gგიორგი ცინცაძე მცხოვრები ბათუმი, 26 მაისის ქუჩა N72, ბ. 4.

## განცხადება ხელახალ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 25 მარტს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ტენდერში (ნაპირსამაგრი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა) გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები:

ლოტი N1 (ქ. ამბროლაური - ჯანელიძეების უბანი; მდ. რიონის სანაპიროზე თანდართული პროექტის შესაბამისი ნაპირსამაგრი სამუშაოები) შპს "დტს" - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-14 19.05.09, სახელშეკრულებო ღირებულებით 108560 ლარი.

ლოტი N2 (ქ. ამბროლაური, მდ. კრიხულაზე თანდართული პროექტის შესაბამისი ნაპირსამაგრი სამუშაოები) შპს "დტს" - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-15 19.05.09, სახელშეკრულებო ღირებულებით 14984.11 ლარი.

ლოტი N3; (ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოფურაში, მდ. ხოფურაზე თანდართული პროექტის შესაბამისი ნაპირსამაგრი სამუშაოები) შპს "კრისტალი" - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-11 05.05.09, სახელშეკრულებო ღირებულებით 26010.73 ლარი.

ლოტი N4; (დ. ლენტეხში მდ. ცხენისწყალზე თანდართული პროექტის შესაბამისი ნაპირსამაგრი სამუშაოები) შპს "კრისტალი" - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-12 05.05.09, სახელშეკრულებო ღირებულებით 105117.12 ლარი.

ლოტი N5 (ქ. ხაშური, მდ. სურამულაზე თანდართული პროექტის შესაბამისი ნაპირსამაგრი სამუშაოები) სს "ერისიმედი" - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-13 06.05.09, სახელშეკრულებო ღირებულებით 209149.51 ლარი.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, საყვავილე თარგების და გაზონების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 (ექვსი) ლოტად:

**ლოტი 1.** - ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქუჩის გამწვანებულ ტერიტორიაზე საყვავილე თარგების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

**ლოტი 2**. - ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში საყვავილე თარგების და გაზონების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

**ლოტი 3.** - ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს წინ (შუქნიშანთან) საყვავილე თარგის მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

**ლოტი 4.** - ქ. თბილისში, ავლაბრის შადრევნის ირგვლივ საყვავილე თარგების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

**ლოტი 5.** - ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩისა და პეკინის ქუჩის კვეთაზე საყვავილის და გაზონის მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

**ლოტი 6.** - ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისში საყვავილე თარგების და გაზონების მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (2009 წლის 15 ივლისი) 2009 წლის 30 დეკემბრამდე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 10 ივნისიდან ამავე წლის 30 ივნისის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, საყვავილე თარგების და გაზონების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 ივნისის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი მამულაშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმის'' გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმის" სამეურვეო ქონების (აქტივების) რეალიზაციაზე (ჩოგბურთის კორტების კომპლექსის, ადმინისტრაციული შენობისა და სასტუმრო კომპლექსის (სარეგისტრაციო ზონა ბათუმი, 05 სექტორი II, კოდი 02, კვარტლის N01, ნაკვეთის N001, მისამართი: ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი) საერთო სასარგებლო ფართი 8625.5 კვ.მ და მასზე მიმაგრებული 13907 კვ. მ მიწის ნაკვეთის (დაუზუსტებელი) და შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმის'' საკუთრებაში არსებული სხვა ძირითადი საშუალებების და მცირეფასიანი ინვენტარის რეალიზაციაზე (ერთ ლოტად).

აუქციონზე გამოტანილი ლოტის ღირებულებაა **3 900 000** (სამი მილიონ ცხრაასი ათასი) **ლარი**; ბიჯი - **100 000 (**ასი ათასი) **ლარი**, ბე - **800000** (რვაასი ათასი) **ლარი** (შესაძლებელია ექვივალენტი თანხის აშშ დოლარებში გადახდა).

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც 100 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს "თიბისი'' ბანკის ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101835, ანგარიშის ნომერი 81736020100468, საიდენტიფიკაციო N245435952. ანდა სავალუტო ანგარიშზე. CITIBANK N.A 111 Wall str.New York.N.Y.10043

SWIFT:CITIUS33
ABA:021000089
TBC BANKs Correspondent Account #36127097
HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22
BATUMI BRANCH OF JSC TBC BANK
37, Zubalahvili str. Batumi, Georgia
SWIFT: TBCBGE22835
BENs Account: 81736120100071
TENNIS CLUB BATUMI LTD

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდალური დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2009 წლის 10 ივლისის ჩათვლით 10 სთ-დან 13:00 სთ-მდე (შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმის'' ადმინისტრაციული შენობა, ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი შენობა N1).

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 10 ივლისს 13.00 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი შენობა N1

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 871 33 17 74. საკონტაქტო პირი დიმიტრი ბლიაძე

## განცხადება

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტენდერის ჩატარების შესახებ 2009 წლის 30 მაისის განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ბათუმის №21-ე სკოლა-პანსიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 30 მაისის გაზეთ "24 საათში" (30.05.2009 წ. №118) გამოქვეყნებულ ტენდერის შესახებ განცხადებაში, დაშვებული მექანიკური შეცდომის გასწორების მიზნით, შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განცხადების 9.2. პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"ინფორმაციას ანალოგიური მიწოდების გამოცდილების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის (ხელშეკრულება და სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი) დართვით;**

**ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს განხორციელებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის (სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოები) მიწოდება საერთო ღირებულებით 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.**

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | განხორციელებული მიწოდების დასახელება (თითოეული ობიექტის მითითებით) | შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება | ხელშეკრულების, თარიღი, № და ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| და ა. შ. | | | |

<u>სატენდერო კომისია</u>

## განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს **ერთეტაპიან ხელახალ** ტენდერს საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა **ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადაზღვევო მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

**საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა - 1481** ერთეული.

**მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა** - 2009 წლის **1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ღამის 12 საათამდე.**

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის **30 ივნისის** 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N3, თსუ-ს II კორპუსი, I სართული, შესყიდვების განყოფილება.

**სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ რესპუბლიკა'', ანგ.ანგ.N345634 ბანკის კოდი 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი 204864548. მიმღები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი დახურული კონვერტით ორ ეგზემპლარად - დედანი და ასლი, 2009 წლის **1 ივლისის** 10.00 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N3, თსუ-ს II კორპუსი, I სართული, შესყიდვების განყოფილება. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის **1 ივლისის** 14 საათზე. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირებისათვის**:

6.1.1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის.

6.1.2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

6.1.3. ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

6.2. **ფიზიკური პირებისათვის:**

6.2.1. ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

6.2.2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

6.2.3. პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუნენტი.

**6.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

6.3.1. ცნობას ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან).

6.3.2. ლიცენზიას სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების შესახებ.

6.3.3. ორგანიზაციის მოგების და ქონების გადასახადების დეკლარაციების ასლებს (ბოლო სამი წლის).

6.3.4. ინფორმაცია პრეტენდენტის დასახელების, იურიდიული და ფაქტიური მისამართის, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელის სახელი, გვარის შესახებ.

**შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც გაცემული (შედგენილი) უნდა იყოს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში, წარმოდგენილი უნდა იქნას დედნის ან სათანადო წესით დამოწმებული ასლების სახით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს შესყიდვის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში**.

7. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფოკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება). დაზუსტებას ასევე არ ექვემდებარება განცხადების მე-8 პუნქტით წარმოსადგენი დოკუმენტი.

8. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

9. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი (ფორმით საბანკო გარანტია), ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში, ტელ. 22 78 62, 877 59 58 39. მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N3, თსუ-ს II კორპუსი, შესყიდვების განყოფილება.

სატენდერო კომისია

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **შპს "კვისლი"-ს (სნ 204464150)** კუთვნილი, ქ. თბილისი, აგლაძის ქ. №7-ში განთავსებული ქონება, კერძოდ:

| № | დასახელება | რაოდენობა ცალი/მეტრი/კგ | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | „ზარგალკის" ქვა | 241 | 3 | 723 |
| 2 | რკინის ხერხის პირი | 475 | 1 | 475 |
| 3 | შედუღების ფარი | 114 | 4 | 456 |
| 4 | ელ.იზოლენტა | 120 | 1 | 120 |
| 5 | ავტო საღებავი(1ლიტ) | 16 | 15 | 240 |
| 6 | გამხსნელი 1ლიტ. | 20 | 7 | 140 |
| 7 | ჭერის საღებავი (5კგ.) | 2 | 13 | 26 |
| 8 | ფასადის საღებავი (22კგ) | 8 | 67 | 536 |
| 9 | ფასადის.სილიკ.საღებავი ( 24კგ) | 9 | 68 | 612 |
| 10 | ფასადის ულტრა საღებავი (24კგ.) | 6 | 65 | 390 |
| 11 | შემკვრელი (0.370 კგ) | 16 | 2 | 32 |
| 12 | ნიტრო ლაქი „ დოლგუ" 0.750 კგ. | 20 | 7 | 140 |
| 13 | ნიტრო ლაქი II პირი 3კგ. | 32 | 2 | 64 |
| 14 | ლაქი ორ კომპონენტიანი 1.5 ლიტ+3ლიტ. | 29 | 65 | 1885 |
| 15 | საღებავი პლუსი 5ლიტ. | 5 | 13 | 65 |
| 16 | ფასადის გრუნტი წყლის 3კგ. | 5 | 9 | 45 |
| 17 | ლაქი „დოლგუ" 3კგ. | 24 | 17 | 408 |
| 18 | პროტექტა 0.500 გკ. | 48 | 14 | 672 |
| 19 | ზეთოვანი სპეც. საღებავი 0.800კგ. | 35 | 7 | 245 |
| 20 | ზეთოვანი სუპერ საღებავი 0.700კგ. | 21 | 7 | 147 |
| 21 | პოლიურეთანის გამხსნელი 1ლიტ. | 15 | 5 | 75 |
| 22 | ფერადი ლაქი 0.750კგ. | 16 | 9 | 144 |
| 23 | იახტის ლაქი 3კგ. | 12 | 28 | 336 |
| 24 | საღებავი წყლ.მერბოლინი 20 კგ. | 3 | 65 | 195 |
| 25 | მილი გოფრირ.რეზ.საქაჩი | 12 | 9 | 108 |
| 26 | გამაცხელებელი წყლის | 2 | 100 | 200 |
| 27 | ლურსმანი ბეტონის .კგ | 35 | 8 | 280 |
| 28 | „ პადონი" შხაპის | 1 | 90 | 90 |
| 29 | შლანგი მოქნილი მ. | 35 | 5 | 175 |
| 30 | „ხამუთი" | 87 | 0.6 | 52.2 |
| 31 | „ბაჩონკა" | 175 | 0.8 | 140 |
| 32 | ხუფი კანალიზაციის | 10 | 1.5 | 15 |
| 33 | ვენტილი | 208 | 2.5 | 520 |
| 34 | კუთხის ვენტილი „ვალვექსი" | 28 | 3 | 84 |
| 35 | „ზგონი" უჟანგავი | 267 | 1 | 267 |
| 36 | სამაგრი მილის | 125 | 0.4 | 50 |
| 37 | სამკაპი კომპრესიული | 2 | 4 | 8 |
| 38 | სამკაპი კანალიზაციის | 52 | 2 | 104 |
| 39 | სამკაპი ბრონზის | 17 | 2 | 34 |
| 40 | სამკაპი თუჯის | 2 | 3 | 6 |
| 41 | „უტკა" | 48 | 1 | 48 |
| 42 | ქურო | 12 | 5 | 60 |
| 43 | კუთხე კომპრესიული | 14 | 4 | 56 |
| 44 | ვენტილი ბურთულიანი | 30 | 3.5 | 105 |
| 45 | მილი პლასტმასის | 29 | 2.3 | 66.7 |
| 46 | ტრაპი პლასტმასის | 1 | 3 | 3 |
| 47 | კონტრ.გაიკა | 100 | 1 | 100 |
| 48 | კუთხე 90 გრადუს. | 238 | 3 | 714 |
| 49 | ქურო გადამყვანი პვს | 3 | 0.2 | 0.6 |
| 50 | სამკაპი 45 გრად. | 30 | 2 | 60 |
| 51 | უნიტაზის თავსაფარი | 3 | 9 | 27 |
| 52 | პენოპლასტის ფირფიტა | 5 | 4 | 20 |
| 53 | ლურსმანი სამშენებლო | 40 | 4 | 160 |
| 54 | ელ.ამომრთველის კოლოფი | 13 | 0.2 | 2.6 |
| 55 | უნიტაზის ბაჩოკი | 2 | 9 | 18 |
| 56 | ქურო თუჯის | 17 | 8 | 136 |
| 57 | ზგონი ფოლადის | 10 | 1 | 10 |
| 58 | ბაჩონკა ფოლადის | 34 | 2 | 68 |
| 59 | შტუცერი ფოლადის | 38 | 1 | 38 |
| 60 | ქურო გადამყვანი გხ | 18 | 7 | 126 |
| 61 | ქურო ჩამხსნელით | 10 | 6 | 60 |
| 62 | ხუფი ფოლადის | 33 | 1 | 33 |
| 63 | თოხის პირი | 2 | 5 | 10 |
| 64 | გაზის გამანაწილებელი | 2 | 25 | 50 |
| 65 | გაზის ლაგუშკა | 1 | 30 | 30 |
| 66 | ბრა | 3 | 10 | 30 |
| 67 | სოფონის გოფრე | 72 | 3 | 216 |
| 68 | გრუნტის საღებავი (20ლიტ) | 1 | 25 | 25 |
| | საღებავი შიდა სამუშაოებ. | 17 | 80 | 1360 |
| | ჯამი | | | **13937.1** |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 15 ივლისს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ№8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 15 ივლისამდე დაუკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **ს/ს "მერქანი"-ს (სნ 201952173)** კუთვნილი, ქ. თბილისი, დიდუბის ქ. №24-ში მდებარე ქონება, კერძოდ:

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიწა, ზედ დამაგრებული შენობა ნაგებობებით | | | | |
| | მიწა | კვ.მ | 1024 | 650 | 665600 |
| | შენობა | კვ.მ | 1143 | 190 | 217170 |
| | სულ | | | | 882770 |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 10 ივლისს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ№8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 10 ივლისამდე დაუკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით
აუქციონის ჩატარების შესახებ

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაგოდეხი, სოფ. ჰერეთისკარი | მდ. ალაზნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 30 000 მ³ | 4 023 | 805 | 968,40 |
| 2 | მარნეული, სოფ. ბაიდარი | მდ. ხრამზე „ბაიდარ-კუტლიარის" ქვიშა-ხრეშის საბადო | $C_1+C_2$ | 5 წელი | 150 000 მ³ | 20 113 | 4 023 | 1 326,20 |
| 3 | წყალტუბო, სოფ. ოფურჩხეთი | „ოფურჩხეთის" ტეშენიტის გამოვლინება | P | 20 წელი | 40 500 მ³ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 4 | ზესტაფონი, სოფ. სვირი | მდ. ყვირილაზე „სვირის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 460 000 მ³ | 61 680 | 12 336 | 1 880,40 |
| 5 | ხობი, სოფ. ხორგა | მდ. ხობისწყლის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 30 000 მ³ | 4 023 | 805 | 1 145,40 |
| 6 | ახალქალაქი სოფ. ხოსპიო | „ხოსპიოს" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 18 600 მ³ | 2 494 | 499 | 968,40 |
| 7 | მცხეთა, სოფ. ხეკორძი | ხეკორძის ქვიშაქვის გამოვლინება | P | 10 წელი | 60 000 მ³ | 10 000 | 2 000 | 862.20 |
| 8 | თიანეთი, სოფ. მაგრანეთი | „მაგრანეთის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 2 წელი | 85 000 მ³ | 13 819 | 2 764 | 976.20 |
| 9 | ამბროლაური, სოფ. პირველი ტოლა | ჭრებალოს თაბაშირის გამოვლინება | P | 5 წელი | 3 680 ტ. | 10 000 | 2 000 | 1 145.40 |
| 10 | მარტვილი, სოფ. დიდი ჭყონის მიმდებარე ტერიტორია | ოცანცალეშის გჯუფის (შრომა) ტორფის საბადო | A | 10 წელი | 13 300 ტ. | 4 672 | 934 | 3 205.40 |
| 11 | თეთრი წყარო, სოფ. პატარა დურნუკი | დურნუკის დოლერიტის (საღორღე) გამოვლინება | P | 20 წელი | 380 000 მ³ | 10 000 | 2 000 | 1 204.20 |
| 12 | მარტვილი, სოფ. დიდი ჭყონისა და ქინოთას მიმდებარე ტერიტორია | ოცანცალეშის ჯგუფის ტორფის საბადო (ოცანცალეში, ონცარე, ონე) | A | 20 წელი | 184 500 ტ | 40 420 | 8 084 | 6 885,40 |
| 13 | აბაშა, სოფ. ძველი აბაშის მიმდებარე ტერიტორია | აბაშის ქვიშა,ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 30 000 მ³ | 4 023 | 805 | 1 145 ,40 |
| 14 | თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი | ჭაბურღილის მტკნარი წყალი (სამეწარმეო მიზნებისათვის) | P | 25 წელი | 40 მ³/დღე | 472 | 94 | 791.40 |
| 15 | ბორჯომი, კოდიანას მიმდებარე ტერიტორია | დაბაძველის ანდეზიტის (ღორღი) გამოვლინება | P | 20 წელი | 92 000 მ³ | 10 000 | 2 000 | 1 082,40 |
| 16 | სამტრედია, სოფ. საჯავახო | მდ. რიონზე „საჯავახოს" ქვიშის გამოვლინება | P | 5 წელი | 350 000 მ³ | 46 930 | 9 386 | 1 439,4 |
| 17 | შუახევი, სოფ. ქიძინიძეების მიმდებარე ტერიტორია | წყაროს მტკნარი წყალი (ჩამოსასხმელი) | P | 25 წელი | 20 მ³/დღე | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12ტელ. 99 11 29, 99 10 91 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 10 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 10 ივლისს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი 200 **ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000 |
| აუქციონზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საიდ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ატარებს პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **შპს "ნავთობი"-ს (სნ 208151060)** კუთვნილი სადგურ ველში მდებარე ქონება, კერძოდ:

| № | დასახელება | რაოდენობა (კვმ/ცალი/მ3) | ერთეულის საბაზრო ღირებულება (ლარი) | მთლიანი საბაზრო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიწის ნაკვეთი | 11231 | 6 | 67386 |
| 2 | რეზერვუარი №1-422 ტონიანი | 1 | 16000 | 16000 |
| 3 | რეზერვუარი №2.3.4.5.6.7-11.2 ტონიანი | 6 | 900 | 5400 |
| 4 | რეზერვუარი №8-73 ტონიანი | 1 | 2800 | 2800 |
| 5 | რეზერვუარი №9-23 ტონიანი | 1 | 1300 | 1300 |
| 6 | რეზერვუარი №10-63 ტონიანი | 1 | 2500 | 2500 |
| 7 | რეზერვუარი №11.12.13-94.5 ტონიანი | 3 | 3500 | 10500 |
| 8 | რეზერვუარი №14-193 ტონიანი | 1 | 7000 | 7000 |
| 9 | რეზერვუარი №15.16-193 ტონიანი | 2 | 7000 | 14000 |
| 10 | რეზერვუარი №17.18-215 ტონიანი | 2 | 8000 | 16000 |
| 11 | რეზერვუარი №19.20-1000 ტონიანი | 2 | 40000 | 80000 |
| 12 | რეზერვუარი №21-2000 ტონიანი | 1 | 70000 | 70000 |
| 13 | ნავთობგადამამუშავებელი მინის წარმადობა 150-180ტ. | 1 | 45000 | 45000 |
| 14 | საქვაბე 3 ქვაბი | 3 | 5000 | 15000 |
| 15 | წყლის ავზი | 1 | 900 | 900 |
| 16 | გენერატორი 100 კილოვატი | 1 | 15000 | 15000 |
| 17 | გენერატორი 200 კილოვატი | 1 | 20000 | 20000 |
| 18 | ადმინისტრაციული შენობა | 160 | 60 | 9600 |
| 19 | მაგიდა | 10 | 15 | 150 |
| 20 | სკამი | 15 | 5 | 75 |
| 21 | კომპიუტერი | 1 | 120 | 120 |
| 22 | სეიფი | 1 | 100 | 100 |
| 23 | კონდიციონერი | 1 | 80 | 80 |
| 24 | ფაქსის აპარატი | 1 | 30 | 30 |
| 25 | მაცივარი | 3 | 90 | 270 |
| 26 | ლაბორატორიული მოწყობილობები | 1 | 1000 | 1000 |
| | ჯამი | | | **400211** |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 10 ივლისს დღის 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ№8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%,** რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეიძენს ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 7 ივლისამდე დაუკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს ტენდერს სადაზღვევო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შემოსავლები

1. სსიპ – ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სადაზღვევო მომსახურების შესყიდვაზე 3 ლოტად.

შესყიდვის ობიექტი:
ლოტი №1 – ჯანმრთელობის დაზღვევა
ლოტი №2 – უძრავი ქონების დაზღვევა
ლოტი №3 – მოძრავი ქონების დაზღვევა
2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
3. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წელი.
4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) 2009 წლის 30 ივნისის 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-16 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
5.1. იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა შესაბამისი საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
5.2. ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:
ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.
6. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
6.1. სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1 | სადაზღვევო პრემია ერთ დაზღვეულზე | 0,4 |
| 2 | ინფორმაცია იმ სადაზღვევო შედეგების შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას | 0,3 |
| 3 | სადაზღვევო მომსახურებათა ლიმიტები | 0,3 |
| სულ | | 1,00 |

6.2. უძრავი და მოძრავი ქონების დაზღვევის შემთხვევაში

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1 | სადაზღვევო თანხა | 1,00 |
| სულ | | 1,00 |

7. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-6 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
8. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
9. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.
10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-15 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 10 ივნისის 10:00 საათიდან 29 ივნისის 18:00 საათამდე, სამუშაო დღეებში შემდეგ მისამართზე: სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84, მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.
12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
13. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 30 ივნისს. 15:00 საათზე.
14. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
15. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი – 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები – სს "ბაზისბანკი", ბანკის კოდი 220101956, ანგ.№234294. გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სადაზღვევო მომსახურება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. საიდენტიფიკაციო კოდი 204852089
16. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში. მის: ქ. თბილის, ჭავჭავაძის გამზირი №84, მე-4 სართული.
საკონტაქტო პირი: ზვიად გაბისონია. ტელ: 899 678779
17. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს კომისია არ განიხილავს.
18. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან. ამასთან, ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

სატენდერო კომისია


1890
OCHOBAHO-ESTABLISHED
BORJOMI®
Georgian Glass & Mineral Water Co.N.V.
ყოველთვის
თანამედროვე
1890 წლიდან
BORJOMI
ბორჯომი
БОРЖОМИ
BORJOMI
ბორჯომი
БОРЖОМІ

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული ნათურებისა და სანათი მოწყობილობების ნაწილების შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 2 ივნისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **ნათურებისა და სანათი მოწყობილობების ნაწილების** შესყიდვის შესახებ.

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში: **1.** №1 და №5 ლოტებში გაიზარდა გარკვეული პოზიციების რაოდენობები;

**2.** №1, №4 და №5 ლოტებში დაემატა გარკვეული პოზიციები;

**3.** №5 ლოტში გაუქმდა ორი პოზიცია;

საბოლოოდ შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება | ერთ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | ნათურა ვარვარების 220-60-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | ცალი | 500 |
| | ნათურა ვარვარების 220-100-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | ~~2 200~~ 4 000 |
| | ნათურა ვარვარების 220-150-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | ~~1 150~~ 1 750 |
| | ნათურა ვარვარების 220-200-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | 50 |
| | ნათურა ვარვარების 220-250-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | 110 |
| | ნათურა ვარვარების 220-300-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-40/45 | | 150 |
| | ნათურა ვარვარების 220-500-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | 385 |
| | ნათურა ვარვარების 220-500-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225ვ; სიმძლავრე 500ვტ. ვაზნის ტიპი -ე-40/45 | | 220 |
| | ნათურა ვარვარების 200-100-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | 3 000 |
| | ნათურა ვარვარების 200-150-ვატ; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; ვაზნის ტიპი -ე-27/27 | | 50 |
| | ნათურა ვარვარების 220-1000; ნომინალური ძაბვა 215-225-ვ; სიმძლავრე 1000ვტ, ვაზნის ტიპი -ე-40/45 | | **120** |
| | ნათურა 24ვ ერთკონტაქტიანი სიმძლავრე 10 ვტ | | **10** |
| | ნათურა სანთლისებური; ვაზნის ტიპი ე-14 | | **300** |
| | ნათურა პროჟექტორის 500 ვტ, ნომინალური ძაბვა 220ვ, ვაზნის ტიპი ე-40/45 | | **18** |
| | ნათურა სანათი სვეტის 600 ვტ, ნომინალური ძაბვა 220ვ, ვაზნის ტიპი ე-40/45. სიგრძე 25 სმ. | | **20** |
| 2 | ნათურა ელმავლის პროჟექტორის პჟ 50ვ500ვატ-1 *(ან ანალოგი)* | ცალი | 250 |
| | ნათურა ვაგონის 54ვ/15ვატ | | 1 300 |
| | ნათურა ვაგონის 54ვ/40ვატ | | 1 500 |
| | ნათურა ვაგონის Ж54ვ/60ვატ *(ან ანალოგი)* | | 4 000 |
| | ნათურა ვაგონის Ж54ვ/25ვატ *(ან ანალოგი)* | | 2 000 |
| | ნათურა ვაგონის 110ვ/15ვატ | | 900 |
| | ნათურა ვაგონის 110ვ/25ვატ | | 2 000 |
| | ნათურა ვაგონის 110ვ/60ვატ | | 600 |
| | ნათურა ვაგონის 110ვ/40ვატ | | 1 500 |
| | ნათურა კომიტაციური 60ვ/4,8ვატ. ფუნდამენტით (ხრახნიანი) | | 200 |
| | ნათურა კომიტაციური KM-60 თითისებრი *(ან ანალოგი)* | | 1 500 |
| 3 | ნათურა ლუმინისცირებული; ლბ-18 *(ან ანალოგი)* | ცალი | 440 |
| | ნათურა ლუმინისცირებული; ლბ-20 *(ან ანალოგი)* | | 1 200 |
| | ნათურა ლუმინისცირებული; ლბ-36 *(ან ანალოგი)* | | 720 |
| | ნათურა ლუმინისცირებული; ლბ-40 *(ან ანალოგი)* | | 1 050 |
| 4 | ნათურა სინდიყიანი დრლ-250w; ვაზნის ტიპი -ე-40/45 *(ან ანალოგი)* | ცალი | 10 |
| | ნათურა სოდიუმის 230/150 | | 80 |
| | ნათურა სოდიუმის 230/400 | | 40 |
| | ნათურა სინდიყიანი დრლ-250; სიმძლავრე 250ვტ, ნომინალური ძაბვა 215-225ვ *(ან ანალოგი)* | | 50 |
| | ნათურა სინდიყიანი დრლ-400; სიმძლავრე 400ვტ, ნომინალური ძაბვა 215-225ვ *(ან ანალოგი)* | | 100 |
| | ნათურა სინდიყიანი დრლ-700; სიმძლავრე 700ვტ, ნომინალური ძაბვა 215-225ვ *(ან ანალოგი)* | | 10 |
| | ნათურა სინდიყიანი დრლ-1000; სიმძლავრე 1000ვტ,ნომინალური ძაბვა 215-225ვ *(ან ანალოგი)* | | 10 |
| 5 | ნათურა ჰალოგენური პროჟექტორის კგ-220/500 ვატ, ნომინალური ძაბვა 215-225ვ, სიმძლავრე 500 ვტ, ვაზნის ტიპი R7S *(ან ანალოგი)* | ცალი | ~~150~~ 160 |
| | ნათურა ჰალოგენის კგ-1000-5, ნომინალური ძაბვა 215-225ვ, სიმძლავრე 1000 ვტ, ვაზნის ტიპი R7S *(ან ანალოგი)* | | 140 |
| | ~~ნათურა ჰალოგენური პროჟექტორის კგ-220/1000 ვატ, ვაზნის ტიპი R7S~~ | | ~~100~~ |
| | ნათურა ჰალოგენის კგ-1 500, ნომინალური ძაბვა 215-225ვ, სიმძლავრე 1 500ვტ, ვაზნის ტიპი R7S *(ან ანალოგი)* | | 110 |
| | ნათურა ჰალოგენის კგ-5 000, ნომინალური ძაბვა 215-225ვ, სიმძლავრე 5 000ვტ, ვაზნის ტიპი K27S/96/250 *(ან ანალოგი)* | | 45 |
| | ნათურა მეტალო ჰალოგენის 230/400; ვაზნის ტიპი ე-40 *(ან ანალოგი)* | | 40 |
| | ნათურა მეტალო ჰალოგენის 230/70 | | 160 |
| | ნათურა მეტალო ჰალოგენის 230/150 | | 80 |
| | ნათურა ჰალოგენის 230/50; ვაზნის ტიპი უ-10 *(ან ანალოგი)* | | 300 |
| | ~~ნათურა ჰალოგენის კგ-1000 ვატიანი~~ | | ~~20~~ |
| | ნათურა ჰალოგენის 200ვ./60ვატ. შეკიდული ჭერის, ვაზნა- GU-53 *(ან ანალოგი)* | | 200 |
| | ნათურა ჰალოგენის 220ვ./60ვატ. შეკიდული ჭერის, ვაზნა- GU-53 *(ან ანალოგი)* | | 100 |
| 6 | ვაზნა სანთლისებური ნათურის ე-14; 200ვ/10 ამპ *(ან ანალოგი)* | ცალი | 200 |
| | ნათურის ვაზნა УХЛ-4 250ვ/4ამპ *(ან ანალოგი)* | | 150 |
| | ნათურის ვაზნა УХЛ-2 250ვ/4ამპ *(ან ანალოგი)* | | 500 |
| | სტარტერი დღის განათების ლუმინისცირებული ლბ-20 127ვ *(ან ანალოგი)* | | 50 |
| | სტარტერი დღის განათების ლუმინისცირებული ლბ-40 220ვ *(ან ანალოგი)* | | 50 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 10 ივნისიდან აცხადებს ტენდერს საშემდუღებლო მასალის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **საშემდუღებლო მასალის** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **<u>500 (ხუთასი)</u>** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **10 ივნისიდან** 2009 წლის **30 ივნისის** ჩათვლით **<u>სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u>** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | კარბიდი | კგ | 100 |
| | მავთული დასადუღებელი 2მმ CB-08XГ2CMФ *(ან ანალოგი)* | | 2 000 |
| 2 | ელექტროდი ცვლადი დენის 3მმ | კგ | 1 500 |
| | ელექტროდი ცვლადი დენის 4მმ | | 8 938 |
| | ელექტროდი ცვლადი დენის 5მმ | | 3 500 |
| | ელექტროდი ცვლადი დენის 4მმ თუჯის | | 60 |
| | ელექტროდი მუდმივი დენის 4მმ უჟანგავი | | 60 |

**<u>შენიშვნა:</u>** *მეორე ლოტში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)*

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** 2009 წლის III კვ;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 30 ივნისის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**<u>იურიდიული პირებისათვის :</u>**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **<u>5%-იანი</u>** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.</u>

**<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **<u>5%-იანი</u>** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.</u>

**7. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **<u>(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)</u>**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **<u>დღგ–ს</u> გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **<u>56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;</u>** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>